ჰკა მაგათ, უწმინდურსისხლიანებს A3
წერილები მთავრობას A8
ავტომობილი B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 15 ივნისი, 2004 წელი. №140 (689)
ფასი 50 თეთრი

### ნაშუაღამევს

## დიდი გაქცევა გეგუთიდან

დაახლოებით, ღამის პირველ საათზე, გეგუთის საპყრობილედან 41 მსჯავრდებული გაიქცა. მოკლულია დაცვის თანამშრომელი, რომელიც ამ დროს საპყრობილის ტერიტორიას ამოწმებდა. ყველა გაქცეული პატიმარი სასჯელს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის იხდის. სავარაუდოდ, გაქცევას მსჯავრდებულები დიდი ხნის მანძილზე ამზადებდნენ და კარგად იყო ორგანიზებული, რადგან გუშაგებმა მომხდარის შესახებ გვიან შეიტყვეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განგაში მთელი საქართველოს მასშტაბით გამოაცხადა. ღამის 2 საათისთვის უკვე დაკავებული იყო 2 გაქცეული. გეგუთის კოლონიიდან გაქცევა ბოლოს 2002 წელს მოხდა. მაშინ მხოლოდ 1 პატიმარი გაიქცა და სამართალდამცავებმა მისი დაკავება მალევე მოახერხეს.

*24 საათი*

### პოლიტიკა

## კოტე კემულარიას ელჩობა სრულდება



"მე ჯარისკაცი ვარ და სადაც სამშობლო მოითხოვს, იქ დავდგები. ასეთ თანამდებობაზე უარის თქმა კი ნამდვილად არ შემეძლო," - იღიმებოდა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი.

A2

### უცხოეთი

## ტერორიზმის საფრთხე




ტერორიზმსა და მასთან ბრძოლას ეხებოდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის სამი(!) ინტერვიუ, რომელიც აშშ-ს წამყვანმა ტელეარხებმა შაბათსა და კვირას გადასცეს.

A5

### სამართალი

## რატომ დატოვა თანამდებობა იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსმა

ქვეყანაში კონტრაბანდული ტვირთების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო შეუქცევადი ხდება, თუმცა არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც კონტრაბანდისტები სხვადასხვა მფარველების დახმარებით კვლავაც ცდილობენ აღურიცხავი ტვირთების შემოზიდვას.

A7

### ამინდი

| | 15/07 | 16/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 29 |
| ქუთაისი | 27 | 30 |
| ბათუმი | 26 | 26 |
| სოხუმი | 24 | 26 |
| ფოთი | 27 | 28 |
| თელავი | 27 | 28 |
| ზუგდიდი | 27 | 29 |
| გორი | 26 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.2975 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4727 |
| რუბლი | 0.0661 |

# პრეზიდენტების და პრობლემების მსგავსება



*ილჰამ ალიევი პირველი სახელმწიფოს მეთაურია, რომელიც ინაუგურაციის შემდეგ ეწვია საქართველოს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ლელა მჭედლიძე

თბილისი ილჰამ ალიევს გულთბილად დახვდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტი წარმომადგენლობითი დელეგაციით ჩამოფრინდა. **"ორ ქვეყანას შორის დიალოგი არა მხოლოდ პრეზიდენტების, არამედ სხვა დონეებზეც უნდა გაგრძელდეს,"** - განაცხადა ილჰამ ალიევმა.

**"როცა რაიმე პრობლემები გვიჩნდება, პირველი, ვინც გვახსენდება, დიდი სახელმწიფოები კი არა, ჩვენი ძმა ილჰამი, ბაქო და აზერბაიჯანია,"** - თქვა მიხეილ სააკაშვილმა და აზერბაიჯანთან განსაკუთრებული ურთიერთგაგება ერთგვარი "გენეტიკური კოდითაც" კი ახსნა. **"ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველო-აზერბაიჯანს შორის ვაჭრობის მოცულობა თითქმის ორჯერ გაიზარდა... ვისურვებდი, რომ ჩვენი მეზობელი რუსეთი ისეთივე გაგებით შეხვედროდა კონტრაბანდასთან ჩვენ მიერ დაწყებულ ბრძოლას, როგორც ამას აზერბაიჯანის პრეზიდენტი შეხვდა, რომელიც საქართველოს კეთილდღეობაში დარწმუნებულია,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოგზაურობა, კანონშემოქმედება, სულიერება...

### პარლამენტი სხვადასხვა რაკურსით

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს პარლამენტი ერთგვარ სატრანზიტო პუნქტად იქცა - პარლამენტის თავმჯდომარე ლონდონიდან ჩამოდის და დეპუტატებს თავისი ერთკვირიანი ვიზიტის შესახებ ანგარიშს აბარებს. ნინო ბურჯანაძე იგივეს ითხოვს ჩაქვიდან დაბრუნებული საპარლამენტო უმრავლესობისგან, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს: ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ გასვლითი სხდომა სხვებზე ადრე დატოვა და, ამდენად, "ინფორმატორად" არ გამოდგება. ჩაქვის ამბებს სხვებმაც წაუყრუეს... ჩამოსულებისგან ცალკე დგას წამსვლელთა რიგი - ჩაქვიდან ნაადრევად "გამოქცეული" მიხეილ მაჭავარიანი დღეს უკვე ბრიუსელში მიემგზავრება, ელენე თევდორაძეს კი სტრასბურგში მიეჩქარება და ხუთკაციანი დელეგაციისთვის "უფლებამოსილების ცნობას" ითხოვს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## გადასახადები მცირდება, აქციზი იზრდება, მინისტრები კმაყოფილები არიან...

თამარ ხორბალაძე

*მოსალოდნელი საგადასახადო ცვლილებები, რომელთა პრეზენტაცია საქართველოს ხელისუფლებამ ბიზნესმენების წინაშე კვირას მოახდინა, უდავოდ დარჩება უახლოესი დღეებისა და თვეების მთავარ თემად. მით უმეტეს, რომ ცვლილებები, რომელთა ძირითადი ნაწილი სოციალურ გადასახადებზე მოდის, არ აღმოჩნდა ქართველ ბიზნესმენთათვის იმდენად რევოლუციური, რომ მათი განსაკუთრებული აღფრთოვანება დაემსახურებინა. ამის საკუთარი განმარტება აქვთ საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებს, რომლებიც გუშინ ჟურნალისტებს საკუთარი რევოლუციური გადაწყვეტილების პრეზენტაციისთვის შეხვდნენ და კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ: "თუ ეს ცვლილებები გადამხდელებს არ აღაფრთოვანებთ, ესე იგი ისინი გადასახადს საერთოდ არ იხდიდნენ."*

გაგრძელება A4 გვერდზე

# ლარსონი დაბრუნდა

B4



REUTERS

*შვედეთის ნაკრებმა ბულგარელები გამანადგურებელი ანგარიშით 5:0 დაამარცხა. ჰენრიკ ლარსონმა ევროპის ჩემპიონატზე პირველივე მატჩში დუბლი შეასრულა.*

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 წერილები მთავრობას
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# თავდაცვის მინისტრი ამპლუაში შედის



*გიორგი ბარამიძემ ტრადიცია არ დაარღვია და პირველ რიგში ჭარისკაცთა საკვები გასინჯა.*

საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე კადეტთა კორპუსს ეწვია. მინისტრმა, საქართველოს გენშტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ და სამხედრო ატაშეებმა 2003-2004 სასწავლოს წლის კურსდამთავრებულებს სიმწიფის ატესტატები გადასცეს.

*ინტერ-პრესი*

# საქართველოს მილიარდი ლარით დაეხმარებიან

*დღეს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობს, სამდღიანი ვიზიტით ბრიუსელში მიემგზავრება. ბელგიის დედაქალაქში გაიმართება დონორთა საერთაშორისო კონფერენცია "რეფორმებისა და განვითარების გეგმის შესახებ." წინასწარი ინფორმაციით, საქართველომ დახმარების სახით უნდა მიიღოს 485 მილიონი დოლარი, რაც მილიარდი ლარის ეკვივალენტია.*

საქართველოს მთავრობა დონორ ქვეყნებს წარუდგენს ქვეყნის განვითარების 2004-2006 წლების პერიოდის პროგრამას. მასში მითითებული იქნება პრიორიტეტები. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, ამ ეტაპზე საქართველოში უპირატეს განვითარებას მოითხოვს ისეთი დარგები და სფეროები როგორებიცაა: ენერგეტიკა, მმართველობის სრულყოფა, კერძო სექტორის განვითარება, სოციალური მომსახურება, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურა. ბერუჩაშვილის განმარტებით, სოციალურ მომსახურებაში მთავარი ყურადღება ბავშვებზე გამახვილდება.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ზურაბ ჟვანიას შეხვედრა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის პროგრამების კოორდინატორთან კარლოს პასკუალთან. დიალოგის მთავარი თემა პრეზიდენტ ბუშის "ათასწლეულის პროგრამაში" ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა იქნება. ვიზიტის მეორე დღეს ჟვანია დონორთა კონფერენციაზე მოხსენებას გააკეთებს. მომდევნო დღეს პრემიერ-მინისტრი ევროპული პოლიტიკის ცენტრში სიტყვით გამოვა, შემდეგ კი ნატო-ს გენერალურ მდივანს იააპ დე ჰოოპ სხეფერს შეხვდება.

თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ წინასწარ იმუშავა და დონორებს გააცნო დახმარების პროგრამა. ისინი, ფაქტობრივად, ყველა საკითხში გვეთანხმებიან; ყოველ შემთხვევაში, ქართულ მხარეს წარმატების დიდი იმედი აქვს. ბერუჩაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს იქნება საქართველოსთვის გაწეული ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი დახმარება.

*ვერიკო თევზაძე*

# "თანამდებობის პირებო, დატოვეთ მანქანები ღია..."

**"თანამდებობის პირებო, მოგიწოდებთ, მანქანები დატოვოთ ღია... მე მგონი არც ერთს არ გაქვთ განსაკუთრებით ძვირადღირებული მანქანა. თუ მათ მოგპარავენ, მე გაძლევთ სიტყვას, რომ სამხარეო რწმუნებულის ფონდი აგინაზღაურებთ დანაკარგს, სამაგიეროდ ამას პოლიციის უფროსის თანამდებობა შეეწირება,"** - ასთი მიმართვა გააკეთა გუშინ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა იოსებ მაზმიშვილმა ტრადიციულ ორშაბათის თათბირზე.

**"თუ ღიას დავტოვებთ, ალბათ, მერე აფხაზეთში და სომხეთში გვექნება საძებარი,"** - ეს რეპლიკა, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსს გოდერძი ჩანქსელიანს, რომელსაც საკუთარი ძვირადღირებული "მერსედესის" ჯიპის დაკარგვის პერსპექტივა არც თუ ძალიან ხიბლავს.

დიდი ენთუზიაზმი არც სხვა თანამდებობის პირებს გამოუჩენიათ - ალბათ, არ სჯერათ, რომ სამაგიეროდ ახალ მანქანებს მიიღებენ, მით უფრო, რომ გუბერნატორი ორიოდე კვირის წინ მათი თანდასწრებით ჩიოდა - რწმუნებულის ფონდი მთლად ცარიელია და იქნებ რაიონებმა რაიმე გადმორიცხონო...

საქმე ისაა, რომ ქვემო ქართლის გუბერნატორის ამ არაორდინალური ინიციატივის ქვეტექსტი ძალიან მარტივია - მას ძალიან არ მოსწონს რუსთავის პოლიციის უფროსის რამაზ ელოშვილის მუშაობა. ბოლო თვეებში რუსთავში კრიმინოგენული სიტუაცია თითქმის უმართავი გახდა. იმატა დანაშაულის რიცხვმა, ხოლო მათი გახსნის პროცენტი მინიმალურ ზღვარზე დავიდა. დაახლოებით ერთი თვის წინ, ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის ინიციატივით, ქალაქის პოლიცია 24-საათიან ოპერატიულ მუშაობაზე გადავიდა, თუმცა, როგორც გუბერნატორი მიიჩნევს, მდგომარების გამოსწორებამდე ჯერ შორია.

**"მინდა, რომ რუსთავში იყოს ძლიერი პოლიცია და ღამის განმავლობაში ნორმალურად კონტროლდებოდეს ქალაქი,"** - ამბობს გუბერნატორი მაზმიშვილი. ის ამ სურვილის განხორციელებას პირდაპირ უკავშირებს რუსთავის ამჟამინდელი პოლიციის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლებას და ამ მიზნის მისაღწევად თავისი ჩინოვნიკების მანქანებს (ოღონდ არა საკუთარს) ქურდ-ბაცაცების ხელში ჩასაგდებად იმეტებს.

*მაია მოსიაშვილი*

# ოსებმა თბილისში ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, რომელიც 14 ივნისს თბილისში უნდა გამართულიყო, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

სხდომის გადადების მიზეზი კი გახდა ოსური მხარის უარი. როგორც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი მურად ჯიოევი აცხადებს, მხარეებს შორის ბოლო დროს გართულებული ურთიერთობების გამო, ოსური დელეგაციის თბილისში ჩასვლა მიზანშეწონილი არ არის.

მისივე თქმით, უმჯობესი იქნება, თუ საკონტროლო კომისიის სხდომა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ ოსეთში ან მოსკოვში გაიმართება. ქართული მხარე ამ წინადადებაზე თანხმობას აცხადებს, თუმცა სხდომის ჩატარების დრო ჯერ დაზუსტებული არ არის.

*მედია-ნიუსი*

# გაკოტრებული "ქიმბოჭკოს" მუშებს საგადასახადომ სიცოცხლე გაუმწარა

მაია მოსიაშვილი

*2002 წლის აგვისტო-ოქტომბერში რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ თითქმის გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და სასამართლოში გაკოტრებული საწარმოს კრედიტორობაზე პრეტენზია კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარადგინა. დღეს საგადასახადო ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობს, ოღონდ ამას საწარმოს მუშა-მოსამსახურეების ნერვებისა და მოთმინების ხარჯზე აკეთებს.*

"ქიმბოჭკო" გაკოტრებულად დაახლოებით ორი წლის წინ გამოცხადდა, ხოლო წელიწადნახევარის წინ რუსთავის საგადასახადო ინსპექციასა და სააქციო საზოგადოება "ქიმბოჭკოს" 1700 მუშა-მოსამსახურეს შორის სასამართლო დავა დაიწყო, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. როგორც "ქიმბოჭკოს" გაკოტრების მმართველი შერმადინ გიგოლაშვილი აცხადებს, საგადასახადო ინსპექციამ გაკოტრების საქმის გახსნის დროს სასამართლოში განაცხადის შეტანა დააგვიანა.

**"დავა წელიწადნახევარია გრძელდება. მათმა სარჩელმა ყველა ინსტანცია გაიარა და ისევ რუსთავის საქალაქო სასამართლოში დაბრუნდა. სასამართლომ საგადასახადოს უარი უთხრა კრედიტორთა ნუსხაში უზრუნველყოფილ კრედიტორად ჩასმაზე, რადგან დარღვეული აქვთ პროცედურა. გაკოტრების სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საგადასახადო ინსპექციას საჭირო განაცხადი დროულად და სწორ მისამართზე არ ჰქონდა გაკეთებული. მიუხედავად ამისა, საგადასახადო აგრძელებს მისთვის არასასურველი გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, რადგან კანონი აძლევს ამის საშუალებას,"** - აცხადებს გაკოტრების მმართველი.

**"საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნის საერთო ოდენობა, 12 მილიონი ლარი, საწარმოს ქონებაზე თითქმის ორჯერ მეტია. ამასთან ერთად, იგი ითხოვს პრივილეგირებულ კრედიტორად აღიარებას, რათა პირველ რიგში მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. რაც იმას ნიშნავს, რომ 1700 მუშა-მოსამსახურის კუთვნილი სახელფასო და საპენსიო დავალიანებები, 730 ათასი ლარი, შესაძლოა, გაუსტუმრებელი დარჩეს. სასამართლოს ყველა ინსტანციამ მუშა-მოსამსახურეების სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. სარჩელი უკვე მეორე წრეზე წავიდა, რადგან საგადასახადომ ის უკვე მეხუთედ გაასაჩივრა დროის გაჭიანურების მიზნით,"** - ნათქვამია წერილში, რომელიც "ქიმბოჭკოს" მუშებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს გაუგზავნეს.

რატომ ებრძვის ასე გაშმაგებით საგადასახადო ინსპექცია "ქიმბოჭკოს" მუშებს? წინა ხელისუფლების ანუ ლევან მამალაძის გუბერნატორობის დროს, საგადასახადოს ამგვარ ქმედებას ჰქონდა ახსნა - მამალაძემ თავად უბრძანა საგადასახადოს ეს დავა წამოეწყო, თუმცა ეს მითითება მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, როცა "ქიმბოჭკოს" მაშინდელმა გაკოტრების მმართველმა ლაზარე ძირკველიშვილმა კერძო კრედიტორების 3,5 მილიონ ლარიანი მოთხოვნა სასამართლოში სადაოდ აქცია და უარყო. სწორედ მაშინ გაჩნდა ეჭვი, რომ საგადასახადო ინსპექცია (იგივე სახელმწიფო ჩინოვნიკები) თავიდანვე გარიგებაში იმყოფებოდა კერძო კრედიტორებთან და ამის გამო არ შეიტანა დროულად განაცხადი სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში ხომ კერძო ფირმები საკუთარ ვალებს უბრალოდ ვერ მიიღებდნენ?!

ახალი ხელისუფლების პირობებში საგადასახადო ზუსტად ისევე იქცევა, როგორც ადრე იმ მოტივით, რომ კანონი მათ უპირატესობას ანიჭებს.

**"არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ ლახავს ისე უმოწყალოდ მუშა-მოსამსახურეების ინტერესებს, როგორც საქართველოს კანონი "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ,"** - აცხადებენ "ქიმბოჭკოს" მუშები. ამ კანონში არსებული ხარვეზების თაობაზე საუბრობენ სპეციალისტებიც. მათი თქმით, კანონში არ არის მითითებული, თუ რა ვადაში უნდა გასაჩივრდეს გაკოტრების მმართველის მიერ უარყოფილი კრედიტორული დავალიანება. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ სასამართლო დავები უსაშველოდ გაგრძელდეს და შეაფერხოს გაკოტრების პროცესის დასრულება.

გარდა ამისა, დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც კრედიტორთა ნუსხაში პირველი ადგილი უპირობოდ ეკუთვნის სახელმწიფოს. ექსპერტების თქმით, ეს ყველა ნორმალური ქვეყნისათვის მისაღები შესწორებაა, რადგან იქ წარმოუდგენელია, რომ საწარმოს საკუთარი მუშების 8 წლიანი სახელფასო და საპენსიო დავალიანებები ჰქონდეს. სამწუხაროდ, საქართველო "ნორმალური სახელმწიფო" არ არის და მსგავსი პრობლემა თითქმის ყველა საწარმოში არსებობს, რაც უმუშევრად დარჩენილ ხალხში სოციალური უსამართლობის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ პრობლემის მოგვარება თავისუფლად შეუძლია საქართველოს პარლამენტს, თუ ის შესწორებას შეიტანს გაკოტრების კანონში და მიუთითებს, რომ უპირობოდ უნდა იქნეს გასტუმრებული მუშა-მოსამსახურეების სახელფასო და საპენსიო დავალიანებები. "ქიმბოჭკოს" შემთხვევაში, ეს შესწორება წერტილს დაუსვამდა დაუსრულებელ სასამართლო დავას და ხელს შეუწყობდა გაჭიანურებული გაკოტრების პროცესის დროულად დასრულებას.

"ქიმბოჭკოს" მუშა-მოსამსახურეები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დახმარებას სთხოვენ და "ცალკეული ჩინოვნიკების ვიწრო მერკანტილურ ინტერესებზე" საუბრობენ.

**"იმედი გვაქვს, რომ თქვენი მხარდაჭერით თავიდან იქნება აცილებული პოლიტიკური ზეწოლით უკანონო გადაწყვეტილების მიღება, რათა ადგილი არ ჰქონდეს 2000-მდე უფლებაშელახული ოჯახის მცდელობას - სხვა გზებით იბრძოლოს თავისი ღირსების აღდგენისათვის,"** - ასე სრულდება ქიმბოჭკოელების მიმართვა ნინო ბურჯანაძისადმი.

# მე-11 ბრიგადის საქმიანობას პროკურატურა შეისწავლის

შესაძლოა, ვაზიანის სამხედრო ბაზეზე დისლოცირებული მე-11 ბრიგადის საქმიანობით სამხედრო პროკურატურა დაინტერესდეს.

როგორც თავდაცვის ახალი მინისტრი გიორგი ბარამიძე აცხადებს, არსებობს ვარაუდი, რომ ბრიგადისთვის განკუთვნილი თანხები ხშირად არამიზნობრივად იხარჯებოდა. ამის გამო გამორიცხული არ არის, მინისტრმა ბრიგადის საქმიანობის შესწავლის თხოვნით მიმართოს პროკურატურას.

თავდაცვის მინისტრის რანგში ბარამიძემ ვაზიანის სამხედრო ბაზა პირველად მოინახულა.

*მედია-ნიუსი*

# ხონის კოლონიის პატიმრები ამნისტიის მოთხოვნით შიმშილობენ

ხონის კოლონიაში 14-მა პატიმარმა შიმშილობის აქცია დაიწყო. მოშიმშილე პატიმრები ყოფილი მებრძოლები არიან და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ.

მოშიმშილეები აცხადებენ, რომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ პატიმრობიდან, რადგან თუ ხელისუფლებამ ლოთი ქობალია შეიწყალა, მაშინ თავისუფლება მათაც ეკუთვნით. ყოფილი მებრძოლები (ამჟამად - მოშიმშილე პატიმრები) აქციის შეწყვეტას არ აპირებს, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. არსებული ინფორმაციით, დღეისთვის საპატიმროში 100-მდე ყოფილი მეომარი იხდის სასჯელს - ყოფილი გვარდიელები და მხედრიონელები. არსებული მონაცემებით, ხელისუფლებამ ყველა ზვიადისტი პატიმარი უკვე შეიწყალა, ან მათ საქმეს ეროვნული შეწყალების კომისია იხილავს.

*ინტერ-პრესი*

# კოტე კემულარიას ელჩობა სრულდება



*"მე ჭარისკაცი ვარ და სადაც სამშობლო მოითხოვს, იქ დავდგები.*

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩი კოტე კემულარია ბოლო წუთამდე უარყოფდა მოსკოვიდან მის შესაძლო გაწვევაზე ინფორმაციას. "ეხო მოსკვის" სტუდიაში შესვლამდე ელჩს გადასცეს "ინტერფაქსის" ხაზით მოსული ინფორმაცია, სააკაშვილის განცხადებაზე კემულარიას ახალ დანიშვნასთან დაკავშირებით - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ.

**"მე ჯარისკაცი ვარ და სადაც სამშობლო მოითხოვს, იქ დავდგები. ასეთ თანამდებობაზე უარის თქმა კი ნამდვილად არ შემეძლო,"** - ილიმებოდა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი.

მოსკოვის პოპულარული რადიოსადგურით გამოსვლისას ჟურნალისტებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ კოტე კემულარიას ელჩობა არ აცალეს. არადა, კემულარიას ყველა ნაბიჯში იგრძნობოდა, რომ იგი მოსკოვში დიდი ხნით დასარჩენად ემზადებოდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც საელჩოს შენობაში მორიგი რემონტისათვის სამზადისი.

**"რუსულ მედიას დიდი მადლობა ყურადღებისათვის. ნამდვილად გული მწყდება, რომ მათთან ურთიერთობას ვერ ვაგრძელებ, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ჩემს ადგილას მოვა კაცი, ვინც საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ყველაფერს გააკეთებს. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციაში ახალი ელჩის დანიშვნას, კანდიდატურის შერჩევაში მე აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას,"** - განაცხადა "ეხო მოსკვიში" კემულარიამ. რაც შეეხება თბილისში შეთავაზებულ ახალ პოსტზე მოღვაწეობას, იგი ამბობს, რომ საქართველოში ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებას აპირებს; მისი მოთხოვნა იქნება - **"სასამართლოები სასამართლოებს დაემსგავსოს"**.

საგულისხმოა, რომ აწ უკვე ყოფილ ელჩს მოსკოვიდან საქართველოს საელჩოში შევარდნაძის ეპოქიდან შემორჩენილი ძველი თანამშრომლებიც მიჰყვებიან. საქმე ისაა, რომ რუსეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის თანამშრომელთა დიდ ნაწილს როტაცია უწევს.

*რუსუდან ნიკურაძე, საკ. კორ. მოსკოვში*

# ერგნეთის ბაზრობა აღარ არსებობს

საქართველოს ეკონომიკის ყველაზე ტევადი "შავი ხვრელი" იქოლება. ამ სამი დღის წინ ხელისუფლების მიერ ერგნეთის ბაზრობისკენ მიმავალი გზების ჩაბეტონებამ შედეგი გამოიღო. ბაზრობის მოვაჭრეები უკვე ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსებულ ჯიხურებს შლიან და ცხინვალში გადააქვთ.

სავარაუდოდ, ოსურმა მხარემ ერგნეთის კონტეინერების დემონტაჟი იმ მიზნით დაიწყო, რომ ახალი ბაზრობა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოაწყოს. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთიდან კონტრაბანდის შემოდინება ისევ გრძელდება, მაგრამ ტვირთები მხოლოდ ცხინვალამდე აღწევს.

14 ივნისს ერგნეთში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, რომლის თქმითაც, ამიერიდან "ერგნეთის ბაზრობამ არსებობა დაასრულა".

ერგნეთის ბაზრობა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთიდან საქართველოში კონტრაბანდული ტვირთების შემოტანის აღკვეთის მიზნით გააუქმა. შეგახსენებთ, რომ რუსეთიდან საქართველოში შემომავალი ტვირთის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებიდან, კონტრაბანდული ტვირთის სახით შემოდიოდა.

*24 საათი*

# კრწანისის რეზიდენცია მალე გაიყიდება

კრწანისში პრეზიდენტის სამთავრობო რეზიდენციის ყიდვით რუსი და ბრიტანელი ბიზნესმენები არიან დაინტერესებულნი. ამის შესახებ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა.

"მთავრობის ორიენტირი რეზიდენციის ძვირად გაყიდვაა, რათა ბიუჯეტში სოლიდური თანხა შევიდეს და, შესაბამისად, ის მსურველი დაკმაყოფილდეს, ვინც მეტს გადაიხდის. თუმცა, უმჯობესია, რეზიდენცია ქართველების საკუთრება გახდეს," - მიიჩნევს ბენდუქიძე.

მისივე ინფორმაციით, რეზიდენციის საწყისი ფასი 29 მილიონი ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო რეზიდენციის აუქციონზე გატანის თაობაზე განცხადება კახა ბენდუქიძემ კვირას, სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" გააკეთა და იქვე, ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაციაზე შეკრებილ ქართველ ბიზნესმენებს ერთობლივი ძალებით მისი შეძენა ურჩია.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მყიდველი ეროვნული ნიშნით არ შეირჩევა. მისივე თქმით, ასევე გაიყიდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განთავსებული სამთავრობო რეზიდენციები. კრწანისის, წყალტუბოს და ვარციხის სამთავრობო აგარაკებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი 19 ივლისამდე მოეხსნება, ხოლო ბორჯომში და ქობულეთში განთავსებული სამთავრობო კომპლექსისთვის აღნიშნული სტატუსის ლიკვიდირების ვადა 19 ნოემბრამდეა გახანგრძლივებული. ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, თავისი ოჯახით, დღემდე კრწანისის რეზიდენციის ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობს.

*პრაიმ-ნიუსი*

# თბილისში დანაშაული კვლავ მატულობს

თბილისის პოლიციის განყოფილებებმა გასულ კვირას დედაქალაქის ტერიტორიაზე 54 სისხლის სამართლის დანაშაული აღრიცხეს, მათ შორის ორი - მკვლელობის, ორი - ხულიგნობის, ერთი - მკვლელობის მცდელობის, ერთი - გაუპატიურების, თორმეტი -ჯანმრთელობის დაზიანების, ოთხი - ძარცვისა და თაღლითობის, შვიდი - ყაჩაღობის, თხუთმეტი - ქურდობისა და სხვა დანაშაულის ფაქტი.

გასულ კვირას თბილისში დააკავეს რვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის თექვსმეტი წევრი, რომელთაც ბრალი ედებათ თერთმეტი დანაშაულის ჩადენაში. პოლიციელებმა ნარკოდანაშაულის ათი ფაქტი აღრიცხეს, რომელთაგან ორზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ხოლო დანარჩენი ადმინისტრაციული წესით განხილვისთვის გაიგზავნა სასამართლოში.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებაზე აღიძრა სამი სისხლის სამართლის საქმე.

დაკავებულია შვიდი ძებნილი; მათ შორის - ქურდობის, მკვლელობის მცდელობის, ნარკოდანაშაულის, დეზერტიროობისა და სხვა ბრალდებებით.

*მედია-ნიუსი*

# მეტალურგების აქცია

გუშინ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ადმინისტრაციული შენობის წინ ქარხნის 200-მდე ტრავმირებულმა პენსიონერმა და მუშამ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი იტალიელი ინვესტორების მხრიდან ქარხნის ჯართად დაჭრისა და გაყიდვის წინააღმდეგ გამოდიან და მეტალურგიულ კომბინატში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მისვლას ითხოვენ.

"კმარა მეჯართე ანჟელას და მისი დამქაშების პარპაში!" "ქარხანას ჯართად არ დაგაჭრევინებთ!" "რუსთავი და მეტალურგები პრეზიდენტს ელოდებიან!" "მიშას იმიჯი არ შეელახება, თუ კანონი ვაი-ინვესტორებს ქარხანას დაატოვებინებს!" - ასეთი შინაარსის იყო რუსულ და ქართულ ენაზე შესრულებული ტრანსპარანტები, რომლებიც აქციის მონაწილეებს ეჭირათ.

აქამდე მსგავს საპროტესტო აქციებს თითქმის ყოველკვირეულად მხოლოდ პენსიონერი მეტალურგები აწყობდნენ, გუშინ კი მათ შორის მრავლად იყვნენ ახალგაზრდებიც. ისინი იტალიელი ინვესტორისაგან დაპირებული ვალდებულებების შესრულებას ითხოვდნენ.

**"თუ მათ ქარხანაში დარჩენა სურთ, კეთილი ინებონ და მთელი სიმძლავრით აამუშაონ ის. მხოლოდ ერთი საამქროს ამუშავებით ქარხანა ვერ გადარჩება, რატომ არ უნდათ შეასრულონ ის ვალდებულებები, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ საკუთარ თავზე აიღეს?"** - აცხადებენ ისინი.

ამ აქციამ, როგორც ჩანს, ძალიან გააღიზიანა იტალიელების წარმომადგენლები. ისინი თავად ხალხთან არ გამოსულან, თუმცა მათი სახელით ხალხთან მივიდა უცნობი მამაკაცი, რომელმაც აქციის მონაწილეებს "მოსყიდულები" უწოდა. იგივე შეფასება მისცა აქციას ალექსანდრ სერიოგინმა, შპს "რამკ"-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ. მისი თქმით, მეტალურგები ქარხნის რეაბილიტაციის მმართველმა მოისყიდა, რადგან მათ პენსიები დაურიგა.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ასობით მუშა და პენსიონერი კვლავაც აპირებს საპროტესტო აქციების გამართვას. **"ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ არ დავინახავთ, რომ ქარხანას დაჭრა და გაყიდვა აღარ ემუქრება,"** - ამბობენ ისინი.

*24 საათი*

# დამოუკიდებელი მაჟორიტარები ზურაბ სოსელიას მხარს უჭერენ

საპარლამენტო უმრავლესობისგან განსხვავებით, სადაც ვნებები ზურაბ სოსელიას კანდიდატურის ირგვლივ არა და არ ცხრება, დამოუკიდებელ მაჟორიტართა ფრაქცია მთლიანად უჭერს მხარს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე ნინო ბურჯანაძის მიერ დასახელებულ კანდიდატს.

გუშინ დამოუკიდებელი მაჟორიტარები ზურაბ სოსელიას სამოქმედო გეგმას ეცნობოდნენ. კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის კანდიდატთან შეხვედრა საკმაოდ კეთილგანწყობილ გარემოში მიმდინარეობდა. მით უფრო, რომ დეპუტატებს პოზიცია უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ - სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ფრაქციის თავმჯდომარემ ვანო ჩხარტიშვილმა ჩვენთან საუბარში ღიად განაცხადა, რომ სავსებით უჭერს მხარს ზურაბ სოსელიას კანდიდატურას და მიაჩნია, რომ პარლამენტის მიერ სოსელიას დამტკიცების შემთხვევაში, ახალი თავმჯდომარე წარმატებით გაართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

სხდომის დაწყებისთანავე ვანო ჩხარტიშვილმა ზურაბ სოსელია ასე გააცნო თავის კოლეგებს: **"შესანიშნავი ოჯახის შვილი, თავადაც შესანიშნავი ოჯახის მქონე ადამიანი. თავისი საქმის პროფესიონალი"**.

ასეთი წარდგენის შემდეგ, ზურაბ სოსელიამ პარლამენტარებს საკუთარი გეგმა გააცნო. ის, რომ კონტროლის პალატა საჭიროებს როგორც თვისებრივ, ისე საკადრო გადახალისებას, ამაში კანდიდატს ეჭვი არ ეპარება. ზურაბ სოსელიას განცხადებით, **"კონტროლის პალატის საქმიანობის სრულიად ახალი კონცეფციის შემუშავებას და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივათა პაკეტის დადებას, მინიმუმ, 2-3 თვე დასჭირდება"**, რადგან განსახილველია რამდენიმე ქვეყნის მოდელი, სადაც მსგავსი სტრუქტურები წარმატებით მუშაობენ, გასაკეთებელია შესაბამისი დასკვნები. ეს კი, როგორც ზურაბ სოსელია აცხადებს, **"რამდენიმე დღეში ნამდვილად ვერ მოესწრება"**.

მაჟორიტარები, ძირითადად, იმ პრობლემებით ინტერესდებოდნენ, რომელიც კონტროლის პალატის ადგილებზე მუშაობას უკავშირდებოდა. ვანო ჩხარტიშვილმა ისიც განაცხადა, რომ **"კონტროლის პალატის თავმჯდომარეობის კანდიდატისთვის უფრო მნიშვნელოვანი სწორედ მაჟორიტარი კანდიდატების მხარდაჭერაა, ვიდრე იმ დეპუტატებისა, ვინც პარტიული სიით არიან პარლამენტში შესული"**. ამ მოსაზრებას სხდომის ყველა მონაწილე დაეთანხმა.

დაბოლოს: პარლამენტი ზურაბ სოსელიას კანდიდატურას ხუთშაბათს განიხილავს. დღემდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საპარლამენტო უმრავლესობა, მის რიგებში არსებული განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, მაინც დაუჭერდა მხარს პარლამენტის თავმჯდომარის პროტეჟეს. თუმცა, ჩვენთან საუბარში უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, კანდიდატურის განხილვისას მოვლენები სრულიად სხვაგვარად განვითარდეს და სოსელიას კანდიდატურის დამტკიცებას უმრავლესობის ნაწილმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს.

*24 საათი*

# საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ბრიუსელში მიემგზავრება

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, დღეს, სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელში მიემგზავრება. ვიზიტის მთავარი მიზანია საქართველოს დონორთა კონფერენციაში მონაწილეობის მიღება. პირველივე დღეს, ზურაბ ჟვანია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის პროგრამების კოორდინატორს კარლოს პასკუალს შეხვდება. საუბარი შეეხება ამერიკისა და საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავებას და ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას პრეზიდენტ ბუშის " ათასწლეულის პროგრამაში".

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ხელისუფლებას ათი ათასობით დოლარის არამიზნობრივად განკარგვაში ადანაშაულებს. გუშინ გამართულ ბრიფინგზე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ "ხელისუფლებამ გასულ კვირას გაჭირვებულ ადამიანებს სულში ჩააფურთხა, როცა ათი ათასობით დოლარი დახარჯა დეპუტატების ჩაქვში დასასვენებლად". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთში მოქმედი 20-მდე გავლენიანი პოლიტიკური პარტიის და საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენლებმა ცხინვალის უნივერსიტეტში გამართულ შეკრებაზე რუსეთის ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ და რესპუბლიკის რუსეთის შემადგენლობაში მიღებისკენ მოუწოდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიასთან აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკურმა ქართველებმა - ინგილოებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ზაქათალის ოლქში კომპაქტურად დასახლებული ინგილოები აზერბაიჯანის ადგილობრივ ხელმძღვანელობას მათ ეროვნულ დისკრიმინაციაში ადანაშაულებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის მიწვევით, სოხუმში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 13-კაციანი დელეგაცია, რომელსაც სათათბიროს ფრაქცია " როდინას" თავმჯდომარე დიმიტრი როგოზინი ხელმძღვანელობს. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, აფხაზმა დეპუტატებმა და საზოგადოებამ რუსული დეპუტაციისგან ოფიციალური მოსკოვის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და აფხაზეთსა და რუსეთს შორის ასოცირებული ურთიერთობების გაფორმება უმოკლეს ვადებში კატეგორიულად მოითხოვეს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ილჰამ ალიევი: დრო ჩვენზე მუშაობს

გიორგი ასანიშვილი



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ადასტურებენ, რომ მათ ქვეყნებს საერთო სტრატეგიული ინტერესი აქვთ და იგი ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვაში გამოიხატება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პარლამენტში გუშინ გამართული შეხვედრის დროს ბურჯანაძემ და ალიევმა იმ გარემოებასაც არაერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები აღმავალი გზით ვითარდება. **"პრობლემები და პრინციპული ხასიათის სიძნელეები ჩვენს ქვეყნებს შორის არასდროს ყოფილა,"** - აღნიშნავს საპატიო სტუმარი და იქვე იმასაც შენიშნავს, რომ მისი ამჟამინდელი დელეგაცია ყველაზე დიდია, რომელიც მას საზღვარგარეთული ვიზიტების დროს ოდესმე ხლებია. **"დიდი დელეგაცია იმიტომ წამოვიყვანე, რომ ორი ქვეყნის მინისტრებსა და პარლამენტარებს შორის კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს,"** - განმარტავს აზერბაიჯანის პრეზიდენტი.

ამასთან, ილჰამ ალიევი არ მალავს, რომ **"ორივე ქვეყანაში და მის გარეთაც არიან გარკვეული ძალები, რომლებიც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების გამწვავებას ცდილობენ"**, თუმცა, მეზობელი სახელმწიფოს მეთაური მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ **"მათ ჩანაფიქრს განხორციელება არ უწერია"**.

ასეთი ძალების არსებობას არც ნინო ბურჯანაძე უარყოფს. მისი აზრით, **"მტრულ ძალებს მანიპულირების ნაკლები შესაძლებლობა ექნებათ, თუ საქართველო და აზერბაიჯანი კიდევ უფრო განვითარდებიან და ძლიერ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდებიან."**

საქართველოს პარლამენტის სპიკერთან გუშინდელი შეხვედრის დროს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გვერდი არც ისეთ საჩოთირო საკითხს აუარა, როგორიც არის ინგილოებთან დაკავშირებული ზოგიერთი მოუგვარებელი პრობლემა (ისინი, ძირითადად, სასკოლო სახელმძღვანელოებს უკავშირდება). ილჰამ ალიევის განცხადებით, პრეზიდენტ სააკაშვილთან მისი მოლაპარაკებების დროს მიღწეული იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ სახელმძღვანელოები ისტორიასა და გეოგრაფიაში ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით მომზადდეს.

ორ ქვეყანას შორის დღემდე მოუგვარებელ კიდევ ერთ საკითხზე, თავის მხრივ, ნინო ბურჯანაძე საუბრობს: საქართველოს პარლამენტის სპიკერს საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და დემილიტაციის ბოლომდე მიყვანა. ამ შემთხვევაში, თავიდან იქნება აცილებული ის სირთულეები, რომლებიც კონტრაბანდასთან ბრძოლის დროს "წითელ ხიდზე" წარმოიშვება ხოლმე.

ამასთან, მასპინძელი სპიკერი და სტუმარი პრეზიდენტი ხაზგასმით საუბრობენ ორ ქვეყანას შორის "ურთიერთობების ახალ ეტაპზე", რასაც მათი ერთნაირი მდგომარეობაც განაპირობებს: საქართველოსა და აზერბაიჯანის წინაშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი მთელი სიმწვავით დგას.

**"ტერიტორიულ პრობლემებს აუცილებლად გადავჭრით. დრო ჩვენზე მუშაობს,"** - ოპტიმისტურად არის განწყობილი ილჰამ ალიევი, რომელიც სინანულით იმასაც დასძენს, რომ **"სეპარატიზმთან ბრძოლის მნიშვნელობას უცხოეთში ზოგჯერ სათანადოდ ვერ აღიქვამენ"**.

ნინო ბორჯანაძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

## პრეზიდენტების და პრობლემების მსგავსება

პირველი გვერდიდან

იგი კვლავ იმეორებს ორი ქვეყნის მეთაურებს შორის არსებულ მსგავსებებს. **"ჩვენ თითქმის ერთდროულად მოვედით ხელისუფლებაში. ჩვენ ბევრი გვაქვს საერთო როგორც განათლების, ისე სადეპუტატო მოღვაწეობის და ასაკის თვალსაზრისით,"** - ეთანხმება ქართველ კოლეგას ილჰამ ალიევიც. გარდა ამისა, აზერბაიჯანის პრეზიდენტის აზრით, ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთმხარდაჭერისა და დახმარების დამოკიდებულება **"ახლა სტრატეგიული პარტნიორობის რანგში ავიდა"**.

აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის ძალზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარალელებიც: **"როგორც აზერბაიჯანი, ისე საქართველო აგრესიული სეპარატიზმისგან დაზარალდნენ. აზერბაიჯანი სომხეთის აგრესიისგან დაზარალდა და თავისი ტერიტორიის ოცი პროცენტი დაკარგა. ჩვენ დღეს იმისკენ ვისწრაფვით, რომ ამ აგრესიას ბოლო მოვუღოთ. ჩვენ მშვიდობიან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ აზერბაიჯანელი ხალხის მოთმინება უსაზღვრო არ არის. აზერბაიჯანელები თავისი ტერიტორიის ოკუპაციას ვერ შეეგუებიან. გვჯერა, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, რადგან ეს არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა. სასურველია, რომ ეს რაც შეიძლება სწრაფად და მშვიდობიანად მოხდეს"**.

სიტყვით გამოხატული კეთილგანწყობა, სახელმწიფოებრივი დოკუმენტებითაც გამყარდა. ხელი მოეწერა შემდეგ შეთანხმებებს: "საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ", "საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის სარკინიგზო მიმოსვლის კოორდინირების შესახებ", "საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აზერბაიჯანის გადასახადების სამინისტროს თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების", "საქართველოსა და აზერბაიჯანის საავიაციო ხელისუფლებათა შორის სამოქალაქო ავიაციის დარგში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების" და "საქართველოს ტელერადიომაუწყებლობასა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელერადიო სამაუწყებლო კომპანიას შორის თანამშრომლობის თაობაზე".

დოკუმენტების გაფორმება დაგვირგვინდა საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების ერთობლივ კომუნიკეზე ხელმოწერით.

სტუმარ-მასპინძელმა გუშინდელი საღამო უკვე ნაკლებად ოფიციალურ და უფრო სასიამოვნო გარემოში გაატარეს - საზეიმო მიღება და სუხიშვილების კონცერტი. ხვალ აზერბაიჯანის პრეზიდენტი, თავის ქართველ კოლეგასთან ერთად, აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულში ჩავა. შემდეგ წითელ ხიდს მოინახულებს და სამშობლოში მანქანით გაემგზავრება.

და, ბოლოს, ერთი დეტალიც: ძველ თბილისში, მეიდანთან მდებარე სკვერს ჰეიდარ ალიევის სახელი დაერქვა.

# მოგზაურობა, კანონშემოქმედება, სულიერება...

პირველი გვერდიდან



მონატრებულმა პარლამენტარებმა ერთმანეთი თბილად მოიკითხეს.

იური ლობოდინის ფოტო

"შემხვედრი მიმართულებით" ასეთ ინტენსიურ გადაადგილებებს, ცხადია, საკმაო თანხა სჭირდება. ამიტომ, ბიუროს წევრები გუშინ მოწონებით შეხვდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის "გაუმჯობესებული პროექტი" პარლამენტში უკვე შემოვიდა და მასში საკანონმდებლო ორგანოსთვის, დამატებით, ნახევარი მილიონი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული.

წასვლა-წამოსვლა, თავისთავად, კარგია, მაგრამ პარლამენტშიც უამრავი "საქმე დაგროვდა": ბიუროს სხდომამ მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების 47-პუნქტიანი დღის წესრიგი დაამტკიცა. თანაც, ეს კვირა საგაზაფხულო სესიის ბოლო კვირაა. ამიტომაც აფრთხილებს პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებს, რომ ხანგრძლივი არდადეგების იმედი არ უნდა ჰქონდეთ - ამ ზაფხულს პარლამენტარებს რიგგარეშე სესიებზე ინტენსიური მუშაობა მოუწევთ.

მიმდინარე კვირაში განსახილველი საკითხებიდან ყველაზე დიდ ინტერესს კონტროლის პალატის თავმჯდომარის არჩევის საკითხი იწვევს, თუმცა ნინო ბურჯანაძე ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამ საკითხმა ინტრიგა უკვე დაკარგა და ზურაბ სოსელიას პარლამენტში არანაირი პრობლემა არ შეექმნება, ისევე, როგორც კოტე კემულარიას, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლება.

**"კემულარია კარგი იურისტია, ის ნამდვილი პროფესიონალია და მის კანდიდატურას პარლამენტი უპრობლემოდ დაამტკიცებს,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე, თუმცა, იგი გადაჭრით ვერ ამბობს, თუ როდის წარედგინება პარლამენტს კემულარიას კანდიდატურა.

ამ კვირაში პარლამენტში აჭარის სტატუსის შესახებაც დაიწყება მსჯელობა. როგორც ჩანს, აჭარის უმაღლესი საბჭოს 20 ივნისის არჩევნებამდე სტატუსის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ვერ მოესწრება. დეპუტატები, სავარაუდოდ, კანონპროექტს პირველი მოსმენით მიიღებენ, მეორე და მესამე მოსმენით განხილვა კი არჩევნების შემდეგ გაიმართება.

საინტერესო უნდა იყოს იმ კულუარული ბრძოლის ფინალიც, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, "თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" კანონის გარშემო მიმდინარეობს. ზურაბ ტყემალაძე, ვანო ჩხარტიშვილი, რომან გოცირიძე და სხვები ამ კანონის სასწრაფოდ გაუქმებას ითხოვენ. იგივე მოსაზრებას გამოთქვამს ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომლის თქმითაც, ვიდრე აღნიშნული კანონი მოქმედებს, სიგარეტით მოვაჭრეთა აბსოლუტური უმრავლესობა კანონდამრღვევთა კატეგორიას განეკუთვნება.

განსხვავებული პოზიცია აქვს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს გიგი წერეთელს, რომლის თქმითაც, "თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" კანონის უპირობოდ გაუქმება დაუშვებელია, რადგან, ამ შემთხვევაში, "ძალიან ბევრი სფერო ლიცენზირების გარეშე დარჩება". წერეთელი ფიქრობს, რომ კანონი კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ მისი მოქმედება ოქტომბრამდე გადავადდეს, მანამდე კი მასში ან ცვლილებები შევიდეს, ან ეს ცვლილებები სხვა კანონებში აისახოს.

თუმცა, დაპირისპირებულ ძალთა ბალანსი აშკარად არათანაბარია: "თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" კანონის გაუქმებას გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს და, ამდენად, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მარცხი გარდუვალი ჩანს.

მოგზაურობებისა და კანონშემოქმედების გარდა, დეპუტატები, როგორც ჩანს, სულიერებისთვისაც პოულობენ დროს: როგორც ბიუროს გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, დეპუტატები ვალერი გელაშვილი და ვასილ ჩიგოგიძე მზად არიან, პარლამენტის სამლოცველოს აღდგენისთვის საჭირო სახსრები თავის თავზე აიღონ.

პოზიცია

# ჰკა მაგათ, უწმინდურსისხლიანებს

თეიმურაზ ქორიძე

საქართველოს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა გოჩა ფიფიამ მოითხოვა ინფორმაცია მთავრობის წევრთა და მათი მშობლების ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის შესახებ.

სუფთა სისხლისა და უმაღლესი ხარისხის ქართველი, ბატონი ფიფია არც პარლამენტში და არც მის გარეთ არ არის ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელსაც ამგვარი ცნობისმოყვარეობა ჰკლავს. გავიხსენოთ, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ, თითქმის სახელმწიფოებრივ დონეზე, რა აგანგალა იყო ატეხილი ჟვანიას, სააკაშვილის, დავითაშვილის, მერაბიშვილის, ბეჟუაშვილის, თევდორაძისა და სხვათა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსის გამო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთდროულად ორ გაზეთში გამოქვეყნდა ანონიმ ავტორთა ჯგუფის დეტექტიური "გამოკვლევები" ამ პიროვნებების "ულირს მოღვაწეობაზე". მთელი მათი "უსაქციელობა" პატივცემულმა "ანონიმშიკებმა" ამ პიროვნებების არაქართულ წარმოშობას დააბრალეს. სულ მალე იმავე ანონიმი ავტორების საგაზეთო სტატიების სერია წიგნადაც გამოიცა ("ოთხი დღე, რომელმაც შეძრა საქართველო"). ამგვარი "გამოკვლევები" ქართულ პრესაში დღესაც ქვეყნდება.

ნიშანდობლივია, რომ არც სერიოზულ პოლიტიკურ წრეებს, არც ხელისუფლების წარმომადგენლებს, არც ინტელიგენციის ელიტარულ ნაწილს, არც ჟურნალისტურ ამქარს და, რაც ყველაზე გასაოცარია, არც სახალხო დამცველის აპარატს ამ უმსგავსობაზე სერიოზული პროტესტი არ გამოუთქვამთ. "დილის გაზეთმა" გაბედა და გამოაქვეყნა ჩემი ვრცელი სტატია ("აქლემების მარულა"), სადაც შევეცადე, ფარდა ამეხადა ანონიმ ავტორთა და შემკვეთთა კაცთმოძულე იდეოლოგიისათვის.

არც მაშინ და არც ახლა სადავოდ არ ვხდიდი და არ ვხდი უცნობ ავტორთა უსუსურ მტკიცებებს ე.წ. "ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფის" "ანტისახელმწიფოებრივ, დანაშაულებრივ" ქმედებებზე. ეს მათ სინდისზე იყოს. საზოგადოებისთვის, მთლიანად სახელმწიფოსთვის, გაცილებით საშიში ის მოვლენაა, როცა ნებისმიერი რანგის ჩინოვნიკების თუ პოლიტიკური ოპონენტების ნამდვილ და გამოგონილ დანაშაულებრივ საქმიანობას ამ ჩინოვნიკებისა თუ პოლიტიკური ოპონენტების ეთნიკური წარმომავლობითა და რელიგიური მრწამსით ხსნიან.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად, ხელისუფლებაში, დღესაც არიან ქსენოფობიის უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანები. ან უარესი - სავსებით ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც შეგნებულად მტრობენ საკუთარ ხალხს და სამშობლოს.

მართალია, გოჩა ფიფია არის პიგმეი პოლიტიკაში და ამ ასპარეზზე ვერასოდეს ვერაფერს ღირებულს შექმნის, მაგრამ ბედის ირონიით, იგი არის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი. ამიტომ მისი ყველა განცხადება ფიქსირდება და სამუდამო სირცხვილად ენახება შთამომავლობას. თანაც, ფიფია გამოხატავს არა საკუთარ აზრს, არამედ გამოხატავს აზრს იმ ადამიანებისა, ვინც დღესაც "წმინდა ქართველობაზე" ლაყბობს და ამჟამად აფრიალებს ბასილ მკალავიშვილის დროშას ლოზუნგით "საქართველო ქართველებისათვის".

თხუთმეტიოდე წლის წინათ მხოლოდ ერთეულებს თუ ეყოთ ვაჟკაცობა, საჯაროდ აემაღლებინათ ხმა გაუგონარი, ქსენოფობიური ძალადობის წინააღმდეგ. ერთეულებმა, ბუნებრივია, ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ის პროცესები, რაც ამ ძალადობას მოჰყვა - უკიდურესი სამოქალაქო დაპირისპირება, დამანგრეველი სამოქალაქო ომი და საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცება.

მართალია, "მრგვალი მაგიდა" ისტორიის კუთვნილებად იქცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხლობს "ზვიადიზმის" პირმშო - უნიტარული, "წმინდა ქართული", მართლმადიდებლური სახელმწიფოს შექმნის ბოდვითი იდეა.

დღეს ხელისუფლების სათავეში ევროპულად განსწავლული და ევროპისკენ მიმავალი გზების მაძიებელი "კარგი ბიჭი", მიშა სააკაშვილია. მისი გუნდის წევრებიც პრეზიდენტის თანამოაზრეები და, აგრეთვე, კარგი ბიჭები ბრძანდებიან. ისინი ქსენოფობიის ახალი ტალღის აგორებას არ დაუშვებენ, მაგრამ რა ვქნათ ხვალ, ხელისუფლების სათავეში ვინმე ფიფიას ჭკუის "პატრიოტი" რომ მოგვევლინოს? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მას ბევრი მხარდამჭერი და იდეოლოგი გამოუჩნდება. ამ კარგი ბიჭების მმართველობის ჟამსაც ხომ საქართველოში საკმარისზე მეტია აშკარად ნაცისტური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები. მეტიც, თანამედროვე ქართულ პრესაში დღესაც ბევრია ვარდის სურნელით ნაპკურები რევოლუციონერის მანტიით შენიღბული ნაცისტი, რომელსაც გუშინ თავისი "არაქართველი" თანამოქალაქეებისთვის ერთადერთი მოწოდება ემეტებოდა - ჰკა მაგათ!

ხელისუფლებამ, მეცნიერებამ, ინტელიგენციამ, პრესამ ჯერჯერობით ვერ მოიცალა "ქართველთა განსაკუთრებული ისტორიული მისიის" იდიოტური და საშიში თეორიის გასაქარწყლებლად. ერთ-ერთი კარგი ბიჭი, ირაკლი ოქრუაშვილი, ვერც პირველი პროკურორის და ვერც პირველი პოლიციელის, თუნდაც - პირველი მოსამართლის რანგში, ამას ვერ შეძლებს. ამას, სამწუხაროდ, ვერც პრემიერ ზურაბ ჟვანიას გულის აჩუყება უშველის. საზოგადოებრივ დონეზე უნდა დამუშავდეს თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებების ნუსხა, რაც მომავალში მაინც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუქმნის პირობას, ვიღაც ტვინგახურებული ურაპატრიოტის წინაშე, საკუთარი თუ წინაპრების წარმოშობის გამო, ცრემლმორეულმა თავი არ იმართლოს.

მანამდე კი, ფიფიას მსგავსი გამოხდომების აღსაკვეთად, მთელი სიმძლავრით უნდა ამოქმედდეს სისხლის სამართლის კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ქვეყანაში ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებისთვის შესაბამის სანქციებს ითვალისწინებს. პარალელურად, სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა აამუშავოს მძლავრი იდეოლოგიური მანქანა.

ისე, ბატონ ფიფიას, თავისი ამბიციების შესაბამისი თავმოყვარეობაც რომ გააჩნდეს, დეპუტატის უფლებამოსილებას თავად უნდა იხსნიდეს და ბრუნდებოდეს საკუთარ საწარმოში, რომელიც კარგა ხანია "ტრიუმფალურად" იპყრობს საქართველოს.

თუმცა, დიდი მნიშვნელობა არცა აქვს, სად იქნება გოჩა ფიფია - პარლამენტში, სპირტის ჩამოსასხმელ საამქროში, ციხეში, თუ მშობლიურ ზუგდიდში. იგი ყველგან ერთნაირად საშიშია, რადგან თავისივე ჩამოსხმული არაყივით წამლავს გარემოს. უფრო ზუსტად, წამლავს ადამიანის სულსა და გონებას.

ნურავის ეგონება, რომ პარლამენტის დეპუტატებისგან ქალწულებრივი კდემამოსილებით ნასაყვედურები ფიფია დამარცხდა, დანაშაული შეიგნო და, დღეს თუ არა ხვალ სირცხვილისგან ფერფლად იქცევა. სწორედაც რომ პირიქითაა - მან პირნათლად შეასრულა დავალება და ახლა საზოგადოების ყველაზე ბნელი და რეაქციული ნაწილისთვის ნამდვილი გმირია. ნუ დაგავიწყდებათ, მან მოიგო არჩევნები ძალიან სოლიდურ საარჩევნო ოლქში, ზუგდიდში, სადაც, სავარაუდოდ, მისი ბევრი თანამოაზრე უნდა იყოს.

სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ ვერავითარ პრინციპულ განსხვავებას გოჩა ფიფიას, ვლადისლავ არძინბას, ედვარდ კოკოევის, "მამა" ბასილ მკალავიშვილისა და აკადემიკოს შარაძის "სახელმწიფო მოღვაწეობას" შორის. ყველა მათგანი და კიდევ ბევრი სხვა - პარლამენტში, მთავრობაში, პრესაში, მეცნიერებაში, ბაზარში, ეკლესიაში თუ საბავშვო ბაღში, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში თუ ემიგრაციაში, - ემსახურება ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ საქმეს. საძირკველშივე ანგრევს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ეს-ეს არის დაწყებულ მშენებლობას.

ედვარდ კოკოევი ერთი გზას აცდენილი უბირი ოსის ბიჭია. იგი საბოლოოდ ან შავის და თეთრის გარჩევას ისწავლის, ან ადგება და იქით წავა, საიდანაც მოვიდა. ამაში მას ყველაზე აქტიურად ქართველი ოსები დაეხმარებიან. თანაც, შესაძლოა, მას მართლაც გულწრფელად სჯეროდეს საკუთარი ნათქვამ-ნაქნარისა.

კოკოევი არ არის საშიში საქართველოსთვის. საშიშია ქართულად მოლაპარაკე, არაქართულად მოაზროვნე "წმინდასისხლიანი პოლიტიკოსი", რომელსაც არ წაუკითხავს "ბიძია თომას ქოხი", ძალიან მოსწონს საკუთარი თავი პარლამენტში და არ ჰყავს სწორ გზაზე დამყენებელი გულშემატკივარი. იგი გაცილებით დიდი საფრთხეა ქვეყნისთვის, ვიდრე ათასი ქურდბაცაცა ჩინოვნიკი. ამიტომ მისი ანტიქართული (ანუ სახელმწიფოებრივი) მოღვაწეობა უმკაცრეს პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას იმსახურებს. გთხოვთ, სწორად გამიგოთ, მე არ მიხსენებია სიტყვა "სასჯელი", თუმცა, ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებისთვის სისხლის სამართლის კოდექსი დამნაშავის ძმაკაცურად ნამუსზე შეგდებას არ ითვალისწინებს.

XIX საუკუნის რუსეთში მძიმე სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენებისთვის მოქმედებდა, თუ არ ვცდები, ეგრეთ წოდებული гражданская казнь - დამნაშავისათვის საჯაროდ თავზე ხმლის გადამტვრევის პრაქტიკა.

ხმალი მეტისმეტ პატივად მეჩვენება, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, თუ ფიფიას თავისი უსაქციელობისთვის თავზე საჯაროდ არყის ბოთლს გადაამტვრევდნენ, კოკოევს - "Республика Южная Осетия"-ს კონსტიტუციას გადაახევდნენ, ხოლო ზოგიერთ "პატრიოტ" მწერალს, მეცნიერსა და ჟურნალისტს - საკუთარი "ნაშრომების" სქელტანიან კრებულებს.

# აჭარა პრივატიზაციისთვის ემზადება

## ადგილობრივი ხელისუფლება "დიდ ფულს" ელოდება

*აჭარა ფართომასშტაბიანი პრივატიზაციისთვის ემზადება. მოსამზადებელი სამუშაოები აქ უკვე დასასრულს უახლოვდება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, პრივატიზაციის პროცესი აჭარაში შემოდგომაზე დაიწყება. საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა კი უახლოეს რამდენიმე კვირაში დამტკიცდება. ბიუჯეტში შესული მილიონები და უამრავი კერძო მესაკუთრე - გამართლდება თუ არა მთავრობის ეს მოლოდინი, ამას უახლოეს ერთ წელიწადში ვნახავთ.*

ეთერ მამულაშვილი

პრეზიდენტის დავალებით შექმნილმა ეკონომიკის სამინისტროს სპეცილურმა ჯგუფმა აჭარაში მუშაობა თითქმის უკვე დაასრულა. ჯგუფის ხელმძღვანელის ილია გოცირიძის თქმით, რეგიონში განლაგებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა 150-მდე აღწევს, აქედან ყველაზე ბევრი - 130 ბათუმში მდებარეობს. დაახლოებით ამდენივეა იმ არასაცხოვრებელი ფართებისა და შენობების რაოდენობაც, რომელთა გაყიდვით დაიწყება აჭარაში ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესი. ვაჭრობისა და მომსახურების 200-ზე მეტი ობიექტი და 100-მდე მცირე საწარმო იქნება შემდეგი, რისგანაც ხელისუფლება "გათავისუფლებას" აპირებს.

ცნობისათვის: აჭარაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ენერგეტიკის ობიექტების რაოდენობა 12-მდეა, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის - 32, ტრანსპორტის - 10, ტურიზმის - 12, მშენებლობის - 6, მრეწველობის - 11, ნავთობმომარაგებისა და გადამუშავების - 2.

საპრივატიზაციო ობიექტების საბოლოო ნუსხას და გრაფიკს ეკონომიკის სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, სავარაუდოდ, ივლისის დასაწყისში გამოაქვეყნებს. აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ალექსანდრე ბეჟანიძე დიდი პრივატიზაციიდან წელს დიდ ფულს ელოდება. **"ამ ეტაპზე მიჭირს კონკრეტული ციფრის დასახელება, თუმცა გარწმუნებთ, რომ ეს იქნება საკმაოდ დიდი თანხა - რამდენიმე მილიონი, შეიძლება რამდენიმე ათეული მილიონიც კი",** - განაცხადა მან "24 საათთან" საუბრის დროს. აპირებს თუ არა აჭარის ხელისუფლება ბათუმის პორტის, აეროპორტისა და სხვა სტრატეგიული ობიექტების გაყიდვას, მინისტრი ამაზე კომენტარისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. ბეჟანიძის თქმით, პორტისა და სხვა მსგავს საწარმოთა განსახელმწიფოებრიობას მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს, ამიტომაც აჭარის ეკონომიკის მინისტრს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებამდე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ძალიან უჭირს.

ცოტა გაუგებარია ადგილობრივი ხელისუფლების ის ოპტიმიზმი, რომელიც წელს პრივატიზაციიდან მილიონების ამოღებას უკავშირდება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წლის ბოლომდე აჭარაში მსხვილი და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა ვერ მოესწრება, ხოლო იმ მცირე საწარმოებით, რომლის განსახელმწიფოებრიობას ხელისუფლება აპირებს, ექსპერტების შეფასებით, არათუ მილიონების, ერთ მილიონამდე ლარის მობილიზებაც საეჭვოა. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარის როინ ლამპარაძის თქმით, აჭარაში განლაგებული საწარმოების უმრავლესობა არარენტაბელურია, მეტიც - ზოგიერთი მათგანი სასწრაფო ლიკვიდაციას საჭიროებს.

"24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, აჭარაში განლაგებული საწარმოების საბიუჯეტო დავალიანებამ მხოლოდ საგადასახადო კუთხით, უკანასკნელი მონაცემებით, 35 მილიონ ლარს გადააჭარბა. აქედან 18 მილიონზე მეტი სოციალურ და დაახლოებით 17 მილიონი დამატებითი ღირებულების გადასახადებზე მოდის. მაგალითად, ბათუმის თამბაქოს კომბინატის დავალიანებამ ამ დროისთვის 4 მილიონ ნახევარ ლარს გადააჭარბა, ნახევარ მილიონამდე აღწევს ბათუმის ქიმიოფარმაცევტული ქარხნის მიერ გადაუხდელი გადასახადების ოდენობა, საზღვაო-სანაოსნოს ბიუჯეტის 7 მილიონზე მეტი მართებს, დავალიანების სახით თითქმის მილიონი ლარი ერიცხება ავიაკომპანია "აჭარას".

საგადასახადო დეპარტამენტში ვარაუდობენ, რომ ამ ციფრების შეცვლა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. შეგახსენებთ, რომ თითქმის ერთი თვეა, რაც საგადასახადო დეპარტამენტი აჭარაში დამალულ და წლების მანძილზე გადაუხდელ გადასახადებს "ეძებს", რის შესახებაც "24 საათი" ამ ცოტა ხნის წინათ დეტალურად წერდა. ბუნებრივია, რომ ასეულ ათასობით და მილიონობით ლარის დავალიანების მქონე საწარმოები ნებისმიერი ინვესტორისთვის არამიმზიდველია, რაც" შესაბამისად, საწარმოს გასაყიდ ფასებზე მოქმედებს.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად აჭარაში ტურისტული ინფრასტრუქტურის "გასაღება" გაუჭირდება, რადგან რეგიონში კერძო ტურიზმი დიდი ხანია საკმაოდ კარგად არის განვითარებული. **"ამიტომაც ვფიქრობ, რომ ინვესტიციების ჩადება უახლოეს მომავალში ტურისტულ კომპლექსში არ მოხდება. გარდა ამისა, სასტუმროების რეაბილიტაცია და მათი თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოება სერიოზულ დანახარჯებს მოითხოვს",** - ამბობს როინ ლამპარაძე.

აჭარაში მოსალოდნელ პრივატიზაციასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ სპეციალურ რეკომენდაციათა პაკეტი მოამზადა, რომელიც აჭარაში ყველა შესაბამის ორგანოს უკვე დაურიგდა. ასოციაციის აზრით, რეგიონში პრივატიზაცია სამ ეტაპად უნდა ჩატარდეს, კერძოდ: I ეტაპი - "დაჩქარებული პრივატიზაცია" (არასაცხოვრებელი ფართები და სავაჭრო ობიექტები) - 1.5 წელი (2004 წლის აგვისტო—2005 წლის დეკემბერი); II ეტაპი - "მიზანმიმართული პრივატიზაცია" (სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სატრანსპორტო საწარმოები) - 2 წელი (2004 წლის აგვისტო-2006 წლის აგვისტო); III ეტაპი - "სტრატეგიული პრივატიზაცია" (ენერგეტიკის, მშენებლობის, ნავთობგადამუშავება, ნავთობმომარაგების და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები) - 3 წელი (2004 წლის აგვისტო—2007 წლის აგვისტო).


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**16 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ზუბალაშვილების(ნაწილობრივ), ბროსეს, კვალის, რევაზ ლაღიძის, ქუთათელაძის, თაბუკაშვილის, აბაკელიას, ბესიკის, ჟორდანიას, შენგელაიას, შევჩენკოს, ზიჩის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**17 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), ბარნოვის(ნაწილობრივ), კეკელიძის(ნაწილობრივ), ალექსანდრე ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ექვთიმე თაყაიშვილის, არაყიშვილის(ნაწილობრივ), მცხეთის, რადიანის, საბაშელის, რაზმაძის, ქუჩების მაცხოვრებლებს.

**17 ივნისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირი(ნაწილობრივ), კეკელიძის(ნაწილობრივ), შატბერაშვილის, მარაბდის, ტიციან ტაბიძის, მარუხის გმირთას, ქობულეთის, შროშის, მცხეთის, ქუთათელაძის(ნაწილობრივ), კავსაძის, ირაკლი აბაშიძის, ფალიაშვილის, ბერძენიშვილის, ბურკიაშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# გადასახადები მცირდება, აქციზი იზრდება, მინისტრები კმაყოფილები არიან...

პირველი გვერდიდან

მინისტრები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ცვლილებები, პირველ რიგში, გამიზნულია უცხოელი ინვესტორებისთვის, რომლებიც "თეთრად" მუშაობას არიან შეჩვეულნი და რომელთათვისაც სოციალური და საშემოსავლო გადასახადების დაწევა მართლაც სერიოზული სტიმული იქნება.

მინისტრებმა აქვე დააზუსტეს, რომ ცვლილებები, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ამოქმედდება, შესაბამისად, ინვესტიციების სერიოზულ ნაკადსაც მომავალ წელს უნდა ველოდოთ.

ამასთან, ნოღაიდელის შეფასებით, დამატებითი ღირებულების გადასახადის დაუყოვნებლივ ჩათვლის მექანიზმის შემოღება ინვესტორების მოზიდვის უნიკალური საშუალებაა, რადგან აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების ამოქმედება უცხოელს საქართველოში საქმიანობისას რისკებს უმცირებს.

ამასთან, მინისტრები ამბობენ, რომ მთავრობა 21 გადასახადიდან ცხრა გადასახადის დატოვებით და საგადასახადო განაკვეთების შემცირებით 340 მლნ ლარის შემოსავალზე ამბობს უარს და გადასახადის გადამხდელებისაგან შემხვედრ ნაბიჯს ელოდება, რომ ისინი ამ თანხას ისევ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოახმარენ და ინვესტიციის სახით დაუბრუნებენ ქვეყანას.

### ბენდუქიძე - ინდივიდუალურ მეწარმეთა "დაუბეგრაობის" წინააღმდეგ

აქვე კახა ბენდუქიძე, ჟურნალისტებთან საუბრისას, ინდივიდუალურ მეწარმეთა გადასახადებისაგან გათავისუფლებასაც აპროტესტებს:

**"მიმაჩნია, რომ 850 ათასი ინდივიდუალური მეწარმის ყოველგვარი გადასახადებისაგან გათავისუფლება არასწორია. ამით ჩვენ ამ ადამიანებს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების შესაძლებლობას ვართმევთ. სახელმწიფოში ყველა უნდა იყოს გადამხდელი, რადგან მან ამ გადახდილი გადასახადების სანაცვლოდ, სახელმწიფოსაგან რაიმე მოითხოვოს",** — აცხადებს კახა ბენდუქიძე.

შეგახსენებთ, მთავრობის გადაწყვეტილებით, გადასახადისაგან ის ინდივიდუალური მეწარმეები გათავისუფლდებიან, რომლებიც სამუშაოს მარტო ასრულებენ და არ იყენებენ დაქირავებულ შრომას. ეს საგადასახადო შეღავათი მთავრობის ინიციატივით დაწესდა და მისი განხორციელება ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად მოხდება.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მინისტრებმა "რევოლუციური" საგადასახადო ცვლილებები გუშინ ჟურნალისტებს გააცნეს.*

### მეზობელი ქვეყნების საგადასახადო რეჟიმები

სხვათა შორის, საინტერესოა საქართველოს მეზობელი ქვეყნების საგადასახადო რეჟიმები, რომლებიც, "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, ასე გამოიყურება:

დღეს საქართველოში დიფერენცირებული საშემოსავლო გადასახადი არსებობს და, მაგალითად, 309 ლარი 19,16 პროცენტით იბეგრება, სომხეთსა და აზერბაიჯანში ანალოგიური შემოსავალი - 10 პროცენტით, რუსეთში კი - 13 პროცენტით.

სოციალური გადასახადის თვალსაზრისით, საქართველო დღემდე მეზობელი ქვეყნების "შუაში" მერყეობს: საქართველოში სოციალური გადასახადი 33 პროცენტია, სომხეთში - 18, აზერბაიჯანში - 31, რუსეთში კი დიფერენცირებულია და საშუალო მაჩვენებელი 35,6 პროცენტს შეადგენს. სულ ცოტა ხნის წინ რუსეთმა სოციალური გადასახადი 25 პროცენტზე დაწია. საქართველოს ხელისუფლების ახალი ინიციატივა ამ მაჩვენებელზე 5 პროცენტით ნაკლები იქნება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი ყველა ზემოთ აღნიშნულ ქვეყანაში თითქმის თანაბარია: საქართველოში, სომხეთსა და რუსეთში დღემდე 20 პროცენტია და მხოლოდ აზერბაიჯანშია 18 პროცენტი. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული სახეობის პროდუქციაზე, კერძოდ - კვების პროდუქციაზე, საბავშვო გამოცემებზე, პერიოდულ გამოცემებსა და სამედიცინო პროდუქციაზე რუსეთში 10-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადი მოქმედებს. ასე რომ, გარკვეული სახელობის პროდუქცია 18-პროცენტიანი დღგ-ს პირობებშიც უფრო მეტი საგადასახადო ტვირთის ქვეშ აღმოჩნდება, ვიდრე რუსეთში.

მოგების გადასახადი საქართველოში, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, "ზომიერი" აღმოჩნდა: საქართველოში, როგორც მოგეხსენებათ, მოგების გადასახადის განაკვეთი 20 პროცენტია, იგივე განაკვეთი მოქმედებს სომხეთში, აზერბაიჯანში მოგების გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტია, რუსეთში კი - 24. ამიტომ, ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას ხელიც არ აუკანკალდა, როცა მოგების გადასახადის დატოვება 20 პროცენტის ნიშნულზე გადაწყვიტა.

### "ფინანსური ამნისტია" გადაიდო

გუშინ საბოლოოდ გახდა ცნობილი, რომ "ფინანსურ ამნისტიად" მონათლული კანონპროექტი საგადასახადო დავალიანებების ლეგალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობისთვის **"არ აღმოჩნდა იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც სხვა საკითხები"** (ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით), ამიტომ ეს კანონპროექტი პარლამენტში ჯერჯერობით არ შევა - ახალი საგადასახადო კოდექსი დასრულებული სახით პარლამენტს განსახილველად სექტემბერში წარედგინება, ხოლო კოდექსი ძალაში შევა მომავალი წლის 1 იანვრიდან, — განაცხადეს ერთობლივ პრესკონფერენციაზე ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ.

შეგახსენებთ, რომ მთავრობის მიერ ბიზნესმენებისთვის მიცემული დაპირებით, კანონი ე.წ. ფინანსური ამნისტიის შესახებ მიმდინარე წლის ზაფხულში უნდა ამოქმედებულიყო. ბიზნესმენებს დამალული გადასახადების დეკლარირებისათვის მთავრობამ ვადაც კი დაუწესა. მათ გადასახადების დეკლარირება 1 ივლისამდე უნდა მოეხდინათ.

### აქციზი კი გაიზრდება

ჯერ კიდევ კვირას გახდა ცნობილი, რომ ხელისუფლება აქციზის გაზრდას გეგმავს - განაკუთრებით დიდი დოზით თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლის მაღალი შემცველობის სასმელებზე. ეს გადაწყვეტილება კვირას პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ გააჟღერა და მის განცხადებას უკვე მოჰყვა კიდეც აქციზურ სფეროებში დასაქმებული ბიზნესმენების კომენტარები:

**"სიგარეტზე აქციზის გადასახადის შესაძლო გაზრდა კატასტროფა იქნება",** - აცხადებს "სამგორი ჯგუფი 94"-ის თავმჯდომარე ავთანდილ წერეთელი.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის აზრით კი, თამბაქო, ნავთობპროდუქტები, მაგარი ალკოჰოლური სასმელები ნებისმიერ ქვეყანაში აქციზის მაღალი გადასახადით ხასიათდება.

შეგახსენებთ, ფინანსთა მინისტრის მიერ მაისში მიღებული გადაწყვეტილებით, 1 ივლისიდან აქციზის გადასახადი თითოეულ კოლოფ სიგარეტზე 6 თეთრით მოიმატებს.

თავისთავად ცხადია, რომ ზოგადად ფასების ზრდასთან დაკავშირებით ყველაზე საგულისხმოა ნავთობპროდუქტების აქციზის გაზრდასთან დაკავშირებით მოსალოდნელი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კოტრიკაძე, რომელიც აცხადებს, რომ ფინანსთა სამინისტრო აქციზის გადასახადის გაზრდას ივლისში აპირებს და ერთ ტონა დიზელზე 100 ლარის ოდენობის აქციზის გადასახადი 200 ლარამდე იზრდება, ხოლო ერთ ტონა იმპორტირებულ ბენზინზე 200-ლარიანი აქციზის გადასახადს 100 ლარი ემატება. ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ადასტურებს, რომ აქციზი გაიზრდება, თუმცა აღნიშნავს, რომ ივლისიდან აქციზის გადასახადის გაზრდის მიმართულებით მხოლოდ მუშაობა დაიწყება.

საინტერესოა, რომ მოქმედი საგადასახადო კოდექსით ერთი ტონა იმპორტირებული ნავთობისთვის ეკოლოგიის (მავნე ნივთიერებათა დაბინძურების) გადასახადი 40 ლარია.

გიორგი კოტრიკაძე აღნიშნავს, რომ "რევოლუციური" საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ეკოლოგიის გადასახადი რეალურად არ უქმდება და ის აქციზის გადასახადს ემატება.

# საკრებულოს წევრი "ბორჯომის" უკანონო მინი-ქარხნის მფლობელი აღმოჩნდა

*ორი დღის წინ ფინანსურმა პოლიციამ ლიკანში "ბორჯომის" წყლის ჩამოსასხმელი უკანონო მინი-ქარხანა აღმოაჩინა. ამჟამად საქმეს რაიონული სასამართლო იხილავს. საწარმოს მფლობელს, შპს "ლიკანი-95"-ის გენერალურ დირექტორს მურთაზ ღონღაძეს, რომელიც ამავდროულად ქ. ბორჯომის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეცაა, 500-ლარიანი საჯარიმო სანქცია ელოდება..*

ნინო ქლენტი

როგორც აღმოჩნდა, შპს. "ლიკანი 95" უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ბორჯომის მინერალურ წყალს ასხამდა. მაგრამ, ამ ხელშეკრულების ვადა მიმდინარე წლის 11 იანვარს ამოიწურა, მურთაზ ღონღაძე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც ის "ბორჯომის" ჩამოსხმას უკანონოდ აგრძელებდა, თუმცა, მისი თქმით, მას სხვა გზა არ ჰქონდა. ღონღაძე ირწმუნება, რომ ვადის გასვლის შემდეგ მან მინისა და მინერალური წყლების კომპანიას ხელშეკრულების განახლებისა და შესაბამისი ნებართვის მოთხოვნით არაერთხელ მიმართა.

..."**ხუთი განცხადება მაქვს დაწერილი, ვითხოვ, რომ მომცენ მინერალური წყლის ჩამოსხმის უფლება. იმ წყლისა, რომლის დიდი ნაწილი უაზროდ იღვრება და მისი ბოლომდე ათვისება ვერ ხდება. დიახ ვაღიარებ, რომ 11 იანვრის შემდეგ უნებართვოდ ვასხმადით წყალს, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა,"** - ამბობს იგი.

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიაში არ უარყოფენ, რომ შპს. "ლიკანი-95"-მა მართლაც რამდენჯერმე თხოვნით მიმართა მათ კომპანიას, შესაბამისი ნებართვის აღების შესახებ. თუმცა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიამ მურთაზ ღონღაძესთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი იმ მიზეზით თქვა, რომ "ლიკანი-95" უხეშად არღვევდა კანონით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ნორმას.

როგორც "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა, მურთაზ ღონღაძე წლების განმავლობაში სისტემატურად უნებართვოდ იყენებდა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" სახელზე დარეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნების ელემენტებს, რომლის აკრძალვის შესახებ არსებობს საოლქო და უზენაესი სასამართლოების რამდენიმე გადაწყვეტილება.

ასევე რამდენიმე წლის წინ მურთაზ ღონღაძე უკანონო გარიგებაში შევიდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედ საყოველთაოდ ცნობილ ფალსიფიკატორთან - კომპანია "ლუკოშკინასთან", რითაც ჯაფარიძის თქმით სერიოზული ზიანი მიადგა მათი კომპანიის იმიჯს და "ბორჯომის" საერთაშორისო ავტორიტეტს.

თუმცა, შპს "ლიკანი-95"-ის კანონდარღვევები, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიზნეს ეთიკის ელემენტარულ ნორმებზე, ამით არ ამოწურულა. შარშან ხსენებულმა კომპანიამ მინერალური წყალი "ბორჯომის" ჩამოსასხმელად გამოიყენა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის ერთ-ერთი კონკურენტის, რუსეთში რეგისტრირებული ს.ს. "ნარზანის" სპეციფიკური ფორმის მწვანე ნახევარლიტრიანი ბოთლი, რომლის ეტიკეტზე მითითებული იყო, რომ მინერალური წყალი ჩამოსხმული იყო რუსეთის კომპანია "პრემიუმ სპრინგსის" დაკვეთით. ამ პროდუქციის დისტრიბუცია კი მთლიანად რუსეთის ბაზარზე ხდებოდა. **"ჩვენი კომპანიის პარტნიორი, რომელიც ასე არაეთიკურად, პირადი გამორჩენის გამო იქცევა, დამეთანხმებით, რომ უპირველესად არის საკუთარი ხალხისა და ქვეყნის არაკეთილმოსურნე,"** - აცხადებს "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე.

ასევე, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანია თავს იკავებს მომავალში "ლიკანი-95"-თან პარტნიორული ურთიერთობისგან: ხსენებული შპს, უკანასკნელი წლების განმავლობაში არ იხდის სახელმწიფო ბიუჯეტში იმ გადასახადს, რაც მას, კანონით, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის ევალება და რაც თვეში 1200 ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, ბადრი ჯაფარიძე ამბობს, რომ კომპანიასთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების თანახმად, "ლიკანი-95"-ს დღე-ღამეში ხუთი კუბური მეტრი მოცულობის "ბორჯომის" ჩამოსხმა ევალებოდა, რასაც ეს უკანასკნელი ვერ ახერხებდა.

რაც შეეხება "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების" კომპანიის მიმართ მურთაზ ღონღაძის იმ ბრალდებას, რომ თითქოს კომპანია ვერ ახერხებს ბორჯომის წყლების მთლიანად ათვისებას, რის გამოც მინერალური წყლის დიდი ნაწილი ფუჭად იღვრება - ბადრი ჯაფარიძე ამ ბრალდებასაც აბსურდულს და სიყალბეს უწოდებს და აცხადებს, რომ **"მინერალური წყლის ის მარაგი, რაც ლიცენზიით საწარმოო მიზნით არის გამოყოფილი - 420 კუბური მეტრი დღე-ღამეში დღეს ჩვენ არ გვყოფნის. განსაკუთრებულ დეფიციტს ზაფხულის თვეებში განვიცდით. ჩვენ გვაქვს სერიოზული ეჭვი, და წარსულში ამის არაერთი ფაქტი იქნა მხილებული, რომ ათობით და ასობით ადამიანი, მათ შორის ე.წ. მეწარმეებიც, დღესაც აგრძელებენ წყლის უკანონოდ დატაცებას. სამწუხაროდ, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს "ბორჯომის" საბადოს სათანადო დაცვას, რისი შედეგიც სახეზეა."**

შეგახსენებთ, რომ "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" 1997 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა, რის შემდეგაც მოიპოვა მინერალური წყალი "ბორჯომის" მოპოვებისა და ჩამოსხმის ექსკლუზიური უფლება. რამდენიმე წლის შემდეგ ბორჯომის რეგიონში და მთლიანად ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გათვალისწინებით, რაშიც პირველ რიგში იგულისხმებოდა მასობრივი უმუშევრობა, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება სხვა მეწარმე სუბიექტებთან გაეფორმებინა საპარტნიორო ხელშეკრულებები.

# ტერორიზმის საფრთხე

## საუდის არაბეთში და შეცდომები ტერორიზმის შესახებ მოხსენებაში

*საერთაშორისო ტერორიზმი გასული უქმეების მთავარი თემა იყო. ტერორიზმსა და მასთან ბრძოლას ეხებოდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის სამი(!) ინტერვიუ, რომელიც აშშ-ს წამყვანმა ტელეარხებმა შაბათსა და კვირას გადასცეს. მთავარ თემათა შორის საუდის არაბეთში გახშირებული ტერაქტები და აპრილში, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის მდგომარეობის შესახებ გაკეთებული მოხსენება იქცა.*



REUTERS

*მექანიკური შეცდომები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტსაც მოსდის.*

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი შეშფოთებულია საუდის არაბეთში შექმნილი ვითარების გამო. მისი სიტყვებით, უცხოელთა მკვლელობა, პირველ რიგში, საუდის არაბეთზე მიტანილი იერიშია და აშშ ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ ქვეყნის ხელისუფლებას ტერორისტებთან ბრძოლაში დაეხმაროს. **"აშკარაა, ძალიან სახიფათო ვითარება შეიქმნა საუდის არაბეთში და ჩვენ ვმუშაობთ მათთან ერთად... რაც შეგვეძლება, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დავამარცხოთ ტერორისტები,"** - განუცხადა სახელმწიფო მდივანმა "ენ-ბი-სი"-ს კორესპონდენტს. კოლინ პაუელმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში კმაყოფილია საუდის არაბეთის ხელისუფლების მოქმედებით, თუმცა ასევე დასძინა, რომ არაბებს უფრო მეტის გაკეთებაც შეუძლიათ. აშშ კი, თავის მხრივ, ყველანაირად დაეხმარება, განსაკუთრებით ფართოდ ითანამშრომლებენ ინფორმაციის გაცვლის სფეროში.

პაუელის ეს განცხადება, ერთ-ერთ ინტერნეტ-გვერდზე "ალ-ქაიდას" გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა, სადაც ნათქვამია, რომ ერ-რიადში მომხდარი ერთი ამერიკელის მკვლელობა და მეორეს გატაცება "ალ-ქაიდას" მოწყობილია.

აშშ-მ თავის მოქალაქეებს ოფიციალურად მოუწოდა, დატოვონ საუდის არაბეთი. ასევე, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასცა განკარგულება, რომ საელჩოს იმ თანამშრომლებმა, რომელთაც უკიდურესად მნიშვნელოვანი ფუნქციები არ აკისრიათ, ოჯახებთან ერთად სასწრაფოდ დატოვონ ქვეყანა.

ერ-რიადში აშშ-ს საელჩომ დაადასტურა, რომ შაბათს ავტოფარეხში ჩაცხრილეს ამერიკის მოქალაქე, საუდის არაბეთში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული კომპანიის თანამშრომელი, კენეტ სკროგსი. არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებულმა "ალ-ქაიდა"-ს დაჯგუფებამ, ასევე, გაავრცელა ინფორმაცია, მეორე ამერიკელის, "ლოკჰიდ მარტინის" თანამშრომლის პოლ ჯონსის მძევლად აყვანის შესახებ. გამტაცებლები აცხადებენ, რომ თავის მსხვერპლს ისევე მოექცევიან, როგორც ამერიკელი სამხედროები ექცეოდნენ "აბუ-ღრაიბის" ციხესა და გუანტანამოს ბაზაზე მყოფ პატიმრებს. **"ჩვენ კანონიერი უფლება გვაქვს, ისევე მოვექცეთ ამერიკელ მძევლებს, როგორც ისინი ექცევიან ჩვენს ხალხს,"** - ნათქვამია "ალ-ქაიდას" განცხადებაში.

კვირას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. პაუელის თქმით, იგი წუხს იმის გამო, რომ აპრილში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში უამრავი შეცდომა გაიპარა. მოხსენება **"არ ამცირებს ტერორიზმის საფრთხეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები - კერძოდ, ინციდენტთა რიცხვი - არასწორია,"** - ამბობს სახელმწიფო მდივანი. როგორც პაუელი განმარტავს, მოხსენების დამუშავებაში სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და შესაძლოა მონაცემების შეჯამების დროს გაიპარა შეცდომა. მისი თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები მუშაობენ იმის გასარკვევად, თუ რატომ მოხდა ეს შეცდომა.

გაზაფხულზე გამოქვეყნებულ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ 2001 წლიდან მსოფლიოში ტერაქტების თანდათანობითი კლება შეინიშნება. 2001 წელს ამერიკელმა ექსპერტებმა მთელ მსოფლიოში 346 ტერაქტი დათვალეს, 2002 წელს - 198, ხოლო 2003 წელს - მხოლოდ 190. პაუელი აცხადებს, რომ სწორედ ეს ციფრებია უზუსტო. **"მე ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო,** - ამბობს სახელმწიფო მდივანი ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში, - **ჩვენ ამ სიტუაციას გამოვასწორებთ. ეს შექმნილი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია."**

საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ გამოკვლევის შედეგები ეჭვქვეშ აშშ-ს წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატთა ლიდერმა, ჰენრი უაქსმენმა დააყენა. მისი აზრით, მოხსენებაში მოტანილი ციფრები შეგნებულად არის დამახინჯებული და სპეციალურად კეთდება აქცენტი ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მმართველობის დადებით შედეგებზე. თუმცა, კოლინ პაუელმა კატეგორიულად უარყო მსგავსი მოსაზრება და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შეცდომა შემთხვევით გაიპარა და პოლიტიკა აქ არაფერ შუაში იყო.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს სპეცსამსახურების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამო პირველად არ უწევს ბოდიშის მოხდა. წელს მას უკვე მოუხდა ბოდიშის მოხდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე წარდგენილი მოხსენების გამო. მაშინაც აღინიშნა, რომ შეცდომები დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვა და შეგნებულ ტყუილს ადგილი არ ჰქონია.

# ძლიერი აფეთქება ბაღდადში



REUTERS

*ტერაქტის შედეგად, სულ ცოტა, შვიდი ადამიანი დაიღუპა და სამოცამდე დაიჭრა. ექიმების განცხადებით, მსხვერპლის რაოდენობა კიდევ გაიზრდება.*

გუშინ ბაღდადის ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილას ძლიერი აფეთქება მოხდა. ავტომანქანაში მჯდომმა კამიკაძე-ტერორისტმა თავი იმ მომენტში აიფეთქა, როდესაც რამდენიმე მეტრში ამერიკელი სამხედროების ავტოკოლონამ გაიარა. ტერაქტის შედეგად, სულ ცოტა, შვიდი ადამიანი დაიღუპა და სამოცამდე დაიჭრა. ექიმების განცხადებით, მსხვერპლის რაოდენობა კიდევ გაიზრდება. ასევე თითქმის მთლაიანად ჩამოინგრა ახლოს მდებარე შენობა, ხოლო აფეთქების ადგილას კი დიდი ორმო გაჩნდა. სააგენტო "ბი-ბი-სი-ს" ცნობით, აფეთქების შემდეგ შემთხვევის ადგილას ასობით ერაყელი გამოვიდა. პროტესტი ანტიამერიკულ აქციაში გადაიზარდა. "დიდება ალაჰს," "წყევლა ამერიკას" -ასეთი შეძახილებით აღნიშნავდნენ ბაღდადელები ამერიკელი სამხედროების დაღუპვას. აქციის დასაშლელად მალე პოლიციის სპეცრაზმელებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ბრბო ჰაერში გასროლით დაშალეს.

ერაყის დედაქალაქში აფეთქებები თითქმის ყოველდღე ხდება. კვირას, დილით, თავი აიფეთქა კიდევ ერთმა კამიკაძემ. მან ეს აქცია ამერიკული სამხედრო სამმართველოს შენობის ახლოს განახორციელა. აფეთქების შედეგად რამდენიმე საპატრულო მანქანა განადგურდა და სამი მოქალაქე დაიჭრა.

ასევე კვირას დაუდგენელმა პირებმა ნაღმტყორცნების გამოყენებით დაცხრილეს სადამ ჰუსეინის ყოფილი სასახლე, სადაც ამჟამად აშშ-ს დროებით ადმინისტრაციაა განთავსებული.

ბოლო პერიოდში ერაყში ნავთობსადენებზე მომხდარმა ტერაქტებმა ქვეყანას, სულ მცირე, 200 მილიონი დოლარი დააკარგვინა. **"200 მილიონზე მეტი დაიკარგა ნავთობსადებენზე აფეთქებების და საბოტაჟის, შესაბამისად კი - ნავთობის გაყიდვებიდან შემოსავლის უქონლობის გამო,"** - ნათქვამია ერაყის პრემიერ-მინისტრის აადა ალავის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

როგორც ერაყის მთავრობის ხელმძღვანელმა აღნიშნა, **"მინისტრთა კაბინეტი ყველაფერს გააკეთებს, რათა ერაყში უსაფრთხოება უზრუნველყოს, ეკონომიკური კრიზისი გადალახოს და ნაციონალური არჩევნები ჩაატაროს."**

ცნობისათვის, ერაყის ეკონომიკისთვის ნავთობის სექტორი უმნიშვნელოვანესია - მასზე სახელმწიფო სავალუტო შემოსავლების 90 პროცენტი მოდის.

# ტოკიო მსოფლიოში უძვირესი ქალაქია

ტოკიო მსოფლიოში ყველაზე ძვირი ქალაქის სტატუსს წელსაც ინარჩუნებს. სიძვირით მეორე ადგილზეა ლონდონი, საპატიო მესამე ადგილი მოსკოვს უკავია. ასეთია სააგენტო "მერსერ ჰიუმან რისორს ქონსალთინგის" გამოკვლევის შედეგები.

მსოფლიოს ყველაზე ძვირი ქალაქების ხუთეულში მოხვდნენ იაპონიის ქალაქი ოსაკა და ჰონკონგი, რომელიც ახლა ჩინეთს ეკუთვნის. ათეულში კი შევიდა სანკტ-პეტერბურგი.

გასული წლის შედეგებით, მოსკოვი ამ სიაში მეორე იყო, ლონდონი - მეშვიდე. 2003 წელს ევროპის ყველაზე ძვირი ქალაქების სიაში შედიოდნენ: მოსკოვი, ჟენევა, ლონდონი, ციურიხი, სანკტ-პეტერბურგი და ოსლო.

გამოკვლევაში გათვალისწინებული იყო 250 კრიტერიუმი, მათ შორის - საკვების, ცხოვრების, კომუნალური მომსახურების, ტანსაცმლის, გართობისა და ტრანსპორტის ღირებულება. აღსანიშნავია, რომ გამოკვლევა ეხება უცხოელი სპეციალისტების ცხოვრებას ამა თუ იმ ქალაქში, ხოლო მის შედეგებს, ძირითადად, ტრანსნაციონალური კორპორაციები იყენებენ ამ ქალაქში მომუშავე თავისი თანამშრომლების ანაზღაურების განსაზღვრისათვის. ამის გამო გამოკვლევისას ყურადღება ექცევა უმაღლესი დონის საქონელსა და მომსახურებაზე არსებულ ფასებს. მაგალითად, მხედველობაში იღებენ პრესტიჟულ რაიონებში ბინის არენდას, ძვირფასი ავტომობილების ექსპლუატაციას, კერძო სკოლებში ბავშვების სწავლის ღირებულებას და ა.შ.

გამოკვლევის ავტორები ევროპის ქვეყნებში ცხოვრების გაძვირებას, უწინარეს ყოვლისა, დოლარის მიმართ ევროს გამყარებით ხსნიან. ამერიკული ვალუტის კურსის დაცემამ სერიოზული გავლენა მოახდინა ამერიკის მსხვილ ქალაქებში ცხოვრების გაიაფებაზე. მაგალითად, ნიუ-იორკს, რომელიც შარშან სიძვირით მსოფლიოში მე-10 ქალაქი იყო, ახლა მე-12 ადგილი უკავია.

"მერსერ ჰიუმან რისორს ქონსალთინგის" მიერ გამოკვლეულ ქალაქებს შორის ყველაზე იაფი პარაგვაის დედაქალაქი ასუნსიონია, რომელიც სიაში ბოლო, 144-ე ადგილზეა.

გამოკვლევამ ასევე უჩვენა, რომ ყველაზე ძვირ და ყველაზე იაფ ქვეყნებს შორის განსხვავება მცირდება, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ამ პროცესის ტემპი შენელდა.

# ევროპელი ამომრჩევლები ნდობას ოპოზიციას უცხადებენ

რევაზ ბახტაძე




10-13 ივნისს გამართული ევროპარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგები ცხადყოფს, რომ ამომრჩევლებმა ეროვნული მთავრობების უმრავლესობას უნდობლობა გამოუცხადეს და ოპოზიციურ პარტიებს მისცეს ხმა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანების ისტორიაში უდიდესი არჩევნები საყოველთაო აპათიის ფონზე მიმდინარეობდა.

დაახლოებით 350 მილიონი ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 155 მილიონმა, ანუ 44.2 პროცენტმა მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მოლოდინის მიუხედავად, ევროკავშირის ახალი წევრების ამომრჩევლებმაც პირველი საერთოევროპული არჩევნების მიმართ გულგრილობა გამოიჩინეს. მიმომხილველების აზრით, შარშან ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რეფერენდუმებში მიიღო მონაწილეობა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი გამოხატა. როგორც ჩანს, მათ გაწევრიანების შემდეგ, არჩევნებში მონაწილეობის მიღება არცთუ ისე მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნიეს.

"ეს მონაცემები დღემდე არსებულიდან ყველაზე ცუდია," - აღნიშნა ევროპარლამენტის ყოფილმა პრეზიდენტმა პატ კოქსმა, რომლის აზრით, მიზეზი არასწორად ჩატარებული საარჩევნო კამპანია იყო. "საერთო ევროპული საკითხები კამპანიების უმრავლესობაში საერთოდ არ იყო ნახსენები," - დანანებით თქვა მან.

კოქსის თქმით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოსახლეობის უმრავლესობის მობილიზაცია წარმატებით მოახდინეს, როდესაც მათ შარშან ევროკავშირში გაწევრიანებას დაუჭირეს მხარი.

"ამჯერად, არაფერი მსგავსი არ მომხდარა, - აღნიშნა მან, - ჩემი აზრით, საზოგადოებრივი აზრი ამგვარი იყო: ჩვენ შარშან ხმა მივეცით, ახლა იგივეს რატომღა გვთხოვთ?"

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთსა და პოლონეთში ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგეებმა, ე.წ. ევროსკეპტიკოსებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს, რაც ევროკავშირის შემდგომ ინტეგრაციაზე მიმდინარე დებატებზე ასახვას აუცილებლად ჰპოვებს.

ბრიტანელმა "კონსერვატორებმა" 27.4 პროცენტით ტონი ბლერის "ლეიბორისტებს" გაუსწრეს, რომელმაც 22.3 პროცენტი მოაგროვა. ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგე "დამოუკიდებლობის პარტია" მესამე ადგილზე გავიდა და 17 პროცენტი მიიღო. ტონი ბლერი ამომრჩეველმა ერაყის ომში ამერიკის მხარდაჭერისათვის დასაჯა.

ევროკავშირის ყველაზე დიდ წევრ სახელმწიფოში, პოლონეთში მმართველმა პარტიამ 9 პროცენტზე მეტი ვერ მიიღო.

გერმანიის მმართველმა "სოციალ-დემოკრატებმა" მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არჩევნებში ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენეს. არსებული მონაცემებით, მათ მხოლოდ ხმების 21.5 პროცენტი დააგროვეს, როდესაც მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ "ქრისტიან-დემოკრატებმა" 44.5 პროცენტი მიიღეს.

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის "სახალხო მოძრაობის კავშირი" 16.6 პროცენტით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ოპოზიციურ "სოციალისტურ პარტიას", რომელმაც 28.9 პროცენტი მოაგროვა.

მხოლოდ ახლახან არჩეულმა ესპანეთისა და საბერძნეთის მთავრობებმა აიცილეს თავიდან ამომრჩევლის რისხვა და პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს.

ჩეხეთის რესპუბლიკაში ევროსკეპტიკოსებად ცნობილმა "სამოქალაქო დემოკრატიულმა პარტიამ" 30 პროცენტი მიიღო, მმართველმა "სოციალ-დემოკრატებმა" კი - 8.8 პროცენტი.

ამომრჩეველთა ყველაზე დაბალი აქტივობა სლოვაკეთში აღინიშნა, სადაც არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 17 პროცენტი მივიდა. მათმა უმრავლესობამ მხარი პრემიერ-მინისტრ მიკულას ძურინდას პარტიას დაუჭირა.

თუმცა, ევროპარლამენტში, რომლის უფლებამოსილებები თანდათან იზრდება, საერთო ძალთა განაწილება მკვეთრად არ შეცვლილა.

მემარჯვენე-ცენტრისტულ "ევროპის სახალხო პარტიას" ყველაზე მეტი დეპუტატი ეყოლება, წინასწარი მონაცემებით - დაახლოებით, 270 დეპუტატი, "სოციალისტები" მეორე ადგილზე არიან - დაახლოებით, 200 დეპუტატით, "ლიბერალებს" - 66 და "მწვანეებს" - დაახლოებით, 39.

ახლა, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის მოლაპარაკებები კოალიციების ჩამოყალიბების თაობაზე მიმდინარეობს. ეს საკითხი საკმაოდ მალე უნდა გადაწყდეს, რადგან ხუთშაბათსა და პარასკევს ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი გაიმართება, სადაც ევროკავშირის კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი უნდა განიხილონ და ევროკომისიის ახალი პრეზიდენტის კანდიდატურა შეარჩიონ.

დღემდე კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი გამოქვეყნებული არ არის. რაც შეეხება ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტს, აქ რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. მათგან ყველაზე დიდი შანსები აქვთ ბელგიის პრემიერ-მინისტრს გაი ვერჰოსტადტს და ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრს ჟან-კლოდ იუნკერს. ზოგიერთები არ გამორიცხავენ ჰავიერ სოლანას კანდიდატურასაც, რომელსაც ამჟამად ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინატორის თანამდებობა უკავია.

ამ ორი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაში (კონსტიტუციის მიღება და ევროკომისიის პრეზიდენტის არჩევა) ახლადარჩეული პარლამენტი, ევროპის საბჭოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

# მუსლიმური ქვეყნების მინისტრები თურქეთში იკრიბებიან

გუშინ მუსლიმური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც მსოფლიო მოსახლეობის ერთ მეხუთედს წარმოადგენენ, სტამბოლში შეიკრიბნენ. მათი შეკრების მიზანია პალესტინის, ერაყისა და ისლამური სამყაროს დემოკრატიზაციის საკითხების განხილვა.

თურქეთი, რომელიც ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის სამდღიან შეკრებას მასპინძლობს, შეეცდება ანკარას, როგორც დასავლურ და ისლამურ სამყაროებს შორის შუამავლის, მნიშვნელობას გაუსვას ხაზი.

ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში 57 სახელმწიფოა გაერთიანებული. ორგანიზაცია 1969 წელს დაარსდა იმ მიზნით, რომ მსოფლიოს 1.3 მილიარდმა მუსლიმმა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ერთიანი მიდგომა გამოიმუშაონ.

ისლამური ქვეყნების დემოკრატიზაციის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა აშკარაა. მიმომხილველები რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას არ ელიან.

შეკრების მონაწილეები ერთსულოვანნი არიან, რომ ამერიკის საოკუპაციო ჯარმა რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს ერაყი. ისინი ასევე ერთმნიშვნელოვან მხარდაჭერას გამოუცხადებენ პალესტინას, განსაკუთრებით, ისრაელის მიერ ღაზას სექტორში ბოლო დროს განხორციელებული რეიდების შემდეგ.

თურქეთმა, რომელიც ისრაელის მოკავშირეა, ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის პოლიტიკა ცოტა ხნის წინ მკაცრად გააკრიტიკა. ანკარას სურს, რომ მთავარი აქცენტი ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობისა და დემოკრატიზაციის საკითხებს დაეთმოს.

"ეს ჩვენი რეგიონია და ორგანიზაციამ უფრო მეტი უნდა გააკეთოს აქ მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად," - განაცხადა ერთ-ერთმა თურქმა დიპლომატმა საინფორმაციო სააგენტო "როიტერთან" საუბრისას.

თავად სეკულარული და დემოკრატიული თურქეთი დასავლეთისთვის, განსაკუთრებით, შეერთებული შტატებში მუსლიმური სამყაროსათვის მისაბაძ მაგალითად ითვლება.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ თაიიპ ერდოღანი გასულ კვირას დიდი რვიანის სამიტს [illegible] მიიჩნევს, სადაც ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციის საკითხებიც განიხილებოდა.

გუშინ ერდოღანი დასავლეთის ინიციატივაზე ფრთხილად საუბრობდა. მისი თქმით, ცვლილება მუსლიმურ სახელმწიფოებში შიგნიდან უნდა განხორციელდეს და მათ რეფორმები გარედან არავინ უნდა მოახვიოს თავს.

თურქეთი ცდილობს, რომ მუსლიმური სახელმწიფოები არ გაალიზიანოს. ამისთვის მას სხვა მიზეზიც აქვს: ანკარას სურს, რომ ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად თურქი მეცნიერი ეკმელედინ იჰსანოღლუ აირჩიონ.

თურქეთი, აგრეთვე, იმედოვნებს, რომ ორგანიზაცია ყველანაირ სანქციას მოუხსნის კვიპროსელ თურქებს, რომელთაც საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს. თუმცა, მას შემდეგ, რაც მათ 24 აპრილს კუნძულის გაერთიანებას დაუჭირეს მხარი, საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი მათ სასარგებლოდ შეიცვალა. კუნძულის გაერთიანება კი ბერძნულმა ნაწილმა დაბლოკა. აღსანიშნავია, რომ ანკარა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის აღიარებას არ მოითხოვს და აქცენტს მხოლოდ სანქციების მოხსნის აუცილებლობაზე აკეთებს.

# წვრილფეხა



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

## ველოსიპედის გამომგონებლები

მართალი გითხრათ, ჩვენი პრემიერი ზურაბ ჟვანია არც მე მეხატება გულზე. და საერთოდაც, ეს ის პროფესია არ არის - პოლიტიკას ვგულისხმობ - იქ მოღვაწე კაცისთვის გული გაიმეტო დასახატავად.

ახლა, ამ ორიგინალური შესავლის შემდეგ, უკვე ბუნებრივად გადავალთ ან მთავრობაზე, ან პარლამენტზე. რა თქმა უნდა, ძველი, ძვალ-რბილში გამჯდარი ასოციაციით: ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს და პირიქით.

სწორედ ამ ასოციაციით, ჟვანიას ხსენებაზე ან პარლამენტში უნდა ამოჰყო თავი, ანდა მთავრობაში. ყველაფერი, ცხადია, იმაზეა დამოკიდებული, სად უფრო საინტერესო ამბები ხდება.

არის დაავადებები, რომლის დროსაც პაციენტს რეაქციებს უსინჯავენ. ნორმალური რეაქციები გამოჯანმრთელების უტყუარი სიმპტომია.

მე, მაგალითად, მინახავს და საკუთარი ყურითაც მომისმენია, საავადმყოფოს მოსაცდელში როგორი აღტაცებით შეხვდნენ ავარიაში მოხვედრილი კაცის ახლობლები ცნობას ერთ-ერთი ნორმალური რეაქციის აღდგენის თაობაზე - ერთმანეთს ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ, უნდა გენახათ, როგორი ენთუზიაზმითა და სიმაყით ამცნობდნენ ნაცნობ-უცნობებს: მოფსა, მოფსაო!

მაშინ არც მე ვიყავი იქ მაინცდამაინც სასიამოვნო საქმეზე მისული და სხვა ვითარებისთვის ამ მართლა სასაცილო ინფორმაციამ მეც გამახარა - ადამიანი გადარჩა!

მაგრამ მივუბრუნდეთ პარლამენტს.

დამეთანხმებით, საზოგადოებაში კუზიანს რომ ვინმემ, შე კუზიანოო, დაუძახოს, იმ დამძახებელს კარგი დღე არ დაადგება - აუცილებლად გაკიცხავენ. ზუსტად ისე, როგორც ფიფია გაკიცხეს პარლამენტის სხდომაზე. აქედან ის გამოდის, რომ ზურაბ ჟვანიას, გავიმეორებ, სულაც არ მეხატება გულზე, წარმომავლობა ნაკლად ჩაუთვალეს. არადა, ეს ხომ ნამდვილად არ არის ასე. ადამიანს ან ქურთი ჰყავს მშობლები, ან რუსი ჰყავს დედა, ან პოლონელი, ან ფრანგი, ან აზერბაიჯანელი. ბოლო-ბოლო, ძალიან რომ თავს ვდებთ ქრისტიანობაზე, ყველანი ევას შვილები არა ვართ? რა არის აქ უცნაური და ასაღელვებელი? თუ ადამიანის შესაფასებლად წარმომავლობას რამე მნიშვნელობა აქვს, ესე იგი, თუ თავის ქალების თეორიას გავყვებით, ზემოხსენებული რეაქციის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიფიაზე მეტად ამ თეორიისა პარლამენტის დიდ ნაწილს უფრო სჯერა. სულელია-მეთქი, ფიფიაზე ნამდვილად ვერ ვიტყვი, მისი გამოხდომა უფრო პროვოკაციას ჰგავდა. აი, პარლამენტის რეაქცია კი ნამდვილად არ იყო ბუნებრივი. არავის არ უთქვამს ჟვანიასთვის, კუზიანი ხარო, არავის არ მიუთითებია ნაკლზე. ეს პარლამენტმა, უფრო სწორად, პარლამენტის დიდმა ნაწილმა ჩათვალა ასე.

ფიფიას ამბავი, რა თქმა უნდა, დეტალია ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისე, თუ მაინცდამაინც დაინტერესდები და გულდასმით დააკვირდები რეაქციებს, ბევრ საინტერესოს შეიტყობ პაციენტის, ამ შემთხვევაში, ჩვენი პარლამენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

მაგალითად, რას იტყვით ცნობაზე, რომლის მიხედვითაც პარლამენტმა ველოსიპედი გამოიგონა, ანდა, ახლა, ჩვენს თვალწინ აპირებს გამოგონებას.

ზოგიერთებს, ალბათ, ეხსომებათ იტალიური ფილმი "ველოსიპედების გამტაცებლები". აი, ეს ფილმი, საქართველოს სახელმწიფო გერბის განხილვა და პარლამენტი რატომღაც ერთიმეორის მიყოლებით, ფილმის კადრებივით გამახსენდა. ახალი ექსპოზიცია ასეთი იყო: პარლამენტს მოპარეს ველოსიპედი და ახლა, რადგან უველოსიპედოდ ვერ იქნება, თათარიახნად იგონებს ველოსიპედს. გერბიო, გერბი რაღა შუაშიაო?

ვა, რა მიუხვედრელი ხალხი ხართ! ველოსიპედი ისე, ასოციაციისთვის დამჭირდა, თორემ რეალობაში, ესე იგი, სინამდვილეში, ძველი გერბი დაკარგეს და ახლის გამოგონებას აპირებენ.

ახლა, იკონო-გერბო-ისტორიოგრაფიაში ძალიან რომ არ გადავვარდე, მოკლედ ვიტყვი. თუ არ ჩავთვლით ნამგლიან-უროიან-თავთავიან და კიდევ რამდენიმე თითიდან გამოწოვილ სისულელეს, მართლა სახელმწიფო და მართლა ნამდვილი ერთი გერბი ვიცი. მადლობა ღმერთს, ერეკლეს ბეჭდის სახით ფაქტობრივი მასალაც არსებობს. ეს ბაგრატიონებისაა და წინააღმდეგი არიანო. შეიძლება ბაგრატიონები ასობით არიან და უფრო მეტნიც იყვნენ, მაგრამ მეფე ერთი იყო. თანაც, ეს გერბი არც ერთ საგვარეულო გერბს არ ჰგავს. ამიტომ პრეტენზიები, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. მას შემდეგ, რაც ბაგრატიონებმა მოიხსნეს პასუხისმგებლობა ქვეყანაზე და ეს პასუხისმგებლობა რუსეთის იმპერატორს გადაულოცეს, ყველა ბაგრატიონი საქართველოს ჩვეულებრივ მოქალაქედ იქცა და არავითარი პრეტენზია, მით უფრო, სახელმწიფო გერბზე, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მეფე განკარგავს, მათ აღარა აქვთ.

აი, ასეთი უბრალო რამ პარლამენტმა ვერ მოტვინა და ახლის გამოგონება დაიწყო, თანაც, მაინცდამაინც ქართულის, ისეთის, რომ მნახველმა ერთი შეხედვისთანავე თქვას: ა, ეს ის ხალხიაო, არა?!

ძველიც უნდა იყოს, ქართულიც, ლამაზიც... თანაც, ეს ყველაფერი ჩქარა, ძალიან ჩქარა უნდა მოგვარდეს.

ჩქარაზე ერთი, არ ვიცი, ანეკდოტი თუ ნამდვილი ამბავი გამახსენდა.

მოსკოვში, ცეკაში, ესე იგი, მთავარ პარტიელებს შორის ხმა დაირხა, ვიღაც ჩუქჩას წელიწადში კარტოფილის სამი მოსავალი მოჰყავსო. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ წელიწადში სამი კი არა, კაცი სამ დღეში იღებს მოსავალს. იფიქრეს, ახლა კი გვეშველაო და დაიბარეს. ჩუქჩა, რა თქმა უნდა, გამოცხადდა კრემლში. როცა ჰკითხეს, სამ დღეში როგორ ახერხებ მოსავლის აღებასო, ოდნავ დაირცხვინა, ოდნავ მოჭუტა ისედაც მოჭუტული თვალები და: "Очен кушат хочется"-ო.

ეგრე ჩქარა თუ გინდათ, თქვე მამაცხონებულებო, რაღა კონკურსებს აწყობდით, რაღა მამუკა გონგაძეს (თუ ღონღაძეს, მაპატიეთ, ზუსტად არ ვიცი გამარჯვებულის გვარი) აწუხებდით. აგერ არა ვარ?

აი, დამიგდეთ ყური. რადგან რიგ ევროპულ სახელმწიფოებში ოთხად გაყოფილი ფარიდან ორში ერთსა და იმავეს იმეორებენ და ეს მისაბაძი ხერხი ყოფილა, გთავაზობთ ზევითა მარცხენაში ზეზვას თავის ქალას, ქვედა მარჯვენაში - მზიას თავის ქალას. ქართველებიც არიან და თან პირველი ევროპელებიც! ზედა მარჯვენაში ისარჩარჭობილი თივის ზვინის ნაცვლად (სხვათა შორის, ეს რუსული წარმოშობის სიმბოლოა, თუმცა, მხოლოდ ამის გამო, ცხადია, ნაკლად ვერ ჩაითვლება. უხერხული ის არის, რომ "კავკასიის დაპყრობის" სიმბოლოა) გთავაზობთ "ყაზბეგს", ჩვენი მრეწველობისა და ტურიზმის სიმბოლოს, ანდა, მთლა უკეთესი: ზედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა საერთოდ ცარიელი დავტოვოთ ბოლო ქართველებისთვის. უფრო სწორად, აი, იმ ქართველების თავის ქალებისთვის, იმ ორი ქართველისთვის, გაუთავებელ ექსპერიმენტებს ბოლომდე რომ შემორჩება. ცენტრში გთავაზობთ წმინდა ქართულ, შეიძლება ითქვას, ჩვენი არსობის სიმბოლოს - ჭურს (მართალია, ქვევრი უფრო სოლიდურად ჟღერს, მაგრამ გამოთქმამ "ჭურში ვსხედვართო", ისევ ჭურის სასარგებლოდ განმაწყო). არ გაწვალებთ და, აუცილებელი კი არ არის, მაგრამ დევიზიც მოგიფიქრეთ: "ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო".

ა, ძმაო, ქართულიც არის, აზრიანიც, იაფიც და პირიანიც. ავტორსაც, მართალია, რაღაც პრობლემები აქვს, მაგრამ მაინც ინკოგნიტოდ დარჩენა სურს.

ძალიან მერიდება, მაგრამ ამ პრობლემაზეც ვიტყოდი სულ რამდენიმე სიტყვას, თუ, რა თქმა უნდა, მკითხველი არ მიწყენს.

სანამ იმ პატიოსან კაცს, ასლან აბაშიძეზე გეუბნებით, საქართველოდან გააგდებდით, ოჯახის საბიუჯეტო პრობლემები, ავად თუ კარგად, გადაჭრილი მქონდა. მოკლედ, მე და ჩემი ცოლი შევთანხმდით. იმდენი რამ მქონდა ასლანზე დაწერილი, ჩემი იქ ჩასვლა, თან ცოლ-შვილთან ერთად, ნაღდად აღარ შეიძლებოდა. აი, ასე ბუნებრივად და მარტივად გადაწყდა - ზღვაზე აღარ მივდივართ.

არ იდარდოო, მითხრა ცოლმა. შეზლონგი გვაქვს, ქოლგა გვაქვს, შენ წიგნები მოიმარაგე, დანარჩენს მე მოვაგვარებო. ფეხებთან ქვიშას დაგიყრი, ტაშტით წყალს დაგიდგამ, მარილსაც ჩაგიყრი და აი, კინოს ხმები რომ ჰქვია - სროლის ხმები, მატარებლის ხმები, ჩიტების ჭიკჭიკი, ქუჩის ხმაური და ასე შემდეგ - ეგ ჩანაწერები ერთ დროს, აღარც კი მახსოვს, რისთვის მჭირდებოდა, ბლომად შევაგროვე. ერთი სიტყვით, ზღვის ტალღების ხმაურსაც ჩაგირთავ და საკუთარი პლაჟი გექნებაო. გინდა ჩაქვი დაარქვი, გინდა გონიო და გინდა სარფიო.

არა, არ უნდა გაეგდოთ ის პატიოსანი კაცი. სულ ამერია დავთრები. ახლა გზა ღიაა, მე კი ყაბულს ვარ, მაგრამ ცოლ-შვილი აღარ დამთანხმდება მაგნიტოფონზე ჩაწერილ ტალღების ხმაურსა და მარილით დამლაშებულ წყალს. მინდა-არ მინდა, ზღვის კურორტზე, ალბათ, ისევ გონიოში მომიწევს გამგზავრება. არადა, ჩემი სამსახურის პატრონს, ედიკას დროს რომ იყო, ზუსტად ისეთ მდგომარეობაში მაქვს ბიუჯეტი.

ახლა ვინმე გამოვა და მეტყვის, ამაშიც პარლამენტია დამნაშავეო?!

არა, მთლად არა, ძმებო, მაგრამ... მაინც იძულებული ვარ, მოთმინებით ველოდო იმ დროს, როცა ვინმე ღვთისნიერი გამოვა და მოგვახარებს:

მოფსა, მოფსაო!

# შესაძლებლობებს ვითხოვთ

თამარ დვალი

*"თბილისი ყველასათვის" - ასე ერქვა აქციას, რომელიც გუშინ ინვალიდთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით მოეწყო. აქციის ორგანიზატორი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის". რესპუბლიკის მოედნიდან დაწყებული აქცია თბილისის მერიასთან მერთან შეხვედრით დასრულდა. ათეულობით აქციის მონაწილემ ქალაქის მერისაგან ტკბილი სიტყვები და დაპირებები მოისმინა. ზურაბ ჭიაბერაშვილი კოალიციის წევრებს პრობლემებზე სასაუბროდ ხვალ თავის კაბინეტში ელოდება.*



*"ჩვენ შეღავათებს კი არა, თანაბარ შესაძლებ-ლობებს ვითხოვთ"*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"ჩვენ შეღავათებს კი არა, თანაბარ შესაძლებლობებს ვითხოვთ; "თბილისი ყველასათვის" - ეს საპროტესტო აქცია კი არა, მოძრაობაა. ინვალიდთა მიმართ არქიტექტურული დისკრიმინაცია არ უნდა არსებობდეს. დარწმუნებულები ვართ, რომ ხელისუფლებაც იგივეს ფიქრობს. ახლავე უნდა განისაზღვროს პროგრამა, რაც ქალაქებისა და რეგიონების ადაპტირებას გულისხმობს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ისევე უნდა შეეძლოს ქალაქში გადაადგილება, როგორც სხვა ნებისმიერს. იმედია ახალი ხელისუფლება სწორედ მიუდგება ამ საკითხს. ის, რაც გაკეთებული იყო, ახალი მშენებლობების დროს გაფუჭდა. ზოგიერთმა სპეციალური ბორდიურების მნიშვნელობა ვერ გაიგო და ჩვეულებრივ ბორდიურად გადააკეთა. ამ აქციის მიზანია, ადამიანებს თანაბარი ცხოვრების შესაძლებლობა მიეცეთ",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას შეზღუდული შესაძლებლობის პირთა და ვეტერანთა არასამთავრობო კოალიციის წევრმა კობა ნადირაძემ.

14 ივნისს ინვალიდთა უფლებების დაცვის დღეს მხოლოდ საქართველოში აღნიშნავენ. ათეულობით ადამიანი გუშინ სახელმწიფოსთავის თავის შეხსენებასა და მინიმალური პირობების შექმნას ითხოვდა. მათ პრობლემებს ნორმალურ ქვეყანაში კანონი არეგულირებს. ჩვენთან ინვალიდები, რომლებსაც შემდეგ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ვუწოდეთ, სახელმწიფოსაგან სპეციალური ბორდიურებისა და გზების გაკეთებას ითხოვენ. საქართველოში, თითქმის, არც ერთ შენობას არ გააჩნია ადაპტირებული მისასვლელი, საქალაქო ტრანსპორტზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ასეთ პირობებში კი მათ ინტეგრაციაზე საუბარი წარმოუდგენელია.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ყოფნის დროს გაწეული საკუთარი ღვაწლი გაიხსენა: **"სწორედ ჩემი ინიციატივით, არჩევნების დროს უსინათლოებისთვის სპეციალური ბიულეტენები დაიბეჭდა. ასე რომ, მე მუდამ მახსოვხართ. ქალაქის გარკვეულ ნაწილში გაკეთებულია ტროტუარები, თუმცა ისიც ვიცი, რომ ეს საკმარისი არ არის".**

გუშინდელი დღით სხვა მოქალაქეებმაც ისარგებლეს და მერთან შეხვედრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს.

**"შვილო, ზურაბ! უკვე რამდენი თვეა, ამ შენობაში შემოღწევას ვცდილობ, თუმცა ვერაფრით შევძელი. ტელეფონზე ვრეკავ და სიტყვასაც არ მამთავრებინებენ ისე მეუბნებიან, - მერს მიღება არა აქვსო. მომხედე და უშველე ჩემს ერთადერთ შვილს, რომელიც საშინელ გაჭირვებაშია",** - იხვეწებოდა შუახნის ქალბატონი.

**"ყველას უნდა, თავისი პრობლემა მიამბოს, თუმცა ოთხმილიონიან ქალაქში ეს შეუძლებელია. თქვენ წერილი დაწერეთ და მე რეზოლუციას დავადებ. ახლა მოქალაქეთა მისაღებს ვაკეთებთ და თავისუფლად შეგეძლებათ ჩემთან დაკავშირება",** - განაცხადა ქალაქის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. იგი აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ ხვალ მათ თავის კაბინეტში შეხვდება და მოუსმენს.

# თავმჯდომარე მასმედიაზე განაწყენდა

*გუშინ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდების პარლამენტმა, ბავშვთა ფედერაციამ და კოალიციამ - "დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის", ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს. პრესკონფერენცია მიეძღვნა საქართველოში ინვალიდთა დაცვის დღეს და ამ თარიღთან დაკავშირებით ჩასატარებელ კვირეულს, რომელიც 14-დან 21 ივნისამდე გაგრძელდება.*

ლელა მარგიანი

**"ახალგაზრდული პარლამენტი" იწყებს აქციას - "დედამიწა ყველასია!" ჩვენი ერთკვირიანი აქციის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებთან ერთად მივიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში; მოეწყობა ფოტო და ნახატების გამოფენები; ვნახავთ სპექტაკლს სოციალური თერაპიის სახლის ახალგაზრდების მონაწილეობით; გავმართავთ ერთობლივ შემოქმედებით საღამოებს; მოვინახულებთ სენაკის, კასპის და თბილისის სარეაბილიტაციო ცენტრებს. ჩვენი აქციებით გვინდა, დავაფიქროთ საზოგადოება იმაზე, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობისა, თანაბარი უფლება აქვს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის. გვინდა, ყველას დავანახოთ, რომ ხშირად ეს ადამიანები ჩვენზე უკეთ მღერიან, ხატავენ, წერენ ლექსებს",** - განაცხადა პრესკონფერენციაზე საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდათა პარლამენტის სპიკერმა, 17 წლის ქეთი არველაძემ.

გუშინდელ პრესკონფერენციაში, ძირითადად, მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები.

18 წლის დონარა ხატიაშვილმა, "სურდო-თარგმანის" საშუალებით(თარჯიმნის დახმარებით), თქვა თავისი სათქმელი. მისი აზრით, იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სმენის პრობლემა აქვთ, ყველაზე მეტად საინფორმაციო ვაკუუმი აწუხებთ, რადგან **"ჩვენი სმენა არის თარჯიმანი. ამიტომ, დიდი თხოვნა გვაქვს საქართველოში მოქმედ ტელევიზიების ხელმძღვანელებთან, გაითავისონ ჩვენი პრობლემა და ოცდამეერთე საუკუნეში მაინც ნუღარ დაგვტოვებენ საინფორმაციო "სიბნელეში". ჩვენც გვინდა ვიცოდეთ, თუ რა ხდება სამყაროში, ჩვენს ქვეყანაში".**

სოსო კალანდარიშვილი: **"მე 12 წლის ვიყავი, როდესაც აღმოვჩნდი ამ სიტუაციაში** (სოსო ეტლში იჯდა), **მასწავლებლები ჩემთან სახლში დადიოდნენ. ამჟამად ვსწავლობ პოლიტექნიკურში. ჩემი მიზანია, დავეხმარო იმ ახალგაზრდებს, ვინც ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, რათა მათ შეძლონ სწავლის გაგრძელება".**

**"ცოფიან ძაღლს ადამიანისთვის რომ ეკბინა, ალბათ, ყველა ტელევიზია აქ იქნებოდა. ამიტომ, თქვენ - ახალგაზრდები უნდა იყოთ ლობი, ვინც მასმედიას "ბრონირებულ შუბლს" გაუხეთქავს",** - უსურვა ახალგაზრდებს ტელევიზიების უყურადღებობით განაწყენებულმა "ინვალიდთა ლიგის" თავმჯდომარემ გიორგი ძნელაძემ.

მასთან ერთად პრესკონფერენციას ესწრებოდა ყოფილი პარლამენტარი გოგა კოხრეიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საზოგადოება არ შეიცვლის თავის დამოკიდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების მიმართ; **"თუ თითოეულ ადამიანში არ მოხდება ცვლილება, არც პანდუსები გაკეთდება, არც სხვა რამ შეიცვლება. ჩვენ ვიცით "ვარდნის ტკივილი", ამიტომ ინტეგრაციისკენ მიმართული ნებისიერი ქმედება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ტყუილად კი არ თქმულა, - სიმდიდრე ყველა ტვირთშიაო."**

# სემინარები მასწავლებლებისთვის

*საქართველოს სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელთა კავშირისა და თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი პრეზენტაცია-სემინარების გრაფიკით, გუშინ დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის სახვითი ხელოვნების სახელმძღვანელოების პრეზენტაცია გაიმართა. წარმოდგენილი იყო მესამე კლასის შრომისა და ხატვის სახელმძღვანელოს ოთხი ვარიანტი. დახელოვნების ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მიწვეულ მასწავლებლებს თავად წიგნის ავტორები და გამომცემლობების ხელმძღვანელები შეხვდნენ.*

თამარ ჭაჭანიძე

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები სახელმძღვანელოების შედგენის ახალ პრინციპებსა და მეთოდიკას მჭიდროდ უკავშირდება. გაზეთმა "24 საათმა" უკვე გამოაქვეყნა განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული სახელმძღვანელოების ნუსხა. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების, განათლების სისტემისა და მეთოდური უზრუნველყოფის ინსტიტუტის ინიციატივით კი, ამ სახელმძღვანელოების სპეციფიკაში გასარკვევად მასწავლებელთათვის პრეზენტაცია-სემინარების ციკლი დაიწყო.

სახვითი ხელოვნების სახელმძღვანელოების ავტორებმა მაია იორამაშვილმა, ნელი ოქროპირიძემ და ავთანდილ თავართქილაძემ ცალ-ცალკე ისაუბრეს თავიანთი წიგნების შესახებ, თუმცა, სამივე ავტორი ერთსულოვნად შეთანხმდა იმაზე, რომ მათი მიზანი მოსწავლეთა ზოგადესთეტიკური განვითარება, მათი სულიერი სამყაროს ფორმირება, ბავშვებში შემოქმედებითი უნარის გაღვიძება და სახვითი ხელოვნებისადმი ინტერესის გამოწვევა იყო.

გამომცემლობა "განათლებას" მიერაა გამოცემული წიგნი ნელი ოქროპირიძისა და თამარ გეგეჭკორის ავტორობით. **"წიგნი თეორიული მასალითაა წარმოდგენილი, რომლის საშუალებითაც ბავშვი გაეცნობა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებას, ფერწერის მანერას, ხატვის ტქნიკას, ფერთა გამას; თუ როგორ "წაიკითხოს" სურათი, ამოხსნას მისი შინაარსი, დააზუსტოს ჟანრი და ის მასალა, რომლითაც ეს ნაწარმოებია შესრულებული; შეძლოს ავტორის ამოცნობა",** - აღნიშნავს ნელი ოქროპირიძე.

გამომცემლობა "ცისარტყელამ" წარმოადგინა ავთანდილ თავართქილაძისა და დავით შალიკაშვილის სახელმძღვანელო. მათი პრიორიტეტი არა თეორიული, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებაა, რათა ბავშვის ნიჭი უფრო ნათლად გამოვლინდეს და მშობლებმა და მასწავლებელმა მალე შენიშნონ მისი პოტენციალი; მომავალი ხელოვანის გზა სწორად რომ წარიმართოს.

მაია იორამაშვილის წიგნი 1997 წლიდან გამოიყენება სასკოლო სახელმძღვანელოდ. ავტორს, პროფესიით მხატვარს, სპეციალური გადამზადება გაუვლია და დაწყებითი კლასების მასწავლებლობა დაუწყია. მის სახელმძღვანელოს ფრანქფურტის და ბელორუსიის წიგნის ფესტივალებზე დიდი მოწონება დაუმსახურებია. **"ეს არის სახელმძღვანელო ყველასთვის - ნიჭიერებისა და უნიჭოებისთვის. წინი გათვალისწინებულია ბავშვებისთვის მარტივი ფიგურების ხატვის ტექნიკის გაცნობისა და მათთვის ასოციაციური მხედველობის განვითარებისთვის",** - ასე წარმოადგენს თავის წიგნს მაია იორამაშვილი.


# სამშენებლო კოპანია "ბურჯი" აცხადებს კონკურს შემდეგ სპეციალისტებზე

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები საპროექტო ჯგუფში, საწარმოო ტექნიკურ განყოფილებაში და სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ, მაღალი ანაზღაურებით. სამშენბლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საპროექტო ჯგუფი:**
1. ელექტო ინჟინერი (პროექტანტი);
2. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (პროექტანტი);
3. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (პროექტანტი).

**საწარმო ტექნიკური განყოფილება:**
1. მშენებელ ინჟინერი (სტგ-ში მუშაობის გამოცდილებით);
2. ელექტო ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
3. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება).

**სამუშაოთა მწარმოებელი:**
1. ინჟინერ მშენებელი;
2. ელექტო სამონტაჟო;
3. წყალმომარაგება კანალიზაციის;
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების.

**მოთხოვნები:**
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება (შესაბამისი სპეციალობით);
2. საწარმოო და საპროექტო (მოთხოვნის შესაბამისად) გამოცდილება არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასალების ღრმა ცოდნა;
4. სათანადო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (საპროექტო ნაწილისთვის);
5. სასურველია საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

**წარმოსადგენი საბუთები:**
1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:
ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)
ტელ.: 25-34-86, 25-34-87
FAX: 25-34-93
E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსან-განმარტებებს კონკურსის შედეგბის შესახებ.

მთავარი სპეციალისტი (ელექტო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი)

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები მაღალ ანაზღაურებად სამუშაოზე. სამშენბლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები:**
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება - ელექტო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია,
2. კონდენცირების ინჟინერი (შესაბამისი სპეციალობით);
საპროექტო და საწარმოო მუშაობის გამოცდილება სპეციალისტად 3. ან ხელმძღვანელად არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების, საპროექტო გადაწყვეტების და მასალების ღრმა ცოდნა;
4. უცხოურ ფირმებში მუშაობის ან თანამშრომლობის გამოცდილება 199წ.-დან 2004წ.-მდე;
5. სათანადო კომპიუტერულ პროგრამების ცოდნა Windows XP, MS Office, MS Internet Explorer, AutoCAD;
6. ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა;

**სამუშაოს შინაარსი:**
პროექტის შესაბამის ნაწილში პრინციპული სქემების შემოწმება და გადაწყვეტილებების მიღება, საპროექტო დავალებების გაცემა შესაბამისი სპეცილაობების პროექტანტებისთვის და მათი ხელმძღვანელობა. მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მასალების და დანადგარების მოძიებაში. მიღებული მასალების და დანადგარების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება. სამუშაოთა მწარმოებლებზე საჭირო რეკომენდაციების, სამონტაჟო სქემების გაცემა და სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა. პირადი პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური ციკლის ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

**წარმოსადგენი საბუთები:**
1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:
ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)
ტელ.: 25-34-86, 25-34-87
FAX: 25-34-93
E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსან-განმარტებებს კონკურსის შედეგბის შესახებ

# აკაკი ელიავა სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულია

ბექა სისაური
ქუთაისი

*ქუთაისის საოლქო სასამართლომ სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულებად ცნო 2000 წლის 9 ივნისს ზესტაფონის პოლიციის ეზოში მოკლულნი - გააბრაგებული უშიშროების პოლკოვნიკი აკაკი ელიავა და გოჩა გვილავა.*



იური ლობოდინის ფოტო

*"აკაკი ელიავას მკვლელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ლევან კენჭაძემ, კახა თარგამაძემ და ვახტანგ ქუთათელაძემ. ეს ყველაფერი კი უშუალოდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით დაიგეგმა..."*

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის (თავმჯდომარე ვერა დოლიძე) გადაწყვეტილებით, აკაკი ელიავას წლების წინ სიკვდილამდე წაყენებული ბრალდება - იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვა-ტარება - მოეხსნა და მხოლოდ პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა დარჩა ბრალდებად.

სასამართლო კოლეგიამ ცალკე განჩინება გამოიტანა, რომლის მიხედვითაც, გენერალურ პროკურატურას იმ პირების დადგენა და მათი მოქმედებების კანონიერების შესწავლა დაევალა, რომელთაც აკაკი ელიავასა და გოჩა გვილავას ლიკვიდაციის ბრძანება გასცეს. მომჩივანი სპარტაკ ელიავა - აკაკი ელიავას ძმა - დარწმუნებულია, რომ ზესტაფონის პოლიციის ეზოში ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალების ობიექტური შესწავლისას ედუარდ შევარდნაძის, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის კახა თარგამაძის, უშიშროების მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის, ანტიტერორისტული ბიუროს უფროსის - ამჟამად პატიმარ ლევან კენჭაძის ბრალეულობა აუცილებლად დადასტურდება.

**"გვინდა, რომ აკაკი ელიავას და გოჩა გვილავას რეაბილიტაცია მოხდეს. ჩემი ძმა 2000 წლის 9 ივნისს ზესტაფონში ვერაგულად დახვრიტეს. აკაკის მკვლელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ რუბენ ასანიძემ, მაგრამ იგი მთავარი მოქმედი პირი არ არის. მთავარი დამნაშავეები ლევან კენჭაძე, კახა თარგამაძე და ვახტანგ ქუთათელაძეა. ეს ყველაფერი კი უშუალოდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით დაიგეგმა... დღევანდელი ხელისუფლებისა და მიხეილ სააკაშვილისა გვჯერა. დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელისუფლება დამნაშავეებს დასჯის,"** - განაცხადა სპარტაკ ელიავამ.

სასამართლო რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, დაიკითხნენ პოლიციის გენერალი რუბენ ასანიძე, ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, უშიშროების გენერალი ლევან კენჭაძე, ზესტაფონის პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი და სხვა მაღალჩინოსანი პოლიციელები. დაკითხვისას ლევან კენჭაძემ ელიავასა და გვილავას ლიკვიდაციის თაობაზე ბრძანების გამცემი პირები, ფაქტობრივად, დაასახელა: **"სახლში ვიყავი, როდესაც უშიშროების მორიგემ დამირეკა და შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლა მთხოვა. იქ გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, კახა თარგამაძე, ვახტანგ ქუთათელაძე და მათი მოადგილეები დამხვდნენ. დამავალეს, რომ მძევლების გათავისუფლება მეწარმოებინა. ზესტაფონში ვერტმფრენით ჩავფრინდით, მალევე გავიგეთ, რომ მძევლები პოლიციის შენობის უკანა კარებიდან გაჰყავდათ. სპეცრაზმის წევრები ჩასაფრდნენ და ოპერაცია ჩაატარეს,"** - განაცხადა სასამართლო პროცესზე კენჭაძემ. მისივე თქმით, ოპერაციის დაწყების ბრძანება სპეცრაზმის ხელმძღვანელმა გასცა. მას, თურმე, არც ოპერაციის მსვლელობა დაუნახავს. ლევან კენჭაძის განმარტებით, ამ დროს იგი შენობას ეფარებოდა.

ექსპერტიზის დასკვნით, ელიავას გულ-კერდის არეში 10 სანტიმეტრის მანძილიდან ჰქონდა ნასროლი, ხოლო ზურგის მხრიდან - 5 სანტიმეტრიდან. ადვოკატის კითხვაზე - თუ სპეცრაზმელებმა ელიავასთან 5 სანტიმეტრში მისვლა მოახერხეს, მაშინ რატომ არ დაიჭირეთ? - კენჭაძემ დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა. ანტიტერორისტულმა ცენტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა ვერ ახსნა ის ფაქტიც, რატომ არ აწარმოა ელიავასთან მოლაპარაკება.

ელიავასა და გვილავას ლიკვიდაციის გამო ვის ბრალეულობას გამოკვეთს პროკურატურა, ეს მომავლის საქმეა. სპარტაკ ელიავა სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების გამო კმაყოფილებას ვერ ფარავდა. **"შევარდნაძის რეჟიმს აკაკი ელიავას მოცილება თავიდანვე უნდოდა. ჩვენ ხელთ გვაქვს მაღალჩინოსანი პოლიციელის განცხადება. მისი განმარტებით, სენაკის პოლიციის სეიფში 25 ათასი დოლარი იდო, რომელიც განკუთვნილი იყო აკაკი ელიავას ლიკვიდაციისთვის. მისი ლიკვიდაცია სამეგრელოში ვერ მოახერხეს, რის გამოც თანხამ 50 ათას დოლარამდე აიწია. ამიტომაც აკაკი, გოჩა გვილავა და დანარჩენი ბიჭები რეგიონიდან გაიტყუეს, ფინალი კი ყველამ იცის... ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება. გამოძიება ძალიან ტენდენციური იყო. საქმეში არც ერთი სამოქალაქო პირი არ ფიგურირებს - ყველანი პოლიციელები არიან. დღევანდელმა სასამართლომ დაამტკიცა, რომ საქართველოში კანონის უზენაესობაა. ჩვენ სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილნი ვართ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გამოძიებამ შემკვეთებისა და შემსრულებლების - შევარდნაძის, თარგამაძის, ქუთათელაძის, კენჭაძის და სხვების - ბრალეულობა დაადგინოს და ისინი საკადრისად დაისაჯონ,"** - განაცხადა სპარტაკ ელიავამ, რომლის ადვოკატი მალხაზ გიორგაძე სასამართლოს გადაწყვეტილებას არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს და განაჩენის გასაჩივრებას უზენას სასამართლოში აპირებს. "სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილი ნამდვილად არა ვართ, რადგანაც აკაკი ელიავას მხრიდან არ ყოფილა არანაირი დანაშაულის ნიშნები და იგი სრულად უნდა იქნეს რეაბილიტირებული. ჩვენს ხელთ არსებულ ვიდეომასალაზე არც ერთხელ არ დასტურდება, რომ ელიავამ და გვილავამ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს", - აცხადებს გიორგაძე.

# აფხაზებსა და რუს სამშვიდობოებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა

გუშინ დილით გალის რაიონის ორ სოფელში - ჭუბურხინჯსა და საბერიოში - ერთდროულად ორი მკვლელობა მოხდა. რუსეთის სამშვიდობო ძალების 201-ე და 211-ე საგუშაგოებთან მოკლულია ორი რუსი ჯარისკაცი. მართალია, რუსეთის სამშვიდობო ძალები გუშინ 201-ე საკონტროლო გამშვებ პუნქტთან მომხდარ მკვლელობას არ ახმაურებდნენ, მკვლელობის მიზეზი მაინც ცნობილი გახდა კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაერო-ს წარმომადგენლებისთვისაც და ოთხმხრივი საგამოძიებო კომისიის ქართველი წევრებისთვისაც. ჩვენი ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ერთ-ერთმა რუსმა ჯარისკაცმა - ნაზდრიუხინმა - დანით მოკლა ამავე პოსტის ჯარისკაცი კოზლოვი. ნაზდრიუხინი უკვე დაკავებულია. წინასწარი ინფორმაციით, მას სამხედრო ტრიბუნალს გადასცემენ.

რაც შეეხება სოფელ საბერიოში მომხდარ მკვლელობას: რუსეთის სამშვიდობო ძალების 211-ე პოსტთან გუშინ დილით ათი წუთის განმვლობაში ისმოდა შეუჩერებელი სროლის ხმა, რის შედეგადაც მოკლულია რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი დიმა სტუპკინი. როგორც გაირკვა, ორმხრივი სროლა აფხაზ ბოევიკებსა და რუს ჯარისკაცებს შორის მიმდინარეობდა. როგორც გალის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსმა თენგიზ ძაძუამ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, შეიარაღებული აფხაზები რუსეთის სამშვიდობო პოსტთან გაურკვეველი მიზეზით შეგროვდნენ. მათ შელაპარაკება მოუხდათ რუს ჯარისკაცებთან, რის შედეგადაც ორივე მხარემ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ორმხრივი სროლისას მძიმედ დაიჭრა ორი აფხაზი ბოევიკი, დანარჩენმა შეიარაღებულმა აფხაზებმა კი გაქცევა და მიმალვა მოასწრეს.

რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა, ჯერჯერობით, ვერ ასახელებს მომხდარი ინციდენტის ზუსტ მიზეზს. მომხდართან დაკავშირებით რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცები უკვე დაიკითხნენ გალის პოლიციაში. მათი ჩვენებების მიხედვით, ინციდენტი მოხდა გალის რაიონის სოფელ საბერიო-დიხაზურგას მონაკვეთზე და რუსეთის სამშვიდობო ძალები მას შემდეგ ჩაერივნენ კონფლიქტში, რაც აფხაზმა ბოევიკებმა პირველებმა გახსნეს ცეცხლი მათი მიმართულებით.

*24 საათი*

# ბაქოში "შავი პოლკოვნიკი" მოკლეს

გუშინ ბაქოში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ფატულა ჰუსეინოვი მოკლეს. სამართალდამცველი ორგანოების წყაროს თქმით, "ჰუსეინოვს ორშაბათს დილით ბაქოში, საკუთარი სახლის წინ ესროლეს".

ჰუსეინოვს უცნობმა პირებმა მაშინ გაუხსნეს ცეცხლი ავტომატური იარაღიდან, როდესაც საკუთარი სახლის წინ მდგარ ავტომანქანაში ჯდებოდა. დამნაშავეებმა მიმალვა მოახერხეს. მომხდარს საგამოძიებო ჯგუფი იძიებს, თუმცა ამ ეტაპზე ოფიციალური ვერსია და მკვლელობის მოტივები არ სახელდება.

ჰუსეინოვი წლების განმავლობაში ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა. ის ყარაბახის ომის მონაწილე იყო. ყარაბახის კონფლიქტის დროს აზერბაიჯანულ ომონს ედგა სათავეში. სომხებმა მას მეტსახელიც კი შეარქვეს - "შავი პოლკოვნიკი", ხელისუფლების ოპოზიციადაც მოიაზრებოდა, საპარლამენტო არჩევნებშიც კი მიიღო მონაწილეობა, თუმცა - უშედეგოდ. ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, ფატულა ჰუსეინოვის მკვლელობის პოლიტიკურ მოტივს თითქმის ყველა გამორიცხავს.

რაც შეეხება ფეხბურთს, ჰუსეინოვი ჯერ კიდევ 1962 წელს ფეხბურთის სპორტულ- ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. 2001 წლიდან ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, მაშინ ასოციაციას სათავეში ფუადა მუსაევი ედგა. ეს უკანასკნელი პრეზიდენტის პოსტს აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო გამოემშვიდობა. როგორც ამბობენ, ამ საქმეში გარკვეული წვლილი ფატულა ჰუსეინოვსაც მიუძღოდა, რომელმაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ახალი ხელმძღვანელობის პირობებშიც შეინარჩუნა. მოგვიანებით, 2003 წელს, ასოციაციის ირგვლივ სკანდალი დაიწყო - ორგანიზაცია გადასახადებისგან თავის არიდებაში დაადანაშაულეს. აზერბაიჯანის საგადასახადო ინსპექციამ ამ ფაქტის გამოძიება დაიწყო, თუმცა ჰუსეინოვს სამართალდამცველები არ შეეხებიან. ამ საქმის გამო 2003 წლის აპრილში მხოლოდ ასოციაციის დირექტორი ოქტაი ზაინალოვი დააპატიმრეს.

*24 საათი*

# რატომ დატოვა თანამდებობა იმერეთის ფინანსური პოლიციის უფროსმა

*ქვეყანაში კონტრაბანდული ტვირთების წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო შეუქცევადი ხდება, თუმცა არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც კონტრაბანდისტები სხვადასხვა მფარველების დახმარებით კვლავაც ცდილობენ აღურიცხავი ტვირთების შემოზიდვას.*

ბექა სისაური
ქუთაისი

ქუთაისში გარკვეული პერიოდის წინ გავრცელდა ხმები, რომ ფინანსური პოლიციისა და იმერეთის სამხარეო პოლიციის, კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა კონტრაბანდული ტვირთი ვერ გაიყვეს, რასაც ურთიერთშელაპარაკება და ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. წყარო არ აკონკრეტებდა, რომელი სამსახური აცილებდა კონტრაბანდას. აღნიშნულ ინფორმაციას დაემთხვა საფინანსო პოლიციის რეგიონული ხელმძღვანელის მიხო ხარაბაძის თანამდებობიდან წასვლის ფაქტიც. "24 საათი" აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებას შეეცადა და საფინანსო პოლიციის ყოფილ უფროსს, მიხო ხარაბაძეს დაუკავშირდა.

**"სამსახურიდან თვითონ წამოვედი. რადგანაც ჩავთვალე, რომ ხელმძღვანელობისგან არ მქონდა ისეთი მხარდაჭერა, როგორიც ოპერატიულ სამსახურში უნდა ყოფილიყო"**, -განაცხადა ჩვენთან საუბრისას ხარაბაძემ. იგი არც უარყოფს და არც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მისი სამსახურიდან წასვლა გარკვეული პერიოდის წინ მის მიერვე დაკავებული წიდის დიდ პარტიას უკავშირდება. აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში ამოტივტივდა პრეზიდენტის მეუღლის, სანდრა რულოვსის მამობილის - ფირუზ კინწურაშვილის გვარიც. მაშინ კინწურაშვილი წიდის ქვეყნიდან გატანის შეჩერების გამო დაუპირისპირდა დათო მუმლაძესა და მიხო ხარაბაძეს.

**"მოკვლევაში მქონდა ისეთ პირებზე საქმეები, რომლებსაც საფინინსო პოლიციაში მუშაობის დაწყებას უპირებდნენ; არადა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ისინი სხვადასხვა ბიზნესის ლობირებით იყვნენ დაკავებულნი"**, - განმარტავს მიხო ხარაბაძე. რაც შეეხება ფაქტს, რომელიც კონტრაბანდის შემოტანას შეეხება, საფინანსო პოლიციის ყოფილი უფროსი ასეთი შემთხვევის არსებობას არ უარყოფს; თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ მისი თანამშრომლები კონტრაბანდას არ აცილებდნენ, უფრო მეტიც, ამ ფაქტის შემდეგ დაზარალებულებიც გახდნენ.

**"მართლაც ჰქონდა ასეთ შემთხვევას ადგილი, როდესაც საფინანსო პოლიციის თანამშრომლები ტვირთს აცილებდნენ, მაგრამ ეს სულ სხვა მოტივით ხდებოდა და ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ დაზარალებული არიან... ჩვენს თანამშრომლებს რაჭაში დაკავებული კონტრაბანდული ტვირთით დატვირთული ავტომობილი ქუთაისში, საბაჟო ტერმინალში მოჰყავდათ. ღამის ოთხ საათზე მათ თერჯოლის ტერიტორიაზე თავს დაესხნენ და ტვირთის ძალადობრივი გზით დაუფლება მოხდა. კონტრაბანდას ლობირებას სამხარეო პოლიციის თანამშრომელი უწევდა, მისი ძმა კი ტვირთის დაუფლებაში უშუალო მონაწილეობას იღებდა. შესაძლოა, ის და მისი მეგობარი პოლიციელები მალე საფინანსო პოლიციაში მოხვდნენ. ისინი სამსახურში დასანიშნ პირთა სიაში უკვე იყვნენ შეყვანილნი. თუ აღნიშნული საკადრო საკითხი მართლაც განხორციელდა, მაშინ მწვავე განცხადებებს გავაკეთებ"**, - აცხადებს საფინანსო პოლიციის ყოფილი უფროსი და კონკრეტული პირების დასახელებისაგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

ჩვენ კი გავარკვიეთ, რომ აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თერჯოლის პროკურატურაშია აღძრული. იმერეთის საოლქო პროკურორის მოადგილის გურამ გვენცაძის ინფორმაციით, პროკურატურამ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია 2004 წლის სამ აპრილს მიიღო, ანუ მაშინ, როდესაც თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის ტერიტორიაზე ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამმართველოს მეექვსე განყოფილების თანამშრომლებისგან გაიტაცეს ავთო ჟორჟოლიანის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი "კამაზი", რომელშიც 12 ტონა აღურიცხავი სასურსათო პროდუქტები იყო. აღნიშნული "კამაზი" ცხინვალიდან ონის გავლით ქუთაისში აპირებდა ჩამოსვლას.

**"ტვირთი აღურიცხავი იყო, ამიტომ ონის პოლიციამ გამოიძახა ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები: დათო ფოცხორაია და დავით ერემეიშვილი, რომლებიც ტვირთს ქუთაისის საბაჟო ტერმინალამდე მოაცილებდნენ. "კამაზის" მძღოლი დავით ჟორჟოლიანი გახლდათ. მას ახლდა ვინმე გიორგი ტაბატაძე. სოფელ ძევრის ტერიტორიაზე მათ კამაზი გააჩერეს და ფინანსური პოლიციის მუშაკებს განუცხადეს, დაზიანების გამო ავტომანქანის შემდგომი გადაადგილება შეუძლებელიაო. ტაბატაძემ განიზრახა რა პოლიციის მუშაკებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით ტვირთის ძალადობრივი დაუფლება, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ქუთაისში მცხოვრებ მის მეგობარს მალხაზ წაქაძეს, რომელიც 15-20 წუთში ადგილზე მივიდა დავით შანიძის კუთვნილი"ოპელომეგას" მარკის ავტომანქანით. შემდგომ ტაბატაძე, წაქაძე, შანიძე, ჟორჟოლიანი წამოვიდნენ ქუთაისში, ვითომცდა, ავტონაწილის მისატანად. დაბრუნების შედეგ კი ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეცადნენ "კამაზის" ძარის დალუქული კარის გაღებასა და ტვირთის ჩამოცლას, თუმცა საფინანსო პოლიციის მუშაკების მხრიდან გაწეული აქტური წინააღმდეგობის გამო ეს ვერ შეძლეს"**, - განაცხადა გურამ გვენცაძემ.

როგორც ირკვევა, თავდამსხმელთაგან ერთ-ერთმა ფარულად მოახერხა საფინანსო პოლიციის თანამშრომლის ავტომობილისთვის ძირითადი ელექტროსადენის მოხსნა, რითაც ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს გადაადგილების საშუალება მოუსპო. რის შემდეგაც მძღოლმა ჟორჟოლიანმა "კამაზი" დაძრა და კონტრაბანდისტები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

**"გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად აღნიშნული "კამაზი" ორი დღის შემდეგ თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბანში მცხოვრები ბოჭორიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება აღურიცხავ ტვირთს, ტაბატაძემ და მისმა თანამზრახველებმა მათი რეალიზაცია ქუთაისის ბაზრობებზე მოახერხეს".**

გამოძიებამ 12 ტონა კონტრაბანდიდან მხოლოდ 10 ყუთი რძის ფხვნილი და ერთი ყუთი საკვები სოდა იპოვა. აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 2004 წლის 22 აპრილს აღიძრა.

**"ჯერჯერობით, დაკავებული არავინ არის. მე, როგორც იმერეთის საოლქო პროკურატურის მოადგილეს, მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან თავხედური დანაშაული. კონტრაბადისტები იქამდეც კი მივიდნენ, რომ საფინანსო პოლიციაზე განხორცელებული ძალადობის გზით გაიტაცეს ტვირთი და მოახდინეს მისი რეალიზება"**, - ამბობს გვენცაძე.

რაც შეეხება კონტრაბანდისტების ლობისტებს, გამოძიებას, ჯერჯერობით, ასეთი ინფორმაცია არ გააჩნია.

**"არსებული მასალების მიხედვით, ამის მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება. არსებობდა ეჭვი როგორც ფინანსური პოლიციის, ასევე სამხარეო პოლიციის თანამშრომლების მიმართ, მაგრამ ასეთი ეჭვი გამოძიებით არ დასტურდება.... ასევე აცხადებდნენ, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელის - დავით შანიძის ძმა სამხარეო პოლიციის ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ინსპექტორია. გამოითქვა ეჭვი, ხომ არ მფარველობდა იგი აღნიშნულ ტვირთს; თუმცა ასეთი რამ საქმის აღძვრის მომენტისთვის არ დადასტურდა, ძიების მომენტში კი რა გამოიკვეთება, ვნახოთ..."**, - აცხადებს გურამ გვენცაძე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ზურაბ ჭანკოტაძეს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ სამი თვით გაუგრძელა. პროკურატურამ წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების მოტივად გამოძიებისთვის საჭირო საბუღალტრო ექსპერტიზების ჩატარება დაასახელა, რომელიც, მათი პოზიციით, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვისაა გამიზნული. ზურაბ ჭანკოტაძე გენპროკურატურის თანამშრომლებმა სამი თვის წინათ დააკავეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში, 2004 წლის ბოლო ხუთი თვის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით სახანძრო შეტყობინების 1902 ფაქტი აღირიცხა, დაიწვა 76 ავტოტრანსპორტი, ხოლო ტყის მასივებში 68 ხანძრის შემთხვევა დაფიქსირდა. უბედური შემთხვევების დროს დაიღუპა 32 ადამიანი, ხოლო დამწვრობა მიიღო - 36-მა. ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა, ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციისა და გამართვის წესების დარღვევა, ბავშვების ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა. სულ ამ პერიოდში სახანძრო და პირველი რიგის სამაშველო-საავარიო სამსახურების მიერ გადარჩენილია 65 ადამიანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში მეშვიდე სამართლებრივი ოლიმპიადა "ადამიანი და კონსტიტუცია" დასრულდა. ოლიმპიადაში საქართველოს 23 ქალაქიდან და რაიონიდან სტუდენტთა და მოსწავლეთა 75 გუნდი მონაწილეობდა. ოლიმპიადის ფინანსურ მხარდაჭერას ამერიკის იურისტთა ასოციაცია და გაერო-ს განვითარების პროგრამა ახორციელებდნენ. ოლიმპიადაში გაიმარჯვა თსუ-ს გუნდმა "იურისპრუდენციამ". გამარჯვებულებს სპეციალური სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილი პოლიციელი გამოავლინა - შს სამინისტროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის მოადგილე კლიმენტი ფარულავა, რომელიც დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მან წერილობით ჩვენებაში არ აღიარა ნარკოტიკების მოხმარება, თუმცა მას შესაბამისი შემოწმება ჩაუტარდა, რომელმაც დაადასტურა, რომ ფარულავა ნამდვილად იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. მოკვლეული მასალები შესაბამისი რეაგირებისთვის საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისა და შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა ბათუმის №3 საპყრობილეში მყოფი პატიმრებისგან აივ-ინფექცია/შიდსის ვირუსზე ანალიზისთვის სისხლი აიღეს. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მთავარი ეპიდემიოლოგის კონსტანტინე ტურაშვილის თქმით, პატიმართა შიდსის ვირუსზე ნებაყოფლობითი გამოკვლევის პროგრამა მესამე წელია, მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა 13 შიდსით ინფიცირებული, რომელთაგან ორი საპატიმროში გარდაიცვალა. №3 საპყრობილეში მყოფი 182 პატიმრიდან გამოკვლევაში მონაწილეობის სურვილი 180-მა გამოთქვა. ანალიზის შედეგები ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს ოზურგეთელი მანანა წულაძე, რომელსაც ბრალი ედება გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებაში. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, წულაძემ - მიმალვაში მყოფ თეიმურაზ გოლიაძესთან, მეტსახელად - "კარაკულასთან" და თენგიზ ორაგველიძესთან ერთად - წლეულს, 19 თებერვალს, ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა თბილისელი, 54 წლის ვახტანგ თოიძე. გამოძიებისთვის თოიძის ადგილსამყოფელი, ჯერჯერობით, უცნობია. ამ ფაქტზე აღძრულ საქმეს თბილისის ვაკე-საბურთალოს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

სოფიკო ბიჭიაშვილი,
ანა კუხალეიშვილი
130-ე სკოლის
მერვე კლასის მოსწავლეები

როგორც სკოლაში გვასწავლიან და ყველგან გვესმის, სახელმწიფოს უმაღლესი კანონი კონსტიტუციაა. კონსტიტუციის თანახმად კი ყველა ჩვენგანს უფლება აქვს იცხოვროს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელ გარემოში.

ჩვენ მეზობლები ვართ, ვცხოვრობთ დიღმის მასივის მე-4 კვარტლის მე-17 კორპუსში. კორპუსი მდებარეობს მტკვრის სანაპიროზე, დიღმის კინოსტუდიის სიახლოვეს. ამ ტერიტორიაზე განლაგებული კორპუსების მაცხოვრებლები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს სოკოსავით არის ამოსული ცემენტის, ბლოკის და სხვა ნარჩენები. სამშენებლო მასალის მინი-ქარხნები, რომელიც, ჩვენი აზრით, გამოყოფენ ცემენტს, ილექება საცხოვრებელ ბინებში ფანჯრის რაფაზე, ავეჯზე, კარადებში აღწევს, მოკლედ ყველგან მუქი დანალექია, ერთი შეხედვით სილასა და ცემენტს ჰგავს, რომელთაც ჩვენი მშობლები სველი ტილოებით წმენდენ, მაგრამ იგი არ ილევა. რამდენიმე კორპუსის უამრავი მაცხოვრებელი მრავალი წლის განმავლობაში ჩივის სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ვინაიდან ქარხნების მეპატრონეები ყველგან "აწყობენ" საქმეს. ეს საკითხი რაიონის დეპუტატ გია ბარამიძესთანაც დავსვით, მაგრამ იგი სამინისტროში გადავიდა (შეიძლება ეს უკეთესიც იყოს და იქიდან უფრო მიუწვდეს ხელი).

ხალხი ჩვენი უბნიდან გადადის, საცხოვრებლებს ყიდიან ეკოლოგიური პირობების გამო. ზამთარში კიდევ ვძლებთ დახურულ ფანჯრებში, მაგრამ ზაფხულში შეიძლება დავიხრჩოთ.

ჩვენ სურათებს გადავიღებთ, რათქმა უნდა შორიდან, ახლოს არ მიგვიშვებენ და ფოტოებსაც მოგაწვდით.

იქნებ, რაც უფროსებმა ვერ შეძლეს, ჩვენ თქვენი დახმარებით გავაკეთოთ. ზოგიერთ უფროსს ეშინია კიდეც: "მანდ იმდენი ფული ტრიალებს, საერთოდ ჭიანჭველებივით გაგვსრესენო"-ამბობენ, რაიონის მთავრობა ქარხნის დირექტორებთან კავშირშია და ამიტომაც მუშაობენ ასე უკანონოდ.

ეკა ლოლუა
53-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

დღეები ერთმანეთს მიჰყვება, გადის დღე, კვირა, თვე, წელი, შენ ვერც კი შეამჩნევ, ისე მოვა სასწავლო წლის დასასრული, გიჩნდება უამრავი პრობლემა სკოლაში: ნიშანზე, მასწავლებელთან ურთიერთობაში, კლასიდან კლასში გადასვლაზე და სხვ.

ამ პრობლემებიდან უმრავლესობა ისევ ბავშვების ბრალია, მაგრამ დანარჩენი?1 დანარჩენებს მასწავლებლები გიქმნიან, მთელი წლის დაგროვილ ბოღმას წლის ბოლოს ამოანთხევენ, გაწვალებენ ნიშანზე, ან ცუდ ნიშანს გამოგაყოლებენ, ან საერთოდ, საშემოდგომოს, მერე სდიე და ემათხოვრე ნიშანზე...

ზოგი მათგანი დამატებითად ამეცადინებს ბავშვებს პატარა ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ. რა თქმა უნდა, დიდ ცოდნას "დამატებითზე" სიარულით ვერ დაიგროვებ, რადგან იგივეს გიხსნიან, რასაც ჩვეულებრივ გაკვეთილზე, მაგრამ სამაგიეროდ შენც და შენი ოჯახის წევრებიც დამშვიდებულნი იქნებით შენს ნიშანზე, იმიტომ, რომ ქრთამი უკვე გადახდილი გაქვთ. ბევრ მშობელს უნდა, მაგრამ საშუალება არ აქვს გადაიხადოს ეს თანხა შვილის კარგ ნიშანში. ზოგს კი უბრალოდ, არ უნდა უზრუნველყოს მისი შვილი კარგი ნიშნითა და უცოდინრობით ქრთამის გადახდით. ზოგს კი საერთოდ ჰგონია, რომ "დამატებითზე" სიარულით შვილი განათლებას იღებს და ტყუილად არ ყრის ფულს.

მასწავლებელთა მექრთამე ნაწილს არ უყვარს ისეთი ბავშვები, რომელთაგანაც არავითარი შემოსვალი არ შესდით და ამის გამო უქმნიან პრობლემებს. ასეთმა მასწავლებლებმა სკოლა უნდა დატოვონ.

ზოგი მასწავლებელი ბავშვს რაიმე ინციდენტის შემდეგ აითვალწუნებს და ამის გამო უქმნის პრობლემას.

არის მასწავლებელთა კატეგორია, რომელიც ვერ ახერხებს ბავშვების შეკავებას. გაკვეთილზე ბავშვები თავიანთ ნებაზე არიან მიშვებულები და თავზე იმხობენ ყველაფერს. ასეთი სიტუაციის თავიდან ასარიდებლად ყველა ახალ, დამწყებ მასწავლებელს უნდა მოუწყონ პატარა გამოცდა - შეძლებს თუ არა იგი მოსწავლეების დაკავებას, არის თუ არა ბავშვებთან მიმართებაში ზომიერად მკაცრიც, მოსიყვარულეც და რაც მთავარია, სამართლიანიც - შეუძლია თუ არა მიიქციოს ყველა ბავშვის ყურადღება და დააინტერესოს გაკვეთილით.

ასევე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების აზრს ამა თუ იმ პედაგოგზე. გარწმუნებთ, თუ მოსწავლეს არ მოსწონს, რომელიმე საგნის მასწავლებელი, მის საგანსაც აღარ ისწავლის და მეტიც, ამ გაკვეთილის ჩაშლას ყველანაირად შეეცდება.

არის შემთხვევები, როცა უმუშევარ მასწავლებელს ნაცნობობით მიიღებენ სკოლაში, მაგრამ სულ აკონტროლებენ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ეს მასწავლებელი კომპეტენტურად აფასებს ბავშვებს და ამ მიზნით მოსწავლეებს უწყობენ გამოცდას. გამოცდების ჩატარება კი მეთერთმეტე კლასამდე უკანონოა.

ვანო ბენებაშვილი
თბილისის 46-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე

ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობა. ის ჯანმრთელი რომ იყოს, ამისთვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს უნდა იღებდეს.როცა ვყიდულობთ პროდუქტს, მის ეტიკეტზე გარკვევით უნდა იყოს მოცემული, თუ რა ნივთიერებებისგან შედგება პროდუქტი. დღეს ის სურსათი, რომელიც სრულიად უვნებელი გვგონია, არ ვიცით შეიცავს თუ არა ქიმიურ მომწამლავ ნივთიერებებს. ეტიკეტზე ეს ნივთიერებები მოცემულია კოდებით, რომლის მნიშვნელობაც მომხმარებლის უმრავლესობამ არ იცის. ამით ირღვევა ადამიანის უფლებები-ისინი იღებენ ჯანმრთელობისთვის სახიფათო საკვებს, რაც იწვევს სხვადასხვა დაავადებას.

მე ვისურვებდი პასუხს შეკითხვაზე, რატომ დანიშნეს ყოფილი გენერალური პროკურორი შინაგან საქმეთა მინისტრად.



ანა ასტვაცატურიანი,
მარიამ ლეკვეიშვილი
თბილისის 45-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლეები

ჩვენი მთავარი თემაა ეკოლოგია, გარემოს გაჭუჭყიანებისგან დაცვა, დასუფთავება.

ჩვენი აზრით სასურველია მაკულატურის ცნების აღდგენა, რათა დავიცვათ ჩვენი განადგურებული ფლორა და ფაუნა. საექსპლუატაციო ხე-ტყეთა რაოდენობა საქართველოში, კერძოდ კი თბილისშიც მცირეა. ძირითადად არსებულ ტყეებს აკისრია ჰაერდაცვითი, ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი და სხვა ფუნქციები-მათი უკანონო ჭრა დაუშვებელია !

ჩაის მწარმოებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორია, პარკი დაბინძურებულია და საჭიროებს დასუფთავებას და აღდგენას. ჩვენ თხოვნით მივმართავთ ქალაქის მერს - უყურადღებოდ არ დატოვოს ჩვენი თხოვნა და ავჭალის მიდამოებში ერთადერთი "ნორმალური" პარკის დასუფთავება-განახლებას ვთხოვთ, აქ ეკლესიის მშენებლობაცაა დაგეგმილი. შესაკეთებელია გზები, ქუჩებში განათება არ არის. როგორმე აღიკვეთოს საკანალიზაციო ლუქების მოპარვა მათი ჯართში ჩაბარების მიზნით.

უბნის ინსპექტორმა პირნათლად უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

ასევე, მნიშვნელოვანია შემოტანილი პროდუქციის შემოწმება, განსაკუთრებით წამლების - მოსახლეობა კი იძლევა თანხას წამლებში, მაგრამ წამლები იძლევიან თუ არა სათანადო შედეგს?!

დაბოლოს, თვრამეტ წლამდე მოზარდებში ხშირია თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება - რამე უნდა ვიღონოთ.

ლევან ტურიაშვილი
თბილისის 145-ე სკოლის
მეცხრე კლასის მოსწავლე

თბილისში, მეტროს სადგურ ვარკეთილთან ხომლელის ქუჩის "დ" კორპუსის წინ არის სტადიონი, მაგრამ შეუძლებელია ამ სტადიონზე თამაში. პირველ რიგში, რომ სულ ასფალტია, თანაც უსწორმასწორო. ვინმე შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს. არ არის შემოღობილი, კარს არ აქვს ბადე. სტადიონი კორპუსებს შორისაა მოქცეული და ბურთი ნებისმიერი მიმართულებით გაგზავნილი, შეიძლება მოხვდეს საცხოვრებელი ბინის ფანჯარას.ამან კი შეიძლება ბევრი ცუდი რამ გამოიწვიოს-შეიძლება ოთახში თოთო ბავშვს ეძინოს, ან ადამიანი იდგეს ფანჯარასთან და ნამსხვრევებით სერიოზულად დაშავდეს. ბურთი შეიძლება ნებისმიერ გამვლელს მოხვდეს და ეს იწვევს პრობლემებს, კამათს, რომელიც შეიძლება შეურაცხყოფაში გადავიდეს.

გვინდა, რომ სტადიონი აღდგეს. ბავშვებს ეზო სჭირდებათ. სტადიონზე რომ ვერ თამაშობენ, იძულებულნი არიან მიმოიფანტონ და შეიძლება ცუდ საქმეს მოჰკიდონ ხელი. ამიტომ ვითხოვთ, რომ სტადიონი გარემონტდეს.



# წერილები მთავრობას



ხატია ქართველიშვილი
თბილისის მე-3 საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე

ვარ სოხუმიდან დევნილი. ეს ჩემი და ჩემი ოჯახის დიდი ტკივილია. ვცხოვრობ დეიდასთან. საკუთარი საცხოვრებელი ბინა არ გაგვაჩნია, ხშირად გვიხდება საცხოვრებლის გამოცვლა. ამის გამო ვიცვლით სკოლებს. ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. იმედია, ახალი მთავრობა იზრუნებს დევნილებზე და ჩვენნაირ უსახლოდ დარჩენილ ხალხზე, რომლებიც ნათესავებს აფარებენ თავს.

რაც შეეხება სკოლას, სადაც ვსწავლობ, არის გაურემონტებელი, მოძველებული ინვენტარებით, ჩაბნელებული და ზამთარში გაყინული ოთახებით.

სკოლის წინ ნაგვის ბუნკერები დგას, საიდანაც საშინელი სუნი ამოდის -ეს მოქმედებს ბავშვებზე. ეს ბუნკერები აუცილებლად უნდა აიღონ.

რაც შეეხება სწავლას, მინდა შემოგვთავაზონ სწავლების ახალი, საინტერესო კურსი.

რა ვქნათ, არ გვაკმაყოფილებს სწავლების მოძველებული პროცესი და თან არ გვაქვს სახსრები, რომ გარკვეულ საგნებში მოვემზადოთ.

ჩემი დიდი სურვილია ყველა სკოლაში ასწავლიდნენ პროფესიონალი მასწავლებლები, რათა ღირსეული მომავალი გაუზარდონ საქართველოს.

მე მთელი ჩემი არსებით ვცდილობ ვისწავლო.

ყველაზე ფასეული, რაც გააჩნიათ ადამიანებს, არის ჯანმრთელობა, რისი უზრუნველყოფის საკითხი მოშლილია საქართველოში.

პოლიკლინიკა და საავადმყოფო უნდა იყოს კეთილმოწყობილი. ექიმებსა და ექთნებს უნდა გაეზარდოთ ხელფასები, რათა უანგაროდ ემსახურონ პაციენტებს.

ბავშვების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უნდა ხდებოდეს უფასოდ.გთხოვთ იზრუნოთ ადამიანების ჯანმრთელობაზე.

დიდი სურვილი მაქვს განათლების და შინაგან საქმეთა მინისტრებს შევხვდე.

საბა ფიფია
თბილისის 67-ე სკოლის მერვე კლასის მოსწავლე

დღეს ჩვენ უკვე იმ ასაკში ვართ, რომ უმაღლეს განათლებაზე ვფიქრობთ. უნდა ვიფიქროთ მომავალზე-სამ წელიწადში ჩვენ უმაღლესი სასწავლებლის კარის წინ აღმოვჩნდებით.

წლების განმავლობაში ტელევიზიით თუ მასმედიის სხვა საშუალებებით გვესმოდა კორუფციაზე უნივერსიტეტსა თუ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და თითქმის შეუძლებელად მიგვაჩნდა იქ ჩვენი ცოდნით უფასოდ მოხვედრას, მაგრამ დღეს ჩვენს გულებში იმედი გაჩნდა. შეიცვალა მთავრობა, მინისტრი, აქედან გამომდინარე შეიცვალა განათლების სისტემა, რაც ნათლად აისახა მისაღები გამოცდების სტრუქტურაზე, მაგრამ მაინც დაგვრჩა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა, მაგალითად რა საგნები ერთიანდება "ზოგად უნარ-ჩვევებში"? ჩვენი თხოვნა იქნება ტესტები არ სცილდებოდეს სკოლაში ნასწავლ მასალას და მასთან შესაბამისობაში მოდიოდეს, რადგან ბევრ მოსწავლეს, ვისაც არ აქვს საშუალება მოემზადოს სხვადასხვა საგანში კერძო მასწავლებელთან, შეიძლება დაიჩაგროს და სასწავლებელს გარეთ დარჩეს, რადგან მის მიერ ნასწავლი მხოლოდ სკოლის პროგრამით გამოცდას ვერ ჩააბარებს, თუ ტესტებში დამატებითი მასალაც იქნება მოცემული, რომელსაც ჩვენ არ გავდივართ.

ამ და კიდევ ბევრ პრობლემაზე სასაუბროდ , ვთხოვთ ბატონ განათლების მინისტრს, რომ გვეწვიოს ჩვენს შეკრებაზე და ჩვენს შეკითხვებს უპასუხოს. ეს ჩვენ დაგვეხმარება განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი.

გმადლობთ.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

შემდეგი გვერდი გამოვა 29 ივნისს

## უმაღლესი ხელოვნება უმაღლესი ხარისხის ფქვილისგან



პური დიზაინერების შთაგონების საგანი გახდა

B3

## ტრადიცია გრძელდება



ევროპის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა

B3

## „დგუშების" აღლუმი



NBA-ის კლუბმა „დეტროიტ პისტონზმა" მესამედაც დაამწუხრა მრისხანე „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" და ერთ ნაბიჯზეა ტრიუმფთან.

B 4

# სტადიონები სადაც ევროპის ჩემპიონატის მატჩები იმართება



































# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ივანოვი"
(ჩეხოვის მიხედვით)
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დონ-ჟუანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმების რეტროსპექტივა
"მოპარული სილამაზე"
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ამნეზია"
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ.

"დღე ხვალის შემდეგ"
დას: 14:30; 19:30 სთ

**ამირანი**
"ჰარი პოტერი 3"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00 სთ.

"ტროა"
22:00 სთ.

**კინოს მოყვარულთა კლუბი**
(გოეთეს ინსტიტუტი)
ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა
(ქართული პერიოდი)
"გიორგობისთვე"
დას: 17:00 სთ

## გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გაომფენა

**"ქარვასლა"**
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# "კინოს მეგობართა" კლუბი

სალომე კიკალეიშვილი

გუშინ, გოეთეს ინსტიტუტისა და კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის ბაზაზე შექმნილი ახალი, "კინო მეგობართა" კლუბის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ოთარ იოსელიანის ქართული პერიოდის ფილმების რეტროსპექტივით გაიხსნა. რეტროსპექტივას, რომელიც იოსელიანის შვილიშვილის, ნიკო ტარიელაშვილის 2001 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმით - "ოთარ იოსელიანი იღებს ორშაბათის დილას" - გაიხსნა, იოსელიანის 1961 წელს გადაღებული ფილმი "აპრილი" მოჰყვა. ეს ოთარ იოსელიანის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია, თავის დროზე აკრძალული ფილმი, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დღესაც უცნობია.

რეტროსპექტივა, რომელიც 17 ივნისის ჩათვლით გაიმართება გოეთეს ინსტიტუტში იოსელიანის ქართული პერიოდის ფილმები იქნება წარმოდგენილი. ხოლო ივლისის დასაწყისში ფრანგული პერიოდის ფილმების რეტროსპექტივაა დაგეგმილი. რაც შეეხება კლუბს, რომლის ოფიციალური არსებობის პირველ ნაბიჯები სწორედ გუშინ გადაიდგა გოეთეს ინსტიტუტში, საკმაოდ მოკრძალებული პრეზენტაციით დაიწყო.

ეს ახალი კლუბი, იმ დიდი პროექტის ნაწილია, რომლის განხორციელებასაც ორგანიზატორები მომავალში აპირებენ: შეიქმნას კინომუზეუმი, დაარსდეს კინობიბლიოთეკა; გამოიცეს და იარსებოს კინოჟურნალმა... საკმაოდ შრომატევადი და საინტერესო წამოწყება, რომელიც კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელმა კინომცოდნე მარინა კერესელიძემ და კინომცოდნე დინარა მაღლაკელიძემ, გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით წამოიწყეს: "ეს არის ცდა შეიქმნას საქართველოში სინემატოგრაფიული ფონდი, კინომუზეუმით, კინობიბლიოთეკით, ისე, როგორც ოპის ნებისმიერ ქვეყანაშია. ფონდის მიზანი იქნება კინოკულტურის ძეგლთა შესწავლა და მათი პოპულარიზაცია; ქართული კინოს სრული საინფორმაციო ბანკის შექმნა; საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მდებარე კინოორგანიზაციებში, მუზეუმებში, არქივებსა და კერძო კოლექციებში ქართული კინოკულტურის ძეგლთა (კინოფილმების, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების, მემორიალური ნივთების და სხვა) აღდგენა-რესტავრაცია" – განაცხადეს ორგანიზატორებმა – "არის მოლაპარაკებები როგორც ჩვენ კულტურის მინისტრთან, ასევე უამრავ დაინტერესებულ უცხოელ კერძო პირთან, ბერლინის, მოსკოვის კინომუზეუმების მესვეურებთან და სწორედ მათთან ერთად მუზეუმის სტრუქტურასა და კონცეფციებზე, შემოდგომაზე სემინარის გამართვას ვგეგმავთ. არის უამრავი დაინტერესებული ადამიანი, რომელიც მზად არიან დაგვეხმარონ მოგვაწოდონ მასალები, ფილმები, წიგნები. უბრალოდ ამისთვის საჭიროა ადგილი, სადაც ჩვენი პროექტის განხორციელებას შევძლებთ. უკვე არის საუბარი და სურვილი, რომ ეს იყოს კინოთეატრი "აპოლო", რადგან ეს ერთ-ერთი პირველი კინოთეატრია, აშენებული 1909 წელს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შენობა, სადაც ყველაფერი განთავსდება: მუზეუმი, საექსპონატო დარბაზით, კინობიბლიოთეკა, კლუბი...". თუმცა აქამდე დიდი გზაა გასავლელი, რომლის განხორციელებაც, როგორც სახელმწიფო ასევე ხალხის, მაყურებელთა თანადგომის გარეშე ძნელი განსახორციელებელი იქნება.



იური ლობოდინის ფოტო

*კინომცოდნე დიანა მაღლაკელიძე: "ეს არის ცდა შეიქმნას საქართველოში სინემატოგ-რაფიული ფონდი, კინომუზეუმით, კინობიბლიო-თეკით,*

"ის სურათი რაც დღევანდელ კინოდარბაზებშია, ლუმიერების პერიოდს მაგონებს, როცა კინო ატრაქციონის, გართობის დანამატი იყო. ჩვენი მიზანია აღვადგინოთ ის ძველი ტრადიცია, სადაც კინო გართობის კი არა, სულ სხვა სამყაროს, ატმოსფეროს შემქმნელი იყოს" – განაცხადა საუბარში მარინა კერესელიძემ.

რაც შეეხება ამ ეტაპზე, უკვე არსებულ კინოს მეგობართა კლუბს, იქ (სინემატეკის ტრადიციისამებრ) ყოველ ხუთშაბათს, კლუბში გაწევრიანებულ მაყურებელს, ფილმის ნახვის შესაძლებლობა ექნება, როგორც ორიგინალში ასევე თარგმანით; შესაძლებელი იქნება ეწვიოს პერსონალურ თუ თემატურ რეტროსპექტივებს რომელიც, ორგანიზატორთა განცხადებით არაერთხელ მოეწყობა და საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამით იქნება წარმოდგენილი; ნაჩვენები იქნას ფართო მაყურებლისათვის არც ისე ნაცნობი, მაგრამ კინოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ფილმები, ფილმები რომლებიც არასდროს მოხვდებიან კინოგაქირავებასა და ეკრანებზე; მოეწყოს დისკუსიები, მაყურებელს თითოეულ ფილმსა თუ ავტორზე მიეწოდოს ბეჭდვითი ინფორმაცია...

# დიფუზია "ძველ გალერეასთან"

თეონა ჭაფარიძე

"მხატვრებმა პოეტებთან უნდა იმეგობრონ, პოეტებმა მუსიკოსებთან, მუსიკოსებმა მხატვრებთან. მოკლედ დიფუზიური პროცესია რა" – მიხსნის **შოთა იათაშვილი – პოეტი, რომელიც მხატვრებთან მეგობრობს**.

"ძველ გალერეასთან" კი ერეკლეს მოედანზე ამ დროს მართლაც დიფუზიური პროცესი დუღს: გალერეაში პოეტის მიერ პასტელებში შესრულებული ჩანახატები კიდია, ქუჩაში ახლადგახსნილი კაფეს წინ მხატვრები ლუდს სვამენ, თან გუგა კოტეტიშვილის გაკეთებულ ახალი კაფეს ინტერიერზე საუბრობენ, თანაც ხელში შოთა იათაშვილის ახალი წიგნები უჭირავთ. ქუჩიდან, გალერეის ღია კარში მოჩანან ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი და რატი ამაღლობელი, ანუ მწერლები და პოეტები შოთას პასტელების წინ რომ დგანან და ათვალიერებენ. ქუჩაში შოთას წიგნები იყიდება: ერთი მისი ლექსების კრებულია, მეორე ამერიკელი პოეტები (თარგმანი). დიფუზიური პროცესი გრძელდება...



იური ლობოდინის ფოტო

*შოთა იათაშვილის პორტრეტი ოჯახურ ინტერიერში*

ამერიკელ პოეტებს ვფურცლავ ("მერანს" გამოუცია) ედგარ პოს "ანაბელ ლი"-თი იწყება. შოთა მეუბნება, რომ წიგნში **ბიტნიკების ბიბლიაც** არის შესული. ვფურცლავ და ვპოულობ კიდეც ალენ გინზბერგის "ყმუილს". "**პირველ თარგმანში "ღმუილი" მქონდა, მაგრამ ასე უფრო მძაფრია"** – მეუბნება შოთა. "24 წლის ებრაელი, კომუნისტისა და ჰომოსექსუალის – ალენ გინსბერგის მიერ 1954 წელს, აგვისტოში ბერკლიში დაწერილი და 1955 წლის 7 ოქტომბერს სან-ფრანცისკოში, მე-6 გალერეაში წაკითხული პოემა მთელი ბიტ-თაობისა და ჰიპ-ეპოქის ჰიმნია." – წერს წინასიტყვაობაში პოეტი და მთარგმნელი **ლელა სამნიაშვილი.** აღმოჩნდა, რომ ლელას წინასიტყვაობა სწორედ ბერკლიში დაუწერია, იქ სადაც დღემდე იგრძნობა ბიტნიკების ეპოქის აჩრდილი და სადაც "ტელეგრაფის ქუჩა" რეალურად არსებობს. "დღევანდელი ბერკლი ამერიკის ყველაზე უფრო რადიკალურ და ლიბერალურ ადგილად ცნობილი საუნივერსიტეტო ქალაქია" – წერს ლელა, რომელიც თავადაც იქ სწავლობს.

"როცა ვთარგმნიდი, მინდოდა ვინმესთან აზრი გამეზიარებინა. ავდექი და ტექსტები ამერიკაში ლელას გავუგზავნე. მან ეს წინასიტყვაობა გამომიგზავნა. ისე ორივე წიგნის წინასიტყვაობა ამერიკაში დაიწერა. ჩემი ლექსების კრებული პოეტმა **დათო ჩიხლაძემ** გაარედაქტირა და იმეილით ნიუ იორკიდან გამომიგზავნა," – მეუბნება შოთა. ამერიკაში უკვე კარგა ხნით გადახვეწილი დათო ჩიხლაძე კი, რომელმაც 90-იან წლებში თავი თავისი პერფორმანსებითა და ანდერგრაუნდული სცენით დაგვამახსოვრა, წინასიტყვაობაში შოთას პოეზიაზე წერს, რომ "ის შეიძლება ქართული ველრიბლის ნაწილად მოვიაზრო." შოთა იათაშვილის ვერლიბრული პოეზია კი ასე გამოიყურება:

"აი, შეხედეთ, მოდის ისიც, XX საუკუნის დასასრულის პოეტი.

მას ხელიდან გააგდებინეს ყვავილების თაიგულები და ვარსკვლავები. ხოლო პირიდან ამოაგლიჯეს სიყვარული, ერთგულება და მშვენიერება." – სწორედაც რომ ასეა, და ამას რომ გრძნობს, სწორედ ამიტომ არ არის შოთას პოეზია ყალბი. და ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ "ამერიკელი პოეტების" ტირაჟი მხოლოდ 200 ცალია, ხოლო მისი ლექსების კრებული, "კავკასიურმა სახლმა" 300 ეგზემპლარად გამოცა. წიგნებს მოახლოებულ წიგნის ფესტივალზეც იშოვით და "ძველ გალერეაშიც", სადაც შოთას პასტელური ნამუშევრებია გამოფენილი.

"ისეთი პერიოდი მქონდა, რომ ველარ ვწერდი. ჰოდა ერთხელაც ჩემს უფროს გოგოს ამერიკიდან მეგობარმა პასტელები გამოუგზავნა. ბავშვობის შემდეგ აღარაფერი დამეხატა. ავდექი და დავხატე. რაღაც თერაპიასავით აღმოჩნდა. მიშველა. წერაც დავიწყე," – მიყვება შოთა. და მერე მეორე ვერსიასაც მიმხელს:

ვერსია მეორე: "აგერ ოლეგმაც გამოსცა ლექსების კრებული, გია მირზაშვილმაც, თემო ჯავახიშვილმაც," – მითითებს მხატვრებზე და მერე აგრძელებს - "მე ყოველთვის მხატვრების წრეში ვტრიალებ. არაცნობიერად ეს აყალიბებს შენს ვიზუალურ გემოვნებას. როცა მწერლების წრეში ვარ, უნებლიეთ ჩვენს შიდა პრობლემებში ვიძირებით. მხატვრებთან კიდევ ყოველთვის პოეტად ვრჩები და უფრო მსუბუქად ვგრძნობ თავს. როცა ამ გამოფენის გაკეთება გადავწყვიტე, მეგონა ეს მხატვრებს უფრო გაუკვირდებოდათ, მაგრამ პირიქით, ლიტერატორები უფრო გაოცებულები დარჩნენ. მოკლედ ხატვაც და წერაც შემოქმედებითი პროცესია, დიფუზიაა და ყველაფერი დასაშვებია," – ამბობს პოეტი, რომელიც ხატავს.

# მასპინძელია "პუტინკა"

"ჯი ემ ეს" ჯგუფი ნაძვნარში შეჭრილი ისლით გადახურული ქოხებით რუსული ატმოსფეროს შექმნას თბილისის გეოგრაფიულ ცენტრში, ზედ გმირთა მოედანზე ცდილობს. 12 ივნისს, რუსეთის დამოუკიდებლობის დღეს ქართულ-რუსული მეგობრული ურთიერთობები "მატრიოშკა"-ში კიდევ უფრო ღრმავდებოდა. "რუსეთის დღეზე" მისულ სტუმრებს "კარავაით" და "პუტინკა" არყით ხვდებოდნენ. საღამოს ორგანიზატორები ერთგულ სტუმრებს არაყ "პუტინკას" სასუვენირე ნაკრებით და რუსულ თემატიკაზე შესრულებული ქართული თექით აჯილდოვებდა.

საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქართული ფაცხების რუსული ანალოგია - "იზბუშკები." თუ "პუტინკით" ნასიამოვნები სტუმრების კმაყოფილი სახეებით ვიმსჯელებთ, ორგანიზატორთა ჩანაფიქრი განხორციელდა და "მატრიოშკა" ქართულ-რუსული ურთიერთობების არაფორმალურ ცენტრად შეიძლება ჩაითვალოს. ეს "რუსეთის დღისადმი" მიძღვნილმა ფეიერვერკმაც დაადასტურა.




რეცენზია

# რენტაბელური თუ ქართული საკულტო წიგნი?

თათა ცოფურაშვილი

საქართველოში დღეს არც თუ ისე ცოტა წიგნი იბეჭდება. ყოველ შემთხვევაში ერთდროინდელი სტაგნაცია ჩვენმა სტამბებმა უკან მოიტოვეს და დღეს წიგნის მაღაზიის დახლებზე ყოველთვიურად იცვლება ანტურაჟი ახალი ყდებითა და ახალი გვარებით.

მაგრამ, "მწიგნობრობის" ასეთი აყვავების ხანაშიც არ არის ხშირი ერთი და იგივე წიგნის ორჯერ მოვლენა მზის შუქზე.

თუმცა, ქართული წერა-გამოცემის ამ კანონზომიერების ჩარჩოებს აქვს რამდენიმე გამონაკლისი, ანუ არსებობს წიგნები, რომლებიც არაერთხელ იბეჭდება. ასეთი მრავალჯერადი გამოცემა კი, ალბათ, დამეთანხმებით, რომ წიგნის (ან ავტორის) სოციალურ მოთხოვნილებაზე მიუთითებს. თანაც თუ წიგნის ხელმეორე გამოცემის ინიციატივა არც მეტი, არც ნაკლები, თავად გამომცემლისგან მოდის, აქ აშკარა რენტაბელურობასთან და გამომცემლობისთვის გარანტირებულ შემოსავლებთანაც გვაქვს საქმე.

მოკლედ, არსებობს წიგნები, რომლებიც იყიდება, რომელთა ხელმეორე ბეჭდვა გამომცემელსაც აწყობს და ავტორსაც, და რომელსაც ქართველი მკითხველის ინტერესების სფეროში მოთხოვნილების ფართო არეალი მოეძებნება.

მაშ ასე – როგორ წიგნებს გამოსცემენ და კითხულობენ ქართველები ხელმეორედ?

განვლილ თვეში ამ კითხვაზე პასუხის კატალიზატორად წიგნის დახლებზე ხელმეორედ, სახეცვლილი ფორმატითა და დახვეწილი დიზაინით გამოჩენილი აკა მორჩილაძის "მოგზაურობა ყარაბაღში" იქცა. რომანი, რომელიც, როგორც ავტორი თავად აღნიშნავს, პირველია, რომელიც დაიწყო და დაამთავრა, სწორედ თავად გამომცემლის ინიციატივით ჩაეშვა კიდევ ერთხელ სტამბაში. ამ წიგნის ხელმეორე გამოცემაში ზუსტად ეს არის ყველაზე საინტერესო: გამომცემელმა იცის თუ რა ფასობს ქართულ ბაზარზე. ბაზარი კი აქტუალური, მოქმედი და მნიშვნელადი ქართული საზოგადოების სულიერი ღირებულებების ადეკვატურ პროდუქციას მოითხოვს.

მოკლედ, ეს დიდი ჯაჭვია, რომლის ბოლოც წარმოადგენს პასუხს კითხვაზე, თუ როგორია ქართული სულიერი ღირებულებების ადეკვატური ლიტერატურული რეალობა. იგი კი ასე გამოიყურება:

თბილისელი (იგივე, როგორც ავტორი და, შესაბამისად, პირველ პირში მთხრობელი გიუშკი მრავალგზის ხაზს უსვამს, "ქალაქელი") 24 წლის ბიჭი მეგობართან ერთად წამლის თუ მოსაწევის, ან ორივეს ერთად (ნარკოტიკული ტვირთის სახე ბოლომდე გაურკვეველი რჩება) ჩამოსატანად აზერბაიჯანში მიდის. პრინციპში ერთი ჩვეულებრივი ისტორია იქნებოდა (მიდის ბიჭი სხვისი ფულითა და სხვისი ინიციატივით, ასრულებს მხოლოდ მძღოლის ფუნქციას) უეცრად აქ ბოევიკური ტრიუკების "ექშენი" რომ არ შემოჭრილიყო ღამით, სიბნელით, ატალახებული გზით და აზერბაიჯანული სამხედრო მანქანით.

ასე და ამგვარად, ქართველი გიუშკი ჯერ აზერბაიჯანელი სამხედრო შტაბის ტყვე ხდება ყარაბაღში, შემდეგ კი შტაბის დამრბევი სომხების. თუმცა, ტყვე არის თუ არა, ეს კარგად თავადაც ვერ გაუგია. გიუშკის ამ გაურკვეველი მდგომარეობის მკითხველისთვის მაინც ასახსნელად ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: "უბრალოდ, მან არ იცის, რომ სამყარო დიდია და გამოუმშვიდობებლად შეგიძლია წახვიდე სადმე, არა მხოლოდ ფეხით, არამედ ფიქრითაც". მაგრამ გიუშკიმ, ისევე როგორც მრავალმა დაუმთავრებელი წინადადებებით მოლაპარაკე "დაუმთავრებელმა ქართველმა" ფიქრი არ იცის და ამიტომაც სიუჟეტი კვლავაც კავკასიურ-ტერორისტულ ესთეტიკაში ვითარდება რუსი ჟურნალისტის მძევლად აყვანით, აზერბაიჯანელი ტყვეების გათავისუფლებით და ასეთი "ნადავლით" აზერბაიჯანულ სამხედრო შტაბში უკან დაბრუნებით... სამაგიეროდ კი ქართული "ნადავლი" - გაურკვეველი ფუთით ნაჩუქარი გაურკვეველი ნარკოტიკი, გათავისუფლებული მეგობარი გოგლიკა და წითელი ხიდისკენ გზა. აი, აქ კი ისევ მხედრიონის და არა ოქრუაშვილის დროინდელი პოლიციის ჟამი რომ ყოფილიყო, ადამიანი ნამდვილად ზედმიწევნით ინსტრუქციას მიიღებდა საქართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტების, საგზაო ინსპექციისა და საბაჟოს მოტყუებისა თუ მოთაფვლის შესახებ. ამის წაკითხვის შემდეგ აღარც კი გაგიკვირდებათ (თუ მანამდე გიკვირდათ, რა თქმა უნდა) თუ რატომ იყო (და არის) აკა მორჩილაძის ეს რომანი ერთგვარი საკულტო წიგნი.

მაგრამ, დავუბრუნდეთ ისევ ვაკელ გიუშკის. სხვათა შორის, თანამედროვე ქართველი მწერლებისთვის ტიპური ქართული მანკიერებებით შემკული ქართველი მკითხველისთვის თვალსაჩინო და ლაკონური დახასიათების ყველაზე გავრცელებულ ფორმად ვაკეში მცხოვრები 30 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის პერსონაჟების გამოგონება იქცა, რასაც დასაბამი აკა მორჩილაძემ დაუდო. ბუნებრივია, იკითხავს კაცი, რა დააშავეს ვაკელებმაო და როგორ და რა მექანიზმებით აკუმულირდა მათში მთელი ქართულ-თბილისური ნაკლოვანებებიო, მაგრამ ეს, ალბათ, ცოტა უფრო შორს მიმავალი კითხვაა, და ზოგადად, თანამედროვე ქართველ მწერალთა უბნურ-რეგიონალური ფანტაზიის შეზღუდულობით უნდა აიხსნას.

მოკლედ, ვერც ასეთი თავისუფლება და ვერც ასეთი მოულოდნელი "ნადავლი" გიუშკის თავს გადახდენილის კომპენსაციას ვერ უწევს და შინ დაბრუნებული მამისა და მეგობრების წინაშე ისეთი დუმილით დუმდება, როგორი მდუმარებაც ცენტრალ პარკში მოგზაურობის შემდეგ ნიუ იორკელ ჰოლდენ კოლფილდსაც კი შეშურდებოდა. და როგორი საოცარი დამთხვევაც არ უნდა იყოს, გიუშკიც სელინჯერისეული თინეიჯერი ჰოლდენის გზას იმეორებს და მის მსგავსად სხვებთან საუბარს საკუთარ თავგადასავალზე წიგნის წერას ამჯობინებს.




*არსებობს წიგნები, რომლებიც იყიდება, რომელთა ხელმეორე ბეჭდვა გამომცემელსაც აწყობს და ავტორსაც, და რომელსაც ქართველი მკითხველის ინტერესების სფეროში მოთხოვნილების ფართო არეალი მოეძებნება.*

თუმცა, მამასთან და მეგობრებთან ურთიერთობა ხომ ამ სიუჟეტური ფაბულის მიღმა მოთავსებული დიდი ფსიქოლოგიური დრამაა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე დრამატულად გვაწოდებს მას მწერალი: ამ მძაფრსიუჟეტიან ძველ-კაი-ბიჭურ თრილერს ხომ რეფრენად ახლავს გიუშკის ცნობიერების ნაკადში მობობოქრე, ვინმე იანას მიმართ გაუმქრალი სენტიმენტალური გრძნობები. იანა კი არც მეტი, არც ნაკლები, თბილისელი ბოზია... და მამასა და შვილს შორის არსებული დაპირისპირების საბაბი.

მწერალს ამ სენტიმენტების პერმანენტული განმეორებითა და გიუშკის ცხოვრებაში მისი მნიშვნელობის აქცენტირებით აშკარად უნდა, მიუთითოს ე.წ. "ქალაქური მორალის" პირობითობასა და სიყალბეზე. ეს მორალი კი, ავტორის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, ხალხის გაუბედურებისა და დაშლის ერთი დიდი მანქანაა და სხვა არაფერი.

ასე და ამგვარად, ამ სასიყვარულო ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული ბუდუარების სურნელი და "ქალი კამელიებით"-ს აჩრდილი იგრძნობა. რას იზამთ, ფაქტია, რომ საქართველო ევროპას შობა-ახალი წლის ზეიმში ორი კვირით ჩამორჩება. თუმცა, არის საკითხები, რომელშიც ჩამორჩენა საუკუნემდეც კი შეიძლება გაიზარდოს. ჰოდა, რა ქნას გიუშკიმ, თუ მამასთან დაპირისპირება მისი ფრანგი პროტოტიპის მსგავსად მეოცე საუკუნის მიწურულსაც კი ცალსახად წააგო?

ამ ფრანგი ალფრედოს პროტოტიპი გიუშკის სულიერი თუ რეალური დრამის შინაარსზე ავტორი მეორე გამოცემის წინასიტყვაობაშიც ამახვილებს ყურადღებას და დასკვნის სახით გვამცნობს: "ჩემი მოკლე ჭკუით, სადაც ქრისტიანობაა, იქ თაობები და მამათა და შვილთა ბრძოლები არ არის".

აი, აქ კი დაიბნევა მკითხველი და ზურიკელას ბებიას კვალად იკითხავს, სად ნახა აკა მორჩილაძემ ასეთი გაქვავებული ქრისტიანობა, სადაც არც ცვალებადობაა და არც აზრის განვითარება, გამოხატული თაობათა ცვლაშიო.

დასავლეთში?

საეჭვოა, იქ ხომ არა მხოლოდ "მამებმა და შვილებმა", ერებმაც კი ებრძოლეს ერთმანეთს რეფორმაციის ეგიდით;

ჩვენში?

ესეც საეჭვოა, აქ ხომ ამდენი "ჯვაროსნული ლაშქრობა" და ჯვარშემართული მარში ხვდება მთელ რიგ ინოვაციას.

მოკლედ, ისღა შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ამ ზემოთ ხსენებულ "ქრისტიანობაში" რაღაც ზემიწიერი იგულისხმება და მისი რეალიზება საზოგადოებაში თუ არა, სასუფეველში მაინცაა შესაძლებელი. მით უმეტეს, რომ სასუფეველში მართლაც არ უნდა არსებობდნენ თაობები და ყველა თანასწორი უნდა იყოს ღმერთის წინაშე.

მოკლედ, ასეთი ოჯახური თუ საომარი ბატალიებგამოვლილი გიუშკი ნეო-სოკრატესავით აცხადებს: "მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი, არაფერი არ ვიცი ქვეყანაზე". ამისი ცოდნა სჯობია თუ "არაფრით ცხოვრება", აი, ჰამლეტისა არ იყოს, საკითხავი მართლაც ეს არის გიუშკისთვის.

არადა, მან ხომ პირველად დასვა კითხვა და დაფიქრდა სწორედ ამ პირობით თუ რეალურ – მოკლედ, მისთვისაც ბოლომდე გაუგებარ – ტყვეობაში, სადაც აღარ იყო არც ერთი ნაცნობი, თავად ძმაკაციც გოგლიკო – "ქალაქელი ბრაძიაგა" ან გნებავთ, მორალური გაიძვერა, რომელიც უცნობს ართმევს, ძმაკაცს აძლევს, განსაკუთრებით კი პლანს.

ერთი სიტყვით, ოცდაოთხი წლის გიუშკის პრობლემა იმაში გამოიხატება, რომ იგი, როგორც თავად ამბობს, "დაუმთავრებელია". ეს დაუმთავრებლობა კი იმით ვლინდება, რომ პიროვნებად შედგომისთვის საკმარისი და აუცილებელი დამოუკიდებლობა ვერ მოუპოვებია – ვერც მამისაგან და ვერც მეგობრებისაგან. მოკლედ, ქართული გარემოს მსხვერპლია, სადაც "სხვები წყვეტენ შენს ბედს". ასეა თუ ისე, გიუშკიმ ვერც სიყვარული (მართალია, ერთობ საპნის ოპერის დარად გულისამაჩუყებელი და სიუჟეტურად იაფფასიანი), ვერც თავისი ინდივიდუალიზმი ვერ დაიცვა.

ეს კი არის ის ფონი, რომელიც თან ახლავს არშემდგარი პიროვნებისა და სოციუმის აგრესიის ფეიერვერკს.

აგრესია კი, როგორც მწერალი წინასიტყვაობაში განგვიმარტავს, "სიცარიელისგან, უვიცობისგან და ამპარტავნობისგან მოდის". ნამდვილად გონებამახვილური და გამჭრიახი მიგნებაა. შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამ დეფინიციის შემცველი წინასიტყვაობისთვის ღირდა ამ წიგნის ხელმეორედ გამოცემა, რამეთუ იგი რიგითი ქართველისთვის დიდ დიდაქტიკურ შინაარსს შეიცავს და გულისხმობს: ქართველებო (გნებავთ, "ქალაქელო ბიჭებო"), გქონდეთ მიზანი ნაცვლად სიცარიელისა, მიიღეთ ცოდნა თქვენი უვიცობის სანაცვლოდ და იყავით თავმდაბალნი ნაცვლად პერმანენტული ტრაბახისა, რათა აღარ იმოგზაუროთ ყარაბაღში.

გამომდინარე იქიდან, რომ სიუჟეტში მოქმედება ყარაბაღის ომის დროს ხდება, იგი საქართველოში სამოქალაქო და აფხაზეთის ომებს შორის არსებულ დროის მონაკვეთს აღგვიწერს. ბუნებრივია, ამიტომაც ბევრია ქართული გვარდიის, მხედრიონის მედალიონისა თუ სხვადასხვა ლიდერების ხსენება და "ჩვენს თმაჭაღარა მოლაყბეებზე" მინიშნებები. მაგრამ ის, თუ რამდენად შეესაბამება რომანში წარმოდგენილი ქართული ჰეროიზმის ხოტბა დამარცხებული გვარდიის ან კი მოგვიანებით ყაჩაღობისთვის დაპატიმრებული მხედრიონის ნამდვილ სახეს, ეს თავად მეხსიერების და სულ მცირე, თორმეტწლიანი მეხსიერების მქონე მკითხველმა განსაჯოს. ამ ჰეროიზმის წყალობით კი წიგნში ცოტა არ იყოს და არაპოლიტკორექტულობა თუ ყბადაღებულ ქართულ დემოკრატიულ ღირებულებებთან შეუსაბამობა გხვდებათ თვალში.

მაგრამ, მკითხველს ისიც ნუ დაავიწყდება, რომ ეს გიუშკის რეალობაა. გიუშკისთვის კი პოლიტიკა სტადიონის საპირფარეშოს კაბინებივითაა, სადაც თითოეულში ერთი და იგივე ამბავი ხდება, და ერთში შეხვალ და მეორედან გამოხვალ, როცა აზერბაიჯანიდან საქართველოს საზღვარს გამოივლი, წინ კი ისევ "ქალაქური ცხოვრების" პერსპექტივა დაგხვდება. კერძოდ, "ბირჟაზე ჩაიკუზები და ასე იქნები ჩაკუზული მთელი ცხოვრება". ბირჟაზე კი მეგობრები დაგხვდებიან, რომლებიც "ძაან, ძაან ერთმანეთისთვის არიან და მაინც რაღაც უაზროდ არიან ერთმანეთისთვის".

და სადაა სამოთხის კარი?

ის კი თურმე არც ისე შორს და არც ისე დახურული ყოფილა.

"კარგად ვარ, მშვიდად" – ფიქრობს სომხების რეალურ თუ მოჩვენებით ტყვეობაში ჩავარდნილი ჩვენი თანამემამულე – "სიწყნარეა და იმიტომ, არავინ რეკავს და იმიტომ, არავის ვახსოვარ და იმიტომ". მოკლედ, არც ისე შორი ყოფილა ბუდისტური ნირვანა ქართული სულისთვის. ქართული ჯოჯოხეთი კი იმაში გამოიხატება, რომ გაწუხებენ – მეგობრები თუ ოჯახის წევრები – კეთილი მოტივით, მაგრამ მაინც გაწუხებენ...

ასე და ამგვარად, მწერალი ერთგვარ სოციალურ კრიტიკას გვთავაზობს; გადასინჯვას ქართული ოჯახის, ქართული მეგობრობის, ქართული სიყვარულის, ქართული შვილობის და საერთოდ, ყველანაირი "ქართულის".

ეს შემოთავაზება, ალბათ, ნოვატორულიც კი იყო 1993 წელს, როცა წიგნი პირველად გამოიცა, თუმცა ასეთივე სიახლედ გაიჟღერებს თუ არა იგი დღეს, ამის დეტექტორი, უპირველს ყოვლისა, ქართველი მკითხველის მიერ ამ თერთმეტი წლის მანძილზე განვლილი მორალური თუ მენტალური განვითარების გზა იქნება.

და მაინც, საკითხავია, თუ რას ნიშნავს გამომცემლისთვისაც და ავტორისთვისაც რენტაბელური წიგნი დღეს საქართველოში? უდავოდ ბევრ აგრესიას, ბევრ უწმაწურ სიტყვას, ჰოლივუდური ბოევიკებისთვის შესაშურ "ექშენს".

მაგრამ, არის თუ არა, ამავე დროს, რენტაბელური წიგნი ის, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ ღირებულებებს, აანალიზებს რეალობას და უბიძგებს მას შემდგომი განვითარებისათვის? ძნელია ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა. თუ რამდენად შეესაბამება ყველა ამ კრიტერიუმს აკა მორჩილაძის "მოგზაურობა ყარაბაღში", თავად განსაჯეთ. თუმცა, რჩება ერთი "თუმცაც" – მხედრიონის ჰეროიზმის მოძველებასთან ერთად "მოგზაურობა ყარაბაღშიც" ხომ არ მოძველდა? მით უმეტეს, რომ თავად მწერალი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ვეცადე, მაგრამ ველარ გადავიკითხეო.

# უმაღლესი ხელოვნება უმაღლესი ხარისხის ფქვილისგან

## ეფემერულობა – ის, რაც მოდას და პურს აკავშირებს

თამარ ბაბუაძე

სულ ერთია ოპერის მიდამოებში იქნება ეს, რომელიმე გარეუბნის მეტროს ამოსასვლელში თუ ქუჩის კუთხეში. შეაღებთ ნებისმიერი პარიზული საფუნთუშეს კარს და ყნოსვას წარმოუდგენლად გაგიღიზიანებთ ღუმელიდან ახლად ამოღებული პურის სურნელი, ახლა მინიანი მერხის უკან, ხის თაროებზე რომ აწყვია. შემდეგ საქმეში თქვენი სხეულის ორგანოს დანარჩენი ნაწილებიც ჩაერთვებიან. თვალები მზერით შეჭამენ გრძელ, წვრილ და დაბრაწულ ბეგეტებს და ათას სხვა ნაირსახეობას: Ficelle – ბეგეტის კიდევ უფრო დაწვრილებული ვარიანტი, Boule – მრგვალი თეთრი პური; Batard – ოვალური პური რუხი ან თეთრი ფქვილით; Fougasse – ბეკონით, მწვანილებითა და ხახვით გამოტენილი ბრტყელი, ოთხკუთხა პური; Pain aux noix – თხილებით სავსე; Pain aux raisins – ქიშმიშიანი; Pain de siegle – ჭვავისა და თეთრი ფქვილის ნაზავით.

მერე თვალწინ გადაშლილი გემრიელი ხედი და თავბრუსდამხვევი არომატი გონებას გათიშავს, აიძულებს პირს სასურველი და საოცნებო პურის სახელი წარმოთქვას, ხელებს კი – მაგრად ჩაბღუჯოს თეთრ ქაღალდში გახვეული გრძელი ბეგეტი, როგორც განძი – რომელიც ვითომ და არც ხმება, არც ობდება და არც იფშხვნება. გარეთ გამოსულს კი, სრული ბედნიერებისთვის, ქუჩის მუსიკოსი დაგიკრავთ რამე გამორჩეულად ფრანგულს თავის ძველ აკორდეონზე (მუსიკალური ფონი ხომ ნებისმიერი ბედნიერებისთვის აუცილებელი ატრიბუტია) და ნამდვილი კულინარულ-ფრანგული სამოთხეც სახეზე იქნება...

ერთი სიტყვით, საფრანგეთში პურის კულტია და ჟან პოლ გოტიეც თავის პირველ გამოფენას სწორედ ამ კულტს უძღვნის.

რეტროსპექტივა კარტიეს ინსტიტუტის ნათელ და შუშებიან დარბაზებში 6 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე მიმდინარეობს.

გამოფენისთვის სახელად Pain Couture (პურის მაღალი მოდა) ჟან პოლ გოტიემ კაბები ტაფტას ანდა აბრეშუმისგან კი არ შეკერა, უმაღლესი ხარისხის თეთრი ფქვილისგან გამოაცხო.

ცხობისა და კერვის, ჭამისა და ჩაცმის, ხელოსნობისა და ხელოვნების მსგავსი სინთეზი ამ უნიკალურ გამოფენამდე არც ერთ ეპოქაში არ შეუქმნიათ.

კარტიეს ინსტიტუტის მთავარ დარბაზში ოცამდე პურის კაბა და აქსესუარია გამოფენილი. მათ უმრავლესობას თან ახლავს მოწნული ხის კორსეტები, იმ ლამაზი კალათების ასოციაციით შექმნილი, რომელთაც დიასახლისები შინ პურის წასაღებად იყენებენ ხოლმე. თვითონ კაბები კი ფრანგული საფუნთუშეების სამარკო პროდუქტებს წარმოადგენენ – ბეგეტები, ფუნთუშები, სოფლის პურები, მრგვალები, ოვალურები, ე.წ. "ქალის თითები".

აქსესუარებიც – ქოლგები, სვიტერები, შლაპები, ქოშები, ფეხსაცმელები ღუმელშია გამომცხვარი. წარმოდგენილია გოტიეს რამდენიმე ცნობილი ქმნილების ხორბილსეული ვარიანტიც – კილტი მისი ახლანდელი სენსაციური კოლექციიდან (კაცები კაბებში – ალბათ, გახსოვთ), მეზღვაურის ბლუზი, კაბა კონუსისებური ფორმებით მკერდზე, მადონასთვის შეკერილი კაბა-კორსეტი.

იქვეა საცხობის მაღაზიაც – ხის მოწნული კალათის მსგავსი დახლის უკან ჟან პოლ გოტიეს მიერ შემოსილი გამყიდველი ქალები დგანან და დიზაინერის სამარკო ბეგეტებსა და საკონდიტრო ნაწარმს ჰყიდიან.



*პური დიზაინერების შთაგონების საგანი გახდა*

თუმცა, გამოფენა ამით არ მთავრდება. ქვევით, დიდ დარბაზში გოტიეს "მოდის საცხობი" ლაბორატორიაა, სხვადასხვა ზომის ღუმელებით და თეთრქუდა მცხობელებით სავსე და სტუმრები თვითონ ადევნებენ თვალყურს საგამოფენო ექსპონატების გამოცხობის პროცესს.

თუ ამ წამოწყებას ნადიეტარი, მშიერი გონებით შევაფასებთ, დასკვნა ძალზე ირონიულ-ეგზისტენციალური გამოგვივა: ჟან პოლ გოტიე, რომელიც თვითონაც დიეტაზეა და პურს დიდი ხანია, აღარ მიირთმევს, ამ გამოფენით, უბრალოდ, დიდი ხნის მონატრებულ, გემრიელად ჭამას მიაგებს პატივს.

მართლაც, რამდენი ცომეულის მოყვარული მოდელი იღებს მსხვერპლს და ფრანგული საფუნთუშეებიდან გამოსული მადისაღმძვრელი ოხშივარის მიუხედავად, ცომეულს ახლოსაც არ ეკარება. ასეთებისთვის, ალბათ, გოტიეს ექსპოზიცია შიმშილის გრძნობის ცქერით დაკმაყოფილება იქნება მხოლოდ და არავითარი – მაღალი მოდა.

თუმცა, საქმე არც ასე მარტივადაა. პირველ რიგში, თუ უპურო და სტაფილო-ჭარხლით შემოფარგლული დღიური რაციონით ნერვები ძალიან დაწყვეტილი არ გაქვთ, მაშინვე მიხვდებით, რომ გოტიეს შოუ ხუმრობაა; წარმავალობა-მარადიულობის თემატიკაზე გაჩაღებული თამაშია; სპექტაკლია; ყველაზე ორიგინალური პარალელია, რომელიც შემოქმედების ორ სფეროს შორის ვინმეს გაუვლია და რაღაც უორჰოლისებური პოპ-არტია – გამოფენაზე მოსული სტუმარი იყიდის "ხელოვნების ნიმუშს" და შეჭამს მას. ანუ, როგორც თავად გოტიე განმარტავს: "ეს არის ხელოვნება, რომელიც საკვებიც არის და თანაც, არა მხოლოდ გონებისთვის".

თუმცა, ალბათ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გოტიეს ეს ხელოვნება არა მხოლოდ საკვებია, არამედ ფუჭებადი საკვებიც. ანუ, იმის სიმბოლო, რომ მოდა წარმავალი, ეფემერული ხელოვნებაა.

ამ მოსაზრებას თავად გოტიეც იზიარებს: **"მოდის ეფემერულობის შეგრძნება ხანდახან მსიამოვნებს კიდეც... ხელოვნება ეფემერული არ არის, ის სოციალური ცვლილებების ჭრილში ცხოვრებას მუდამ განაგრძობს. მოდა კი – არა, ის ამ ცვლილებებს მხოლოდ აირეკლავს. სწორედ ამიტომ ვამტკიცებ, რომ მე ხელოვანი არ ვარ. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების გამოცვლა და ხელახლა გამოცხობა დაგვჭირდება და მე ეს იდეაც მომწონს: ე.ი. პური ცოცხალი ორგანიზმია... და მაშინ კითხვას – არის ხელოვნება მნიშვნელოვანი? – ცალსახად დადებითი პასუხი უნდა გავცეთ"**.

გამოფენის გახსნაზე დიზაინერმა პურის ფილოსოფია და ხოტბა კიდევ უფრო განავრცო: **"პური კეთილშობილია, წმინდაა, ის თავად ცხოვრებაა... მიყვარს პურის მგრძნობიარობა, მისი მრგვალი ფორმები. არის მასში რაღაც სექსუალური და ქალური"**. და მერე ინტერვიუში დასძინა: **"მიყვარს კულინარობა. ის მოდას ჰგავს. მაგალითად, მე ლამაზი ფერის ნაჭრის დანახვაზე ისევე მადგება პირზე ნერწყვი, როგორც კარგი ნამცხვრის"**. ასე რომ, ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ალბათ, თავადაც დარწმუნდებოდით – რომ არა იუმორის მარცვლები, გოტიეს ეს ხელოვნური ფილოსოფოსობა უგემოვნოდ ნაძალადევი იქნებოდა.

კარტიეს ინსტიტუტის დირექტორი და გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი ჰარვი შანდიც ამბობს, რომ ეს უცნაური გამოფენა იუმორით სავსე ფანტაზიაა. ავტორი ერთმანეთში აქსოვს ორ ოცნებას – ერთი მხრივ, წარმოგვიდგენს დიზაინერს, რომელიც ქმნის ფქვილით, წყლით, მარილითა და საფუარით, და მეორე მხრივ, წარმოგვიდგენს მცხობელს, რომელიც დიზაინერობაზე ოცნებობს. ანუ, თამაშდება წარმავლობა-მარადიულობის, ფუჭებადობა-შენახვის, ხელოვნებისა და ოსტატობის რაობის სპექტაკლი.

და რაც მთავარია, ამ სპექტაკლით გოტიე, უბრალოდ, ერთობა. უკვე დიდი ხანია, დიეტას იცავს და ამიტომ პარიზული საკონდიტროებიდან გამოსული ცხელი პურის ოხშივარი ისეთივე სექსუალური ეჩვენება, როგორც ლამაზი ქალი...

მარო მაჩხაანელის კუთხე



# ბიკინები

გუშინ გავიგე, თურმე მამაკაცების 90 პროცენტი აპირებს უყუროს თუ უკვე უყურებს ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში. ამასთან, მათი დიდი ნაწილი ტოტალიზატორშიც თამაშობს, რომელთა სამოცზე მეტმა პროცენტმა პორტუგალიის მოგებაზე დადო.

ქართველი ქალები რომ ქართველ მამაკაცებზე ჭკვიანები ვართ, აქამდეც ვიცოდი, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, ეგეთი განსხვავება თუ იქნებოდა.

მე იმ რამდენიმე პროცენტ ქალებს წარმოვადგენ, რომლებიც დროდადრო უყურებენ პლებეების ამ თამაშს. აქ, ამ სარბიელზე, ასევე დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე კაი ბიჭები. ამბობენ, ეგეთი ყოფილა ღოღობერიძე, ნეტო, პაიჭაძე, იამანიძე, აი, ის, ვინც პირველმა გადააგდო აუტში ბურთი დაშავებული ფეხბურთელის დანახვისას. მე იმ ბიჭებზე ვლაპარაკობ, ვისთვისაც ფეხბურთის თამაშის გარდა, რაინდული, უბრალოდ, ადამიანური საქციელიც ჩვეულებრივი რამ იყო.

მე ამ ჩვენი კაცებისა მიკვირს. უყურებენ და უყურონ, ტატოს ცდუნებას ვერ უძლებენ, კი ბატონო, ითამაშონ, მაგრამ იმ გუნდზე, აზრის ნატამალი რომ არ გააჩნია, გუნდზე, რომელსაც ნახევარი საუკუნის წინათ რაღაც მესამე ადგილი გაუჩალიჩებია, იმის შემდეგ კი ერთი ხეირიანი თამაში არ უჩვენებია, ნუ ჩავლენ ფსონს. იმ ოფლით ნაშოვნი ფულით, სარეცხი მანქანა თუ ვერა, ბიკინები მაინც უყიდონ ცოლს ან შეყვარებულს.

არა, მაინც ვერ გავიგე, რითი ფიქრობენ ეს ჩვენი კაცები. არა, როგორ ვერ გავიგე, მაგრამ ჭკუასაც ხომ უნდა დაატანონ ძალა. მაგათი საქციელი, უფრო სწორად, ფიქრის მიმართულება არც კი ვიცი, რას შევადარო. ყველაზე ზუსტი მაინც ტროლეიბუსი იქნება, ან კიდევ, ხომ გინახავთ დიდ ეზოებში მავთულზე გამობმული ძაღლი, მარტო იმ მავთულის გასწვრივ რომ შეუძლია სირბილი. "პორტუ" ჩემპიონი გახდა, ესე იგი, პორტუგალია, მით უფრო, რომ საკუთარ მინდორზე თამაშობს, დაგლიჯავს". "ფიგუ, კოშტა... ტეხნარები..." აბა, რა უნდა გელაპარაკოთ, სად კლუბი და სად ნაკრები; მერე, რით ველარ მიხვდით, რომ ევროპაში საკუთარმა მინდორმა მთლიანად არა, მაგრამ მაინც დაკარგა ფასი; ფიგუო... რაღა დროს ფიგუა, ვინმე სოფლიდან ახლახან ჩამოსულ ზვიოს თუ მოატყუებს, თორემ ქალაქელი მაგის ფინტს აღარ ჭამს. კაცი რომ ერთ თამაშში ათჯერ მაინც გაგორდება მინდორზე – ეს ჯერ კიდევ შარშანწინდელ ამბებს გიყვებით – ეგეთი კაცისთვისო, აი, ჩემი გოგოები აქვე არიან და სულ სიცილ-სიცილით ამბობენ, ეგეთისთვის ლოგინშიც ვერ მოვცდებითო.

მავთულზე გამობმული ძაღლი ტყუილად არ მიხსენებია.

ან სულ გაიგიჟებენ თავს – ყველა თამაში გაყიდულია, ტოტალიზატორები მილიონებს ტეხავენო, ან არადა, ისე პრიმიტიულად დაიწყებენ ფიქრსა და ანგარიშს, ცოდვით გული მოგიკვდება.

ხომ გახსოვთ, მსოფლიო ჩემპიონატის წინ როგორ გაახურეს საფრანგეთსა და არგენტინაზე. ისიც გეხსომებათ, როგორ ერთსულოვნად ჩამოწერეს, ჩვენში, გოგოებში რომ ვიტყვით, როგორ დაადეს გერმანიას. კარგი ჩიტიც დაიჭირეს.

ვიღაცამ ამას წინათ ტელევიზორში ფავორიტები ჩამოთვალა – ექვსამდე მაინც ავიდა. ეგრე, ცოცხალი აღარ არის, თორემ ბებიაჩემი მანანაც ხომ გამოიცნობდა.

ცოტა ავცდი თემას. ისევ მავთულსა და ძაღლს უნდა დავუბრუნდე. თუმცა, მანამდე ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვა.

ირაკლი ბერიაშვილია ერთი, ადრე ფეხბურთზე წერდა, ეხლა პოლიტიკაზე ახურებს. აი, ის იგონებდა ერთ-ერთ წერილში. "შემოვიდა მწვრთნელი შუა მინდორზე, შემოგვიკრიბა გარშემო და გვიხსნის ფეხბურთის ფილოსოფიას – ბურთი მრგვალია, ხან აქეთ გაგორდება, ხან – იქით".

ახლა აღარ მახსოვს, რასთან დაკავშირებით იგონებდა ამ ამბავს, მაგრამ, ჩემი მოკლე ჭკუით, აი, ის მწვრთნელი, პორტუგალიაზე რომ ფსონს ჩავიდნენ, იმათზე გაცილებით ჭკვიანია. ბურთი მართლა მრგვალია და არც ისეთი ლოგიკის მატარებელი, რომ კაცი სერიოზულად ენდოს.

აი, ახლა კი ნამდვილად დადგა მავთულის რიგი.

აზროვნების ინერცია სხვა, ჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად, ფეხბურთის გულშემატკივრებსაც ახასიათებთ:

ნახე, რა ვარსკვლავები მოგროვდა გუნდშიო, და ფავორიტობაც მზად არის.

ავიწყდებათ, რომ ვარსკვლავობა წინა, აწ უკვე გარდასული წლების დამსახურების შედეგია. ეს ვარსკვლავები, როგორც წესი, მცირე გამონაკლისის გარდა, ისეთები აღარ არიან. და კიდევ ერთი. ამას ქალი არ უნდა გასწავლიდეთ, მაგრამ ერთად შეყრილი ვარსკვლავები ჯერ კიდევ არ ნიშნავს გუნდს, მით უფრო, ვარსკვლავურს.

კიდევ ერთი რამ ვერ გავიგე ვერაფრით. თუ, მაგალითად, "ბაიერნმა" ცუდად ჩაატარა სეზონი, რატომ უნდა მოქმედებდეს ეს გერმანიის ნაკრების წარმატება-წარუმატებლობაზე? იგივე შეიძლება ითქვას "მანჩესტერზე", "რეალზე"... როგორ, რა ფორმულით გამოდის, რომ, ვთქვათ, ჩემპიონატის ფავორიტი საფრანგეთის, იტალიის, ანდა ჰოლანდიის ნაკრებია? თუ ტოტალიზატორებში დატოვებული ფულის მასით ვიმსჯელებთ, მთელი ეს ლოგიკური ვარაუდები ტიტლიკანა ბავშვების მიერ პლაჟზე აშენებულ ხუხულას ჰგავს.

ერთი შეხედეთ, როგორი დარწმუნებული სახით წინასწარმეტყველებენ ჩეხეთის ჩარჩენას ქვეჯგუფში. რატომ, რა ლოგიკით, დახეული ბუცებით აპირებენ თამაშს თუ მთელ გუნდს ერთბაშად აეშლება კუჭი?!

ფეხბურთი პლებეების თამაშია. ცალკე სანახაობა, ცალკე ადრენალინის გამოყოფა, ცალკე უპოვარის ოცნება, იქნებ...

მეტი არც უნდა ხალხს, ზიდანიც არის, ვიეირაც და ანრიც. არ მახსოვს, აქედან სამივე გადის ფენომენებში, თუ მარტო ორი. გუშინწინ ფენომენთა გუნდი ბრიტანელთა "პეტუხმა", სპაის-ბოიმ იხსნა, თორემ ბეწვზე ეკიდა საფეხბურთო ლოგიკა.

ისე, ქუჩას რომ ყური მიუგდო, ყველამ ყველაფერი იცის – ვინ გახდება ჩემპიონი, რამდენი კუთხური იქნება ყოველ თამაშში, რამდენი ჯარიმა, რამდენჯერ გაიტანენ გოლს საკუთარ კარში. ყველაზე დიდ პატივში მაინც მეტობა-ნაკლებობაა. მოკლედ, გამოდის, ტყუილად ატარებენ ჩემპიონატს, ისევ ადრენალინსა და სანახაობას თუ არ ვიანგარიშებთ. და, რა თქმა უნდა, მის უდიდებულესობა ტატოს!

ბურთი მრგვალია, ბიჭებო!

ასე რომ, სარეცხი მანქანების თავი თუ არა გაქვთ, ისევ ბიკინები ათვალიერეთ მაღაზიებში.

EURO 2004



# ტრადიცია გრძელდება

## დანია - იტალია 0:0

იტალიელები ტრადიციას არ ღალატობენ და მეტად მძიმედ იწყებენ ჯგუფურ ტურნირს. ეს ტრადიცია ტრაპატონის გუნდმა არც გუშინ დაარღვია. ჯოვანი ტრაპატონიმ დანიის წინააღმდეგ თითქმის იგივე შემადგენლობა ათამაშა, რომელიც ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში სასტიკად გაუსწორდა ტუნისის ნაკრებს (4:0).

"ტრაპიმ" იმ მატჩში ერთადერთი წმინდა ფორვარდი კრისტიან ვიერი გამოიყვანა, მაგრამ მას ოდნავ უკან შემტევი ნახევარმცველების ისეთი ტრიო დაუყენა - ტოტი, დელ პიერო, კამორანეზი, რომ ფაქტობრივად, "სკუადრა აძურას" ოთხი ფორვარდი გამოუვიდა. ამ ერთგვარმა ნოვაციამ იტალიის ნაკრები თვისობრივად ახალ სისტემაზე გადართო. ჯოვანი ტრაპატონი აცხადებდა, რომ გუნდი ფსიქოლოგიურად მზად არის, დაარღვიოს არსებული ტრადიცია და პირველი მატჩებიდანვე აჩვენოს, რა შეუძლია, მაგრამ "დონ ტრაპის" რჩევებმა მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში გამოიღო ასპროცენტიანი შედეგი.

დანიის ნაკრებთან "სკუადრა აძურამ" იგივე სქემით ითამაშა. დაცვაში ფლანგებზე პანუჩი-ძანეტი, ცენტრში კანავარო-ნესტა. მოედნის ცენტრში ტრაპატონიმ უარი თქვა "მილანის" საყრდენებზე, გატუზო-პირლო და არჩევანი ძამბროტა-პეროტას ტანდემზე გააკეთა. წინ ვიერი და ოდნავ უკან ცნობილი ტრიო - ტოტი, დელ პიერო, კამორანეზი. ამ სქემით იტალიელებმა პირველ ტაიმში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მეკარე ტომას სორენსენს ვერც ვიერიმ და ვერც ტოტიმ ვერ აჯობა.

დანიის ნაკრების მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა გადაწყვიტა რაღაცნაირად შეევსო დანაკლისი, რაზეც მის მიერ არჩეული ტაქტიკური სქემაც მეტყველებს, რომელიც შემტევ სტილზეა აგებული - 4-2-3-1. ამასთან, გერმანული "შალკე 04"-ის ფორვარდ ებე სანდს შეტევაში ოდნავ უკნიდან ზურგს "მილანის" თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი უმაგრებდა.

ფლანგებზე, შეტევის ხაზში, ადგილები ტრავმის შემდეგ მოშუშებულმა მარტინ იორგენსენმა და დედის გარდაცვალების გამო ნაკრებს მოწყვეტილი იესპერ გრონკიაერის ნაცვლად, გუნდში დამკვიდრებულმა დენის რომედალმა დაიკავეს. ნახევარდაცვის ცენტრში კი დისკვალიფიცირებული ტომას გრავესენი დანიელ იენსენმა შესცვალა. მან კრისტიან პოულსენთან წყვილში ითამაშა.



მაურო კამორანეზი დანიელ იენსენმა და კრისტიან პოუნსენმა სენდვიჩივით გასრისეს

REUTERS

მთელი პეწი მორტენ ოლსენის ტაქტიკურ განლაგებაში სისწრაფე იყო. სწორედ მის ხარჯზე მოიპოვეს სკანდინავებმა გარკვეული უპირატესობა, რაც ბურთის ფლობის პროცენტშიც აისახა - 55:45-ზე. პირველი ტაიმის ბოლოს კი გრავესენის დარტყმის შემდეგ, ჯანლუიჯი ბუფონმა სასწაულით მოიგერია ბურთი. ბუფონს მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრეც მოუხდა თავისი ოსტატობის დემონსტრირება. კლაუს იენსენმა "მილანის" ფორვარდ იონ დალ ტომასონიკენ გააკეთა გადაცემა. ტომასონმა ძლიერი დარტყმა განახორციელა, მაგრამ ბუფონის რეაქციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იტალიის ნაკრების მეკარემ ბურთი მოიგერია. იქვე რომედალი შეეცადა, დამატებაზე ეტამაშა, მაგრამ მახვილი კუთხიდან მის მიერ დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და ეს უაღრესად სახიფათო მდგომარეობაც ასე განიმუხტა.

მატჩის შემდეგ ჯოვანი ტრაპატონიმ აღიარა, რომ მის გუნდს ძალიან გაუჭირდა. თუმცა, ისიც თქვა, - "ეს მხოლოდ დასაწყისია და ვიმედოვნებ, რომ შემდგომ შეხვედრებს გუნდი ბევრად უფრო მწვავედ ჩაატარებს და სასურველ შედეგსაც მიაღწევს". რაც შეეხება მორტენ ოლსენს, მისი თქმით, გუნდმა კარგად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას. თუმცა, ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყებაო, დასძინა დანიელთა მწვრთნელმა. "დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ. იტალიის ნაკრები ძალიან ძლიერი და ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ამიტომ ქულა, რომელიც გამოვიმუშავეთ, აქტივში უნდა ჩავიწეროთ. თუმცა, ჩემს გუნდს მეტის მიღწევაც შეეძლო. შვედებსაც და ბულგარელებსაც ძალიან კარგი გუნდები ჰყავთ და დარწმუნებული ვარ, რომ უბრძოლველად არაფერს დათმობენ," - განაცხადა მორტენ ოლსენმა.

# ლარსონი დაბრუნდა

## შვედეთი - ბულგარეთი 5:0

საინტერესო ამბავია, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის მატჩში შვედეთმა ბულგარეთი - 4:0 გაანადგურა. გუშინ კი ხუთი უპასუხო გოლი აგემა პლამენ მარკოვის გუნდს. ბულგარელმა ფეხბურთელმა მანჩევმა კვირას განაცხადა, რომ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ ჩემპიონატზე დაუპატიჟებელი სტუმრებივით გამოვიყურებით, მაგრამ შევეცდებით, საწინააღმდეგო დავამტკიცოთო. ვერ გეტყვით, რატომ მოუვიდა ეს აზრი თავში მანჩევს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ბულგარეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, ვინც აშკარად ვერ მოერგო ამ ტურნირს.

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი ის არის, რომ ამ მატჩში დუბლი შეასრულა გლაზგოს "სელტიკის" ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა. ლარსონი ნაკრებს 2002 წელს დაემშვიდობა და აღარც აპირებდა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თამაშს. შვედებს ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისთვის, რომ ლარსონი ნაკრებში დაებრუნებინათ. ფეხბურთელს ჯერ მწვრთნელი სოდერბერგ ლაგერბეკი შეევედრა, შემდეგ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ბოლოს კი უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმაც შეიწუხა თავი და შვედებმა მიიღეს ასე ნანატრი ფორვარდი.

არც შემცდარან. ლარსონმა დაამტკიცა, რომ დღესდღეობით ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ლარსონმა ჯერ ედმანის გადაცემა აქცია გოლად, შემდეგ კი სვენსონის ჩამოწოდებულ ბურთსაც მიუჩინა ზდრავკოვის კარში ადგილი და ამით ბულგარელთა განადგურებას დაუდო საფუძველი. იბრაჰიმოვიჩმა და ალბეკმა კი ბოლო მოუღეს ჩემპიონატზე ბულგარელთა ამბიციებს.



გამარჯვების სამი შემოქმედი – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ზურგით), ჰენრიკ ლარსონი და ფრედერიკ ლიუნგბერგი.

REUTERS

# ლიზარაზუს შურისძიება

## შვეიცარია - ხორვატია 0:0
## საფრანგეთი - ინგლისი 2:1

ხორვატიისა და შვეიცარიის ნაკრებების მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონატის მეორე სათამაშო დღის უმთავრესი მატჩი საფრანგეთისა და ინგლისის შეხვედრა იყო, რომელმაც მთლიანად დაჩრდილა შვეიცარია-ხორვატიის მატჩის მნიშვნელობა. ეს თამაში შესაბამისი ანგარიშით დასრულდა - 0:0. ეს იმას ნიშნავს, რომ შვეიცარია კვლავინდებურად გამარჯვების გარეშე რჩება ევროპის ჩემპიონატებზე მონაწილეობის განმავლობაში. მაგრამ აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ დიდი შთაბეჭდილება არც ხორვატიის ნაკრებს დაუტოვებია. მეტიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ მატჩის 50-ე წუთზე შვეიცარიელებს ფოგელი გაუძევეს მოედნიდან და თითქმის მთელი მეორე ტაიმის მანძილზე მათ რიცხობრივ უმცირესობაში მოუხდათ თამაში, უნდა მივიჩნიოთ, რომ შვეიცარიამ დადებით შედეგს მიაღწია.

თუმცა, დავანებოთ თავი ხორვატებს და შვეიცარიელებს. სჯობს, იმ სპექტაკლზე ვისაუბროთ, რომელიც ფრანგებმა დადგეს ინგლისთან მატჩში.

ზინედინ ზიდანმა დევიდ ბექჰემს ხელი გადახვია და ანუგეშა, შემდეგ თანაგუნდელთა მილოცვები მიიღო და გასახდელისკენ აიღო გეზი. მაშინ, როდესაც სტადიონზე შეკრებილი ფრანგი გულშემატკივრები თავიანთი გუნდის შთამბეჭდავ გამარჯვებას ზეიმობდნენ, ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი სრულ სიმყუდროვეში ყოფნას ამჯობინებდა.

"ეს ისტორიული მატჩი იყო", - განაცხადა მატჩის შემდეგ ზიდანმა, რომელმაც შეხვედრის დამატებით წუთებში ორი გოლის გატანა მოახერხა, - "ეს ორი ბურთი ჩემს მიერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გატანილ გოლებზე უფრო მნიშვნელოვანიც კია, რადგან ამ გოლებმა მატჩის ბედი გადაწყვიტეს". 1998 წლის მუნდიალის ფინალში ზიდანმა ორი გოლი გაიტანა და ლომის წილი დაიდო საფრანგეთის გაჩემპიონებაში. თუმცა, ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ გუშინწინდელ შეხვედრაში მის მიერ გატანილი საჯარიმო დარტყმა და ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი ფანტასტიკის სფეროდან იყო. ფრანგები მთელი თამაშის მანძილზე მარცხდებოდნენ, ზიდანმაც სწორედ მაშინ გაიტანა საჯარიმო, როდესაც თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ ინგლისმა მოიგო.

გარდა იმისა, რომ ზიდანმა თავის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა, მან დიდი უპირატესობით მოიგო "მადრიდული დერბი" ბექჰემის წინააღმდეგ. "ზიდანმა ბექჰემი დაასამარა", - წერდა მადრიდული გაზეთი AS-ი მატჩის მეორე დღეს.

ბექჰემმა არცთუ ურიგოდ ითამაშა - ლამპარდის მიერ ფრანგების კარში გატანილი გოლიც სწორედ მის ჩაწოდებას მოყვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როდესაც ზიდანმა ზუსტად 100 წამში ორი გოლი გაიტანა, ინგლისელთა წაგების მთავარი დამნაშავე სწორედ ბექჰემი აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბექჰემმა ანგარიშის ორამდე გაზრდის საუკეთესო შანსი გაუშვა ხელიდან, როდესაც ფრანგების კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი გააფუჭა. "ზიდანმა ბექჰემი ქვედა საცვლის ამარა დატოვა", - წერს ესპანური Marca. ინგლისური Daily Mirror-ი კი მიიჩნევს, რომ "ბექჰემის ვარსკვლავი მალე ჩაესვენება".

ჟურნალისტთა ასეთ კრიტიკას სრულიად არ ეწინააღმდეგება თავად ბექჰემი და მიიჩნევს, რომ ინგლისელთა დამარცხებაში თავად არის დამნაშავე. "მე კაპიტანი ვარ და ყველაფერზე ვარ პასუხისმგებელი, მათ შორის, დამარცხებაზეც. პენალტი რომ გამეტანა, ჩვენ მოვიგებდით", - ამბობს ინგლისელთა 29 წლის კაპიტანი.

ბექჰემისგან რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობაშია ზიდანი. გუშინწინდელი მატჩის შემდეგ მას ყველა აქებს და ადიდებს, მათ შორის, მისივე თანაგუნდელი პატრიკ ვიეირა, რომელიც ამბობს, რომ "მხოლოდ დიდ მატჩებში ჩანს ნამდვილად დიდი ფეხბურთელების ფასი" და ამ ნათქვამში, ცხადია, ზიდანს გულისხმობს. თავად ზიდანი თავმდაბალია და თავისი გუნდის გამარჯვებას მეკარე ბარტეზს უმადლის: "მატჩის ბედი ბარტეზის მიერ მოგერიებულმა პენალტმა გადაწყვიტა".

საფრანგეთ-ინგლისის შეხვედრამ კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის ფინალი, როდესაც "მანჩესტერ იუნაიტედმა" დამატებით წუთებში გატანილი ორი გოლის წყალობით მოუგო "ბაიერნს". საინტერესოა, რომ გუშინწინდელი მატჩის მონაწილეთაგან იმ შეხვედრაში ლიზარაზუ ("ბაიერნი") და ბექჰემი ("მანჩესტერი") და კიდევ რამდენიმე ინგლისელი ფეხბურთელი თამაშობდნენ. რა გასაკვირია, რომ მატჩის შემდეგ ლიზარაზუმ განაცხადა: "დღეს მე საფრანგეთთან ერთად ავიღე რევანში იმ მარცხზე, რომელიც "ბაიერნთან" ერთად ვიწვნიე".

კალათბურთი

# “დგუშების” ალღუმი

NBA-ის კლუბმა “დეტროიტ პისტონზმა” მესამედაც დაამწუხრა მრისხანე “ლოს-ანჯელეს ლეიკერსი” და ერთ ნაბიჯზეა ტრიუმფთან. ანგარიშია - 3:1 დეტროიტელთა სასარგებლოდ და “დგუშებს” შეუძლიათ, უკვე უახლოეს ოთხშაბათს გაიფორმონ ჩემპიონობა და NBA-ის ჩემპიონის ბეჭდით დაიმშვენონ თავი. შეგახსენებთ, რომ “პისტონზი” უკანასკნელად 14 წლის წინათ გახდა NBA-ის ჩემპიონი.

უკვე ზედიზედ მეორე თამაშია, “დეტროიტი” “ლეიკერსზე” გაცილებით უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება. კვირას გუნდმა საკუთარ მოედანზე - 88:80 დაამარცხა შაკილ ო`ნილისა და კობი ბრაიანტის კლუბი. სტუმრებმა მთელი თავისი თანავარსკვლავედის თანხლებით ვერაფრით მოძებნეს “დეტროიტის” საწინააღმდეგო გასაღები, რომელიც გრძელი სკამით გამოირჩევა.




ჩონსი ბილაპსი ვერც კარლ მელოუნმა შეაჩერა

“დეტროიტ პისტონზმა” წლევანდელი სეზონის დაწყებამდე სერიოზულად იშრომა. კლუბმა რამდენიმე ახალწვეულით გაიმაგრა ზურგი. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი “პორტლენდიდან” რაშიდ უოლესის ტრანსფერი იყო. ისედაც უაღრესად დაბალანსებულმა გუნდმა, ფაქტობრივად, გაუვალი დაცვა შექმნა და ამით მოიპოვა კიდეც მთავარ ფინალში თამაშის უფლება. “ლეიკერსის” ვარსკვლავებსაც კი ძალიან უჭირთ “დეტროიტის” დაცვასთან ჭიდილი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სერიის მესამე მატჩის შემდეგ “ლეიკერსის” ლიდერები შაკილ ო`ნილი და კობი ბრაიანტი ატირდნენ.

მესამე მატჩში “დგუშების” შემადგენლობაში (კლუბის ისტორია 1937 წლიდან იღებს სათავეს. მაშინ ფრედ ზოლნერმა, რომელიც ინდიანას შტატის ქალაქ ფორტ-უეინში საავტომობილო დგუშების მწარმოებელ ქარხანას ფლობდა, შექმნა საკალათბურთო გუნდი, რომელსაც “ფორტ-უეინ პისტონზი” დაარქვა) საუკეთესო იყო რიჩარდ ჰამილტონი, რომელმაც გუნდს 31 ქულა შესძინა. კვირას კი მასპინძელთა რიგებში “პორტლენდიდან” გადმოსულმა რაშიდ უოლესმა გამოიჩინა თავი. მის ანგარიშზე 26 ქულა და 13 მოხსნაა.

მცველებმა რიჩარდ ჰამილტონმა და ჩონსი ბილასმაც, რომლებიც, ტრადიციულად, თავდასხმაში “დეტროიტის” მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ, მორიგი წარმატებული თამაში ჩაატარეს. ბილასმა 12 ტყორცნიდან 7 ჩააგდო და საბოლოო ჯამში 23 ქულა მოაგროვა. რიჩარდ ჰამილტონმა კი ამას 17 ქულა და 6 შედეგიანი გადაცემა დაუმატა.

რაც შეეხება ფილ ჯექსონის “ლეიკერსს”, გუნდის ლიდერები შაკილ ო`ნილი და კობი ბრაიანტი კიდევ ერთხელ შეეცადნენ, მატჩის ბედი დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ. “ლეიკერსის” ცენტრმა 36 ქულა და 20 მოხსნა მიითვალა საკუთარ ანგარიშზე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ მესამე მეოთხედის შემდეგ ანგარიში ჯერ კიდევ თანაბარი იყო. კობი ბრაიანტმა კი 25 ტყორცნიდან მხოლოდ 8 გამოიყენა (20 ქულა მოიპოვა) და მატჩის უკანასკნელ წუთებზე, მისი გმირობის ნაცვლად, მაყურებელმა თავისი გუნდის საიმედოდ რეალიზებული შეტევები იხილა.

ტრავმირებული კარლ მელოუნი უფერულად გამოიყურებოდა და თავის ოპონენტ რაშიდ უოლესს, რომელმაც სერიაში პირველად მოახერხა და მატჩის დებიუტში პერსონალური შენიშვნები არ მიიღო, უფლება მისცა, თავისუფლად მიეღო ფარქვეშ ბურთი და ზუსტი ტყორცნებით დაეგვირგვინებინა შეტევა. საბოლოო ჯამში უოლესი “დეტროიტის” რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო. მოკლედ, შაკილ ო`ნილისა და კობი ბრაიანტის გარდა, “ლეიკერსის” ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ მოახერხა, ორნიშნა ციფრისთვის მიეღწია. გარი პეიტონმა 11-დან 4 ტყორცნა გამოიყენა და სულ 8 ქულა მოაგროვა. მელოუნმა კი ბოლო მეოთხედი, ჩაფიქრებული სახით, სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თავის მომავალზე თუ ფიქრობდა...

საქმე ის არის, რომ პოლიციამ დაიწყო იმ შემთხვევის გამოძიება, რომელიც “დეტროიტისა” და “ლეიკერსის” ფინალური სერიის მესამე მატჩს უძღოდა წინ. თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მელოუნსა და ერთ-ერთ გულშემატკივარს შორის ინციდენტი მოხდა. კალათბურთელის თქმით, გულშემატკივარი მოედანზე გავიდა და მისი მიმართულებით გადააფურთხა. ეს საქციელი მელოუნმა ყურადღების გარეშე ვერ დატოვა. ამიტომ მელოუნი საქმის გასარჩევად პირდაპირ მისკენ გაემართა. როგორც თვითმხილველებმა აღნიშნეს, მელოუნმა ფანს უღრიალა და კინაღამ სცემა. პოლიცია ამ ინციდენტის კომენტირებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

“ლეიკერსს” ჰყავს მწვრთნელი, რომელმაც NBA-ის ჩემპიონატი 9-ჯერ მოიგო და შემადგენლობაში ჰყავს ლიგის ორი უდიდესი კალათბურთელი. ამის მიუხედავად, ჩვენ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ვთამაშობდით. მაშინ ჩვენ წარმატებას მივაღწევთ”, - აღნიშნა “დეტროიტის” მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა.

შემდეგი მატჩი ისევ დეტროიტში გაიმართება. ამ შეხვედრაში “დეტროიტს” შეუძლია, დაიბრუნოს ჩემპიონის ტიტული, რომელსაც უკანასკნელად 1990 წელს ფლობდა. ფილ ჯექსონის გუნდი კი, რომლის სასტარტო ხუთეული სუპერვარსკვლავებითაა დაკომპლექტებული, კრახის პირასაა. უკვე დროა, ჯექსონმა მოძებნოს ტაქტიკური სქემა, რომელიც მის გუნდს დეტროიტული დაცვის გარღვევის საშუალებას მისცემს. ჯერჯერობით კი ტიტულოვანი მწვრთნელი დუელს აგებს ლარი ბრაუნთან, რომელსაც ჩემპიონის წოდება არასოდეს მოუპოვებია.

ფრენბურთი

# წაუგებელი

## მსოფლიოს ლიგას ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი ჰყავს

პაატა თოთაძე

მსოფლიო ლიგის მეორე ტურის შემდეგ ბრაზილია დარჩა იმ ერთადერთ გუნდად, რომელსაც ჯერჯერობით არ წაუგია. მსოფლიო ჩემპიონებმა და ლიგის გამარჯვებულებმა, პირველ ტურში ბერძნების დამარცხების შემდეგ, ამჯერად ესპანელებს მოუგეს ორივე მატჩი საკუთარ მოედანზე, სან-პაულოში, 11 000 მაყურებლის თვალწინ. პირველ შეხვედრაში ესპანელებმა მხოლოდ ერთი სეტი მოიგეს, მეორეში კი ესეც ვერ მოახერხეს. ბრაზილიელებს ბერძნებმაც აუბეს მხარი და ზედიზედ ორჯერ მოუგეს პორტუგალიას.

“სიმართლე გითხრათ, ძალიან თავდაჯერებულნი გავედით მოედანზე და პირველი სეტის წაგებამ, ცოტა არ იყოს, დაგვაბნია. კიდევ კარგი, დროზე მოვეგეთ გონს და ვითარება გამოვასწორეთ. ჩვენი წაგების დრო ჯერ არ მოსულა”, - მატჩის შემდგომ განაცხადა ბრაზილელთა მეორე მწვრთნელმა რიკარდო ტაბაჰიმ.

“ბრაზილია რა დონის გუნდიცაა, ყველამ იცის. ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ვეთამაშებოდით, ასე რომ, წარმატების დიდი შანსი არ გვქონია. მიუხედავად ამისა, პირველ მატჩში პირველი სეტი მოვიგეთ, მომდევნოებზე კი ძალა აღარ გეყო. ამ მატჩისთვის მოსამზადებელ პერიოდში გარკვეული პრობლემები შეგვექმნა, რაც აისახა კიდეც ბიჭების ფიზიკურ მომზადებაზე”, - ეს უკვე ესპანელთა მწვრთნელის ფრანსისკო ერვასის სიტყვებია.

პირველი მარცხი იწვნიეს აქამდე წაუგებელმა იტალიამ და პოლონეთმა. B ჯგუფში მოთამაშე პოლონეთმა პირველი მატჩი 3:1 მოუგო ბულგარეთს, თუმცა განმეორებითში იმავე ანგარიშით დამარცხდა. ამან საშუალება მისცა საფრანგეთის ეროვნულ გუნდს, სათავეში ჩასდგომოდა სატურნირო ცხრილს. ფრანგებმა ორჯერ სძლიეს ჯგუფის აუტსაიდერს - იაპონიის გუნდს.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაა C ჯგუფში, სადაც პირველობისთვის ერთბაშად სამი გუნდი იბრძვის. ჩამოსაწერი არც ჩინეთია, თუმცა, აზიელებს სხვებთან შედარებით ნაკლები შანსი აქვთ. ჩინელებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს მეორე ტურში – ნოვი სადში სერბეთის ეროვნული გუნდი დაამარცხეს 3:2, თუმცა, სლავებმა მეორეში ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს და 3:0 მოიგეს. “საწყენია, რომ პირველ მატჩში დავმარცხდით. ახლა ვამბობ, საწყენიამეთქი, თორემ იმ მომენტში საშინელ დღეში ვიყავი, შეიძლება ითქვას, გაცოფებულიც კი. ძლივს დავწყნარდი”, - ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა სერბების მწვრთნელმა ლუბომირ ტრავიცამ.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა იტალიელთა მწვრთნელი ჯანპაოლო მონტალი, როცა იტალიელებმა პირველი მატჩი წააგეს: “ძალიან კარგად ვიცი, რომ ყოველთვის ვერ მოიგებ და წაგებაც არ უნდა აღიქვა კატასტროფად, მაგრამ ვერ ვიტან დამარცხებას. ყოველთვის, როცა ვაგებთ, მარტო ვრჩები გარკვეული ხანი, არ მინდა, იმ დროს ვინმემ მნახოს და ჩემი ნერვიულობა გადაედოს. მერე ვმშვიდდები, წაგებას ვივიწყებ და მომდევნო მატჩისთვის ვემზადები”.

**A ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 4 | 4 | 0 | 8 |
| საბერძნეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 1 | 3 | 5 |
| პორტუგალია | 4 | 1 | 3 | 5 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 3 | 1 | 7 |
| ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| იაპონია | 4 | 0 | 4 | 4 |

**C ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 7 |
| სერბეთი | 4 | 2 | 2 | 6 |
| კუბა | 4 | 2 | 2 | 6 |
| ჩინეთი | 4 | 1 | 3 | 5 |

ფორმულა 1

# და მაინც, “ფერარი”

გიგა გურასაშვილი

შაბათ-კვირა ბევრი კონტინენტისთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატმა აიღო სტარტი. მაგრამ შაბათ-კვირა მნიშვნელოვანი იყო იმათთვისაც, ვისაც სამეფო რბოლები აინტერესებს. კვირას ჩრდილო ამერიკამ “კანადის დიდ პრიზს” უმასპინძლა. მსოფლიო ჩემპიონატის მერვე ეტაპის მასპინძელი მონრეალი კი დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც მრბოლებს, ისე გუნდებსა და ჟურნალისტებს შორის. “კანადის დიდ პრიზზე” ყოველთვის თბილად საუბრობენ. გამონაკლისი არც მიხაელ შუმახერია. რატომაც არა! მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთადერთია, ვინც ერთი და იგივე ეტაპი ზედიზედ შვიდჯერ მოიგო. შედეგი კი, მართლაც, საარაკოა. მონრეალის ჟილ ვილნევის სახელობის ტრასასაც რომ შევეშვათ, მიმდინარე სეზონი “შუმისთვის” სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია – რვა ეტაპი და შვიდი გამარჯვება. ერთადერთხელ დაუცდა ფეხი მონაკოში და ისიც ტექნიკური პრობლემის გამო. ასე რომ, შეგვიძლია, აქედანვე ვივარაუდოთ: იტალიური საჯინიბოს ტრიუმფატორი მეშვიდედაც დაეუფლება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ასეთი რამ ფორმულა 1-ის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არავის გაუკეთებია. ერთი სიტყვით, წლის ბოლოს იგი, წესითა და რიგით, ერთპიროვნულ რეკორდსმენად უნდა მოგვევლინოს. თუ ერთი-ორჯერ ტექნიკური პრობლემა შეექმნა (აბა, სხვა მხრივ, “შუმი” შეცდომებს არ უშვებს) და მხოლოდ ამის გამო დათმო რომელიმე ეტაპი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მეშვიდე ტიტულს მაინც ვერავინ შეეცილება.




ჩვეული სიტუაცია – მიხაელ შუმახერმა ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა

ახლა დავუბრუნდეთ მონრეალს, სადაც ისე განვითარდა მოვლენები, რომ ადრეული ეტაპებიც კი დაჩრდილა. უფრო სწორად, მერვე ეტაპი ერთობ ხმაურიანად დასრულდა. მივყვეთ თანმიმდევრობით. როგორც უკვე მიხვდით, კანადის დიდი პრიზის გამარჯვებული მიხაელ შუმახერია. ერთადერთი, ვისაც მისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო, ისევ შუმახერი – უმცროსი ძმა, უილიამსელი რალფ შუმახერი გახლდათ (მან შაბათის კვალიფიკაცია მოიგო). მონრეალის ტრასაზე მოვლენები სწორედ შესაბამისი სცენარით ვითარდებოდა, მაგრამ, მესამე რიგიდან აღებული სტარტის მიუხედავად, მიხაელმა მაინც მოახერხა, საკუთარი ძმისთვის წამით გაესწრო. თუ ვინმეს დაადგა ჯაფა, ეს ისევ და ისევ რალფია, რომელსაც, გარდა იმისა, რომ საკუთარ ძმასთან უწევდა ჯაჯგური, ფეხდაფეხ მდევარი მეორე სკუდერიელი, რუბენს ბარიკელოც არ აძლევდა მოსვენებას. ერთი სიტყვით, სამეულში “წითელი ბარონის” ორი წარმომადგენელი შეიჭრა - ბარიკელოს მესამე ადგილით. რალფის თავგამოდება რომ არა, “ფერარის” პილოტები დუბლს იზეიმებდნენ, მაგრამ...

“კანადის დიდი პრიზის” შედეგები გაუქმდა. უფრო სწორად, შესწორებები შეიტანეს. კერძოდ, “BMW-უილიამსისა” და “ტოიოტას” პილოტები დისკვალიფიცირებულნი არიან! ბოლიდების სავალდებულო შემოწმებისას საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) ტექნიკურმა დელეგატებმა ხსენებულ საჯინიბოთა წარმომადგენლებს რეგლამენტისთვის შეუსაბამო მუხრუჭები აღმოუჩინეს.

“მუხრუჭებთან ჰაერის ნაკადის სისტემა რეგლამენტს არ შეესაბამებოდა, - აღიარებს “უილიამსის” ტექნიკური დირექტორი სემ მაიკლი. – ეს უნებლიე შეცდომა იყო. თუმცა, ამ უნებლიე შეცდომას ჩვენთვის არავითარი უპირატესობა არ მოუნიჭებია. და მაინც, ჩვენ ვიღებთ სასჯელს”.

ერთი სიტყვით, საჯინიბომ, ამ შემთხვევაში, “უილიამსის” საჯინიბომ, ძვირფასი ქულები დაკარგა. “უილიამსზე” იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ, “ტოიოტასგან” განსხვავებით, მათ ქულებისთვის საჭირო ადგილები დაიმსახურეს – რალფ შუმახერის მეორე და ხუან-პაბლო მონტოიას მეხუთე. ტოიოტელთაგან კი, რომლებსაც ასევე მუხრუჭებისთვის ჰაერის მიწოდების არალეგალური სისტემა აღმოაჩნდათ, კრისტიანო და მატა მერვე ადგილიდან იქნა დისკვალიფიცირებული (მერვე ადგილი ჩასათვლელ ქულათა უდაბლესი საფეხურია და, შესაბამისად, ერთ ქულად ფასობს.-რედ.), ხოლო ოლივიე პანისი მეათე ადგილიდან მოხსნეს.

ასე რომ, “კანადის დიდ პრიზზე” მეორე ადგილი დაიკავა რუბენს ბარიკელომ, ხოლო მიმდინარე სეზონის აღმოჩენა, BAR-ის ბრიტანელი მრბოლი ჯეისონ ბატონი მეოთხიდან მესამე საფეხურზე აღზევდა. ბატონის ადგილი ზაუბერელმა ჯანკარლო ფიზიკელამ დაიკავა. შესაბამისად, მეხუთე-მეექვსე ადგილებზე დაწინაურდნენ მაკლარენელები კიმი რაიკონენი და დევიდ კულჰარდი. “უილიამსისა” და “ტოიოტას” დისკვალიფიკაციამ ჩასათვლელ ადგილებზე აისროლა “ჯორდანის” პილოტები ტიმო გლოკი და ნიკ ჰაიდფელდი.

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 15 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. ფინალი. მე-4 მატჩი. რეზიუმე
07:30 NBA TV. WNBA ჩემპიონატი. “LOS ANGELES SPARKS” - “CONNECTICUT SUN”. პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 NBA TV. ყველაფერი მის შესახებ
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001 “ბაიერი” - “რეალი”
15:00 უკრაინის ჩემპიონატი. “დინამო” – “ჩერნომორეცი”
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. ჰოლანდიის ჩემპიონატი. “აიაქსი” – “ჰერენვენი”
18:45 უკრაინის ჩემპიონატი. “ვორსკლა” – “შახტიორი”
20:30 თავისუფალი დარტყმა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:50 განვლილი სეზონის გახსენება. პორტუგალიის ჩემპიონატი. “ბენფიკა” – “სპორტინგი”
22:35 “FUTBOL MUNDIAL”
23:05 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
23:35 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. “რეალ სოსიედადი” – “ბარსელონა”
01:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. “არსენალი” – “ჩელსი”
03:05 03:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1990. ფინალი. “PORTLAND TRAIL BLAZERS”- “DETROIT PISTONS”. მე-5 მატჩი

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:15, 17:35, 20:00, 22:00 პრესცენტრი
11:20, 22:15 “ოლიმპის შვილები”
11:25, 14:30 “ფორმულის ჰარმონია”
11:45 ჭადრაკი. “პეტროსიანის სახელობის გუნდი” – მსოფლიო ნაკრები
12:15 “რკინის ფაქტორი”. ტელეჟურნალი
12:45 “ორშაბათამდე მივატანთ”
13:15 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ნაწილი
14:50 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. World Bowl
17:50 საწყლოსნო-მოტოსპორტი. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ნაწილი
18:50 ცხენოსნობა. “Royal Ascot”. პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
20:15 “სპორტული გლობუსი”. “Trans World Sport” წარმოგიდგენთ
20:50 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირის წინ. “უიმბლდონის ისტორია”
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 “ვლადისლავ ტრეტიაკის ორი სიცოცხლე”
23:00 ჭადრაკი. “პეტროსიანის სახელობის გუნდი” – მსოფლიო ნაკრები
23:30 ბრძოლა წესების გარეშე - “Ultimate Fighting Championship”
00:40 “ნადირობის სეზონი”
01:10 ახალი ამბები
01:25 ბოულინგი. PBA Tour დალასში. აშშ
02:15 02:15-დან 05:30-მდე შესვენება
05:30 კალათბურთი. NBA ჩემპიონატი. ფინალი. “DETROIT PISTONS” - “LOS ANGELES LAKERS”. მე-5 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
13:00 მულტისპორტი
13:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
14:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:15 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
16:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში
17:30. ფეხბურთი. პლანეტა ევრო
18:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
19:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
19:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
20:30 მულტისპორტი
21:00 ნასკარის ავტორბოლები. ნექსტელის მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-ში
22:00 კრივი
23:00 ფეხბურთის სიახლენი
23:15 კრივი
01:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში

## ოთხკარიანი "პორშე" 2008 წელს

საკუთარი სამოდელო რიგის მორიგ გაფართოებას გეგმავს გერმანული კომპანია "პორშე", რომელიც უკვე შეუდგა დიდი ტურიზმის კლასის ოთხკარიანი კუპეს შექმნას. ჟურნალ "აუტო მოტორ უნდ შპორტის" ინფორმაციით, ამ ახალი ავტომობილის დებიუტი 2008 წლისთვისაა დაგეგმილი.

ავტომობილის სიგრძე 4.9 მეტრი იქნება. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ, ალბათ, მისი კარებები ერთმანეთის შემხვედრი მიმართულებით გაიღება, სალონში კი კომფორტულად მხოლოდ ოთხი ადამიანი (მძღოლის ჩათვლით) მოთავსდება, რომლებისთვისაც ინდივიდუალური სავარძლები იქნება გამოყოფილი.

"პორშეს" ოთხკარიანი კუპე დაკომპლექტდება ექვს და რვაცილინდრიანი ძრავებით, რომელთა სიმძლავრეც 340-დან 612 ცხენის ძალამდე იქნება. ეს აგრეგატები კარგა ხანია, გამოიყენება ისეთ პოპულარულ ავტომობილებზე, როგორებიცაა სპორტული "პორშე კარერა GT" და უგზოობის "პორშე კაიენი".

როგორც ირკვევა, კომპანიის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ამ ავტომობილზე. მათი პროგნოზებით, წლიურად დაახლოებით 20 ათასი ცალი ოთხკარიანი "პორშე" გაიყიდება. თითოეული კი სულ მცირე, 220 000 ევრო ეღირება.

## "პეჟო" საკუთარი მოდელების სახელების მოდერნიზაციას იწყებს

ფრანგულმა კომპანია "პეჟომ" საკუთარი მოდელების განმასხვავებელი ნუმერაციის მოდერნიზება გადაწყვიტა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მალე მისი მოდელების აღსანიშნავად სამის ნაცვლად ოთხი ციფრი იქნება გამოყენებული.

კომპანიის სამოდელო რიგში ახალი დასახელება წელსვე გამოჩნდება და მათ მხოლოდ ახალი ავტომობილები მიიღებენ. ახალ სახელს პირველი მიიღებს კომპაქტური, ერთმოცულობიანი ავტომობილი, რომლის ინდექსიც 107-ის ნაცვლად 1007 იქნება. მისი პრემიერა პარიზის წლევანდელ ავტოსალონზეა დაგეგმილი. მოგვიანებით, ანალოგიურ ინდექსაციას მიიღებს საშუალოგაბარიტიანი, ერთმოცულობიანი ავტომობილი, რომელსაც "პეჟო 3007"-ს უწოდებენ.

დღეისათვის, "პეჟო" თავისი ავტომობილებისთვის სამციფრიან აღნიშვნებს იყენებს, როგორებიცაა 106, 206 და 307. ამ სისტემაში პირველი ციფრი ავტომობილის საბაზო ოჯახს აღნიშნავს, მეორე ციფრი (0) მაკავშირებელი სიმბოლოა, მესამე კი ავტომობილის თაობის აღმნიშვნელია. ჯერჯერობით უცნობია, თუ რის აღსანიშნავად შემოაქვს "ფრანგულ ლომს" მეოთხე ციფრი.

## "ბეემვე M2" ორი წლის შემდეგ გამოვა

გერმანული ავტოგიგანტი "ბეემვე" კიდევ ერთ სპორტულ ავტომობილს ამზადებს – უახლოეს ორ წელიწადში ბაზარზე გამოჩნდება კომპაქტური ავტომობილი "ბეემვე M2", რომელიც პირველი სერიის ავტომობილის შასიზე დამზადდება.

აღსანიშნავია, რომ პირველი სერიის ბაზაზე დამზადებული კუპე და კაბრიოლეტი სამოდელო რიგში საბაზოსგან განცალკევდება და ისინი ახალ, მეორე კლასს შექმნიან, თუმცა პრაქტიკულად იგივე მახასიათებლები ექნებათ, როგორიც ახლახან შექმნილ პირველი სერიის ავტომობილებს აქვთ, თუმცა მათგან განსხვავებულ დიზაინსა და სალონის აღჭურვას მიიღებენ.

კიდევ უფრო განსხვავებული იქნება "ბეემვე M2", რომელსაც საბაზო კუპესგან განასხვავებს დაკიდების მოდერნიზებული, ხისტი სისტემა, გაცილებით მძლავრი მუხრუჭები და, რაც მთავარია, 3.6-ლიტრიანი, ექვსცილინდრიანი ძრავი, რომლის სიმძლავრეც 370 ცხენის ძალას მიაღწევს. შედარებისთვის, მეორე სერიის ავტომობილებისთვის ყველაზე დიდი აგრეგატების მუშა მოცულობა ორ ლიტრს არ ასცდება.

წინიდან "ბეემვე M2"-ს თავისი "ნათესავებისგან" განასხვავებს ვეება ბამპერი, წინა ბორბლების გაფართოებული თაღები, რომლებიც უზარმაზარ ბორბლებს დაიტევს, უკან კი თვალში საცემი, პირველ რიგში, უზარმაზარი ფრთა იქნება, რომელიც ავტომობილის აეროდინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესებას მოემსახურება.

ახალი ავტომობილი, პირველ რიგში, კონკურენციას გაუწევს უახლესი თაობის "მერსედეს SLK"-ს, რომლის გაყიდვებიც რამდენიმე თვეში დაიწყება.

## "ტიგრი" ნადირობისთვის მზადაა



რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ დაასრულა მრავალმიზნობრივ ავტომობილ "გაზ-2975 ტიგრის" გამოცდები, რომლებმაც დააკმაყოფილა სამხედროთა მოთხოვნები. შედეგად, რუსეთის ჯარი ამ ავტომობილების შესყიდვებს უკვე მიმდინარე წლის ბოლოდან შეუდგება. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა რაოდენობით აპირებს სამხედრო უწყება ამ ავტომობილების შეძენას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ "ტიგრი" 65 ათასი დოლარი ღირს, სავარაუდოა, რომ მათ რუსი სამხედროები დიდი რაოდენობით ვერ მიიღებენ.

როგორც უკვე ითქვა, "ტიგრი" მრავალმიზნობრივი ავტომობილია და იგი არაბეთის გაერთიანებული საემიროების თავდაცვის სამინისტროს შეკვეთითაა შექმნილი. არაბმა შემკვეთებმა ავტომობილის შექმნა კი დააფინანსეს, მაგრამ მოგვიანებით უარი განაცხადეს პროექტში მონაწილეობაზე, რის შემდეგაც ნიჟეგოროდელებმა ავტომობილი რუსეთის არმიას შესთავაზეს და ამაზე წინასწარი თანხმობაც მიიღეს.

"ტიგრი" ორ ვერსიადაა შექმნილი. ერთია მეტალისძარიანი, მეორე კი – ღია უკანა პლატფორმით. ავტომობილი აღჭურვილია ამერიკული კომპანია "ქამინზის" წარმოების დიზელის მძლავრი ძრავით, ყველა თვლის დამოუკიდებელი, ტორსიონული დაკიდებით და საბურავებში წნევის შეცვლის ცენტრალიზებული სისტემით, რომელთა წყალობითაც, უგზოობის პირობებში მას ბადალი ძნელად თუ მოეპოვება – "ტიგრს" თავისუფლად შეუძლია 45-გრადუსიანი დახრილობის აღმართზე ასვლა და 120 სანტიმეტრის სიგანის მქონე თხრილის გადალახვა. მისი მაქსიმალური სიჩქარე 140 კმ/სთ-ს შეადგენს. ნიჟეგოროდსკის (ადრე გორკი ერქვა) საავტომობილო ქარხნის სიმძლავრეები წლიურად 1000 ცალი "ტიგრის" გამოშვების საშუალებას იძლევა.

## აფრიკული სუპერკარი დებიუტისთვის ემზადება

წარმოებისთვის პრაქტიკულად მომზადებულია და ბაზარზე გამოსვლას ელოდება აფრიკული სუპერავტომობილი სახელად "ლარაკი ფულგურა", რომელსაც მწარმოებელი მყიდველს ორი ვერსიად შესთავაზებს.

ეგრეთ წოდებული საბაზო მოდიფიკაცია აღჭურვილია "მერსედეს-ბენცის" წარმოების 5.5 ლიტრი მუშა მოცულობის V8 აგრეგატით, რომელსაც დამატებით ცხენის ძალებს მექანიკური კომპრესორი ანიჭებს. ამ აგრეგატის სიმძლავრე 570 ცხენის ძალაა, მაბრუნი მომენტი კი 790 ნმ-ს აღწევს. ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს ის სულ 3.7 წამში კრეფს, მაქსიმალური სიჩქარე კი 330 კმ/სთ-ია.

მეორე მოდიფიკაცია აღიჭურვება 6.2-ლიტრიანი V12 ძრავით, რომლის სიმძლავრეც ორი ტურბოკომპრესორის მეშვეობით 660 ცხენის ძალას მიაღწევს, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი კი არანორმალურად დიდი - 1300 ნმ იქნება. ავტომობილი ადგილიდან ას კილომეტრს საათში 3.4 წამში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 350 კმ/სთ იქნება.

ორივე მოდიფიკაციაში ძრავები შეწყვილებულია 6-საფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფთან. ავტომობილი აღჭურვილია იტალიური კომპანია "ბრემბოს" წარმოების მძლავრი სამუხრუჭე სისტემებით, რომლის წინა დისკოების დიამეტრი 355 მილიმეტრია, უკანასი კი – 320 მილიმეტრი. ავტომობილი შემოსილია 19-დუიმიანი თვლებით.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ეღირება ეს მონსტრი. სავარაუდოდ, მწარმოებელი ამ პარამეტრს პარიზის ავტოსალონზე გამოაცხადებს, რომელიც სექტემბრის დასაწყისში გაიხსნება.

# "რენოს" ოჯახის ახალი წევრები

ფრანგული კომპანია "რენო" აღარ დაელოდა პარიზის ავტოსალონს და მედიას ოფიციალურად წარუდგინა თავისი ახალი ავტომობილი – კომპაქტური ერთმოცულობიანი მოდელი სახელად "მოდუს", რომელსაც პირველად ივნისის ბოლოს, მადრიდის ავტოსალონის დამთვალიერებელი იხილავს და რომლის გაყიდვებიც შემოდგომის დადგომისთანავე დაიწყება.



"მოდუსზე" "რენო" დიდ იმედებს ამყარებს

კონსტრუქტორებმა "რენო მოდუსის" საფუძვლად აიღეს პოპულარულ ავტომობილ "რენო კლიოს" მოდერნიზებული პლატფორმა, რომელიც ასევე ამ ავტომობილის მომავალი თაობის მოდელში იქნება გამოყენებული. "მოდუსის" სიგრძე სულ 3.7 მეტრია, მისი საბარგულის მოცულობა კი 198-დან 621 ლიტრამდე იცვლება. ამასთან, ავტომობილის ინტერიერის კონსტრუქციაში გათვალისწინებულია ტრანსფორმაციის შესაძლებლობანი – უკანა სავარძლები, საჭიროებისამებრ, წინ და უკან 17 სანტიმეტრით გადაადგილდება, იკეცება და იხსნება კიდეც. საგულისხმოა, რომ ინტერიერის ტრანსფორმაციის ზოგიერთი იდეა "რენოს" სხვა მოდელებისგანაა ნასესხები.

ახალი ავტომობილის კომპლექტაციაში რამდენიმე თანამედროვე და მეტად ეკონომიური ძრავი შედის. მათ შორის სამი (1.2-ლიტრიანი 75 ცხენის ძალით, 1.6-ლიტრიანი 88 ცხენის ძალით და 1.6-ლიტრიანი 113 ცხენის ძალით) ბენზინზე, ორი (1.5-ლიტრიანი, 68 და 88 ცხენის ძალით) კი დიზელის საწვავზე მუშაობს. მათ რიცხვს მერმის დაემატება 1.5-ლიტრიანი დიზელი, რომლის სიმძლავრეც 109 ცხენის ძალამდე გაიზრდება.

ახალი ავტომობილი პასიური და აქტიური უსაფრთხოების რიგი სისტემებითაც აღიჭურვება. პირველთა რიცხვს განეკუთვნება ორი წინა უსაფრთხოების ბალიში, გვერდითა ბალიშები, რომლებიც სავარძლებშია ინტეგრირებული, აგრეთვე გვერდითი ფანჯრების გასწვრივ განლაგებული გასაბერი ფარდები. აქტიური უსაფრთხოების სისტემებიდან აღსანიშნავია მუხრუჭების ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა, ექსტრემალური დამუხრუჭებისას მძღოლის დამხმარე სპეციალური სისტემა, ასევე საკურსო მდგრადობის უზრუნველმყოფი თანამედროვე ელექტრონული სისტემა.

"რენო" აცხადებს, რომ დაგეგმილი აქვს ყოველწლიურად 300 000 ცალი "მოდუსის" წარმოება. კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ლუი შვეიცერის თქმით, ეს რიცხვი იმაზე მიუთითებს, რომ "რენო" ამ ავტომობილზე დიდ იმედებს ამყარებს. თუმცა: "ეს რაოდენობა "მოდუსთან" დაკავშირებულ "რენოს" ამბიციებზე მეტყველებს. ჩვენთვის პრობლემა არ არის წლიურად 300 000 "მოდუსის" წარმოება. მთავარი ისაა, თუ რამდენად რეალურად შეეფერება ეს რაოდენობა ბაზრის მოთხოვნას", - ამბობს შვეიცერი.

"მოდუსის" წარმოება კომპანიის კუთვნილ ვალენსიას ქარხანაში მოხდება. "რენოს" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ქარხანას სრული დატვირთვით მუშაობა მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი კონვეიერიდან ყოველდღიურად 1 350 "მოდუსი" ჩამოვა.

ბოლო წლებში "რენოს" სულ უფრო უჭირს მეტოქე კომპანიებისგან გაძლიერებული კონკურენციის გაძლება. შვეიცერი კი იმედოვნებს, რომ "მოდუსისა" და მოდერნიზებული "კლიოს" და "ტვინგოს" საშუალებით, ევროპაში სიდიდით მეოთხე ავტომწარმოებელი შეძლებს საკუთარი რენტაბელობის მნიშვნელოვნად გაზრდას.

"ჩვენ შევიმუშავებთ სამოდელო გამას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე იქნება ევროპაში. ამასთან, ჩვენს მიერ დამტკიცებული გეგმით, მათი განახლება სამ, სამნახევარ წელიწადში ერთხელ მოხდება, რაც მაღალი კონკურენტუნარიანი დონის შენარჩუნებაში დაგვეხმარება", - ამბობს შვეიცერი.

### რუსულ-რუმინული "რენო ლოგანი"

"რენოს" უახლოესი გეგმები მხოლოდ "მოდუსით" და მისი კალიბრის მოდელებით სულაც არ შემოიფარგლება. კომპანია დიდი ხანია, ოცნებობს ეგრეთ წოდებული "სახალხო ავტომობილის" გამოშვებაზე. კერძოდ, რუსეთში შექმნილი ერთობლივი საწარმო "ავტოფრამოსის" ქარხანაში მალე დაიწყება "რენო X90 ლოგანის"-ის წარმოება, რომლის ღირებულებაც ხელმისაწვდომი იქნება განვითარებადი ქვეყნების მომხმარებლისთვის. სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, რუსული ქარხანა წლიურად დაახლოებით 120 ათასი ავტომობილის დამზადებას შეძლებს. თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს 2010 წლამდე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ლუი შვეიცერი.

გარდა ამისა, იგივე ავტომობილის გამოშვებას მალე დაიწყებს რუმინული კომპანია "დაცია", რომელიც "რენომ" რამდენიმე წლის წინ შეისყიდა.

დღეისათვის მიმდინარეობს "ავტოფრამოსის" და "დაციას" ქარხნების გადაიარაღების და თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვის პროცესი. თუ სამუშაოები გეგმის შესაბამისად დასრულდება, მაშინ პირველი რუსული "რენო ლოგანი" ქარხნის ტერიტორიას ზუსტად ერთი წლის შემდეგ დატოვებს. თუმცა, მანამდე მოხდება საცდელი მოდელების აწყობა, რომლებიც სერტიფიკატის მისაღებად, მაშინვე რუსეთის გზებზე ტესტებს შეუდგებიან.

ორიოდე სიტყვა თავად ავტომობილის შესახებ: პირველ ხანებში "X90 ლოგანი" სედანის ტიპის ძარით გამოვა, თუმცა მოგვიანებით ნავარაუდებია უნივერსალისა და ფურგონის ტიპის ძარით დამზადებაც. კონსტრუქტორების თქმით, ეს არის ტიპურად ახალი ავტომობილი, რომელიც C კლასს განეკუთვნება. მასში "კლიოს" ზოგიერთი აგრეგატი და ნაწილი იქნება გამოყენებული, რაც შეამცირებს ავტომობილის თვითღირებულებას.

"ლოგანზე" დამონტაჟდება ძრავები, რომლებიც უკვე ფართოდ გამოიყენება "რენოს" სხვა მოდელებში. ესენია რვასარქველიანი, ოთხცილინდრიანი ძრავები (1.4-ლიტრიანი, 75 ცხ. ძალით და 1.6-ლიტრიანი, 90 ცხ. ძალით). ამასთან, ირანისა და აზიის სხვა ქვეყნების მყიდველებს შესთავაზებენ 1.6-ლიტრიან გაძლიერებულ აგრეგატს, რომელსაც ცილინდრზე 4 სარქველი (სულ 16) ექნება და მისი სიმძლავრე 107 ცხენის ძალას მიაღწევს.

1.4-ლიტრიანი ძრავით აღჭურვილი "ლოგანი" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 13 წამს მოანდომებს და მისი მაქსიმალური სიჩქარე სულ 162 კმ/სთ იქნება. უფრო მძლავრი ძრავით აღჭურვილი "ლოგანი" კი იგივე ზღვრამდე აჩქარებას 11.5 წამს მოანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 175 კმ/სთ იქნება.

ფრანგული კომპანია იმედოვნებს, რომ მოდელ "ლოგანის" საშუალებით აღმოსავლეთ ევროპის და აზიის ბაზარზე საგრძნობლად გაიმყარებს პოზიციებს. პერსპექტივაში კი ამ ავტომობილით ჩინეთის სწრაფად მზარდ ბაზარზეც გავა. წინასწარი მონაცემებით, "ლოგანის" ღირებულება არ ასცდება 10 000 დოლარს, მისი საბაზო ფასი კი სულ 6 000 დოლარი იქნება.

"რენო ლოგანი", პირველ რიგში, ანალოგიური კლასის კორეულ ავტომობილებს, "ჰიუნდაი აქცენტსა" და "კია რიოს", ასევე ჩეხურ "შკოდა ფაბიას" გაუწევს კონკურენციას.

### ახალი "ტვინგო"

ზემოთ დახასიათებული ახალი ავტომობილების გარდა, "რენო" უახლოეს მომავალში შეცვლას უპირებს პოპულარულ ავტომობილ "ტვინგოს", რომელიც მოდერნიზების შემდეგ, კონცერნის სამოდელო რიგში ეგრეთ წოდებული სიტი-ქარის სეგმენტს დაიკავებს და კონკურენციას გაუწევს ამ კლასის ისეთ ლიდერებს, როგორებიც არიან "დაიმლერკრაისლერის" "სმარტი" და "ბეემვეს" "მინი".

განახლებულ "ტვინგოში" გამოყენებულ იქნება იმავე "კლიოს" პლატფორმა, რაც წარმოების თვითღირებულებას და აქედან გამომდინარე, ავტომობილის საბაზრო ღირებულებას შეამცირებს. ამასთან, ნაკლები დრო დაიკარგება მის დაპროექტებაზეც.

ძველი "ტვინგო", თავის კლასის პირობაზე, საკმაოდ ელეგანტური და თვითმყოფადი კია, მაგრამ ფრანგული კომპანია მაინც ეძებს ისეთ სახასიათო შტრიხებს, რომელთა წყალობითაც, ავტომობილის დიზაინი (როგორც "მინი") ათეულობით წლებს გაუძლებს. განვითარებული ქვეყნების მყიდველისთვის დამზადებული ავტომობილი დიდი რაოდენობით დამხმარე სისტემით და მოწყობილობით აღიჭურვება. სამაგიეროდ, განვითარებადი ქვეყნების მყიდველებისთვის განკუთვნილი "ტვინგო" გაცილებით ღარიბულად იქნება აღჭურვილი, რაც საგრძნობლად შეამცირებს ავტომობილის ღირებულებას.

ახალი "ტვინგოს" წარმოება საფრანგეთის ქალაქ ფლინსიდან სლოვენიაში გადაინაცვლებს, სადაც დღეისათვის ხდება "კლიოს" წარმოება. დღეისათვის სიახლის კოდური სახელწოდებაა X44 და ასე ერქმევა მას მანამ, სანამ 2006 წლის მეორე ნახევარში პირველ მყიდველამდე მიაღწევს.

# "მერსედეს-ბენცი" და "მაკლარენი" თანამშრომლობას გააფართოებენ

უკვე რამდენიმე თვეა, რაც გერმანულ-ამერიკულ კონცერნ "დაიმლერკრაისლერისა" და ინგლისური "მაკლარენ ქარზის" თანამშრომლობა გასცდა ფორმულა ერთში პირველობისთვის ერთობლივად ბრძოლას და საწარმოო პარტნიორობაში გადაიზარდა – "მაკლარენის" სრულიად ახალ "ტექნოლოგიურ ცენტრში", რომლის მშენებლობაც ზოგიერთი მონაცემით, სულ მცირე, 250 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა და რომელიც ოფიციალურად 12 მაისს გაიხსნა, უკვე დაიწყო სუპერავტომობილ "მერსედეს-ბენც SLR მაკლარენის" წარმოება.



"მერსედეს-ბენც SLR მაკლარენს" მალე შეიძლება უმცროსი ძმა გამოუჩნდეს

თუმცა, როგორც ჩანს, ორი კომპანიის პარტნიორობა ამით არ დასრულდება. უფრო მეტიც, "ტექნოლოგიური ცენტრის" გახსნის, "მაკლარენის" შეფმა რონ დენისმა განაცხადა, რომ დღეისათვის მხარეებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება კიდევ ერთი, ამჯერად შედარებით იაფი სპორტული ავტომობილის შესაძლო წარმოების თაობაზე.

"SLR მაკლარენის" მინიმალური ღირებულება 400 000 დოლარს შეადგენს და თუ ახალი ავტომობილის შექმნა გადაწყდა, მისი ფასი მინიმუმ 120 000 დოლარი იქნება.

დენისი და "მერსედეს-ბენცის" ხელმძღვანელი იურგენ ჰუბერტი აცხადებენ, რომ ახალ ცენტრში წლიურად 15 000 ავტომობილის წარმოება იქნება შესაძლებელი. დღეისათვის სულ 30 ცალი "SLR მაკლარენია" აწყობილი და როგორც ჰუბერტი აცხადებს, კიდევ სულ 3 500 ცალის დამზადებაა გათვალისწინებული. არადა, მისივე თქმით, თუ დღეს მყიდველი ავტომობილზე განაცხადს გააკეთებს და დეპოზიტზე 50 000 დოლარს განათავსებს, იგი სასურველ კუპეს მხოლოდ 2006 წლის ბოლოს თუ მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ავტომობილს დებიუტი თითქმის ერთი წლით დაუგვიანდა, რაც მთლიანად "მაკლარენის" ტექნოლოგების მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომის შედეგია. "SLR-მა ცოტა გვაწვალა. დასაწყისში ვთვლიდით, რომ ჩვენ იმაზე მეტი შეგვეძლო, ვიდრე ეს რეალურად იყო შესაძლებელი. მერე კი დავრწმუნდით, რომ ეს ასე არ იყო და თანაც, სათანადოდ ვერ შევაფასეთ ჩვენი პარტნიორის (მერსედეს-ბენცი) შესაძლებლობანი. ყოველივეს გამო, სამუშაოს დასაწყისში ძვირფასი დრო დავკარგეთ და სოლიდური თანხა ვიზარალეთ. მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და ჩვენ უკვე ვმსჯელობთ თანამშრომლობის გაფართოების თემაზე", - განაცხადა დენისმა, ვისაც დღეისათვის "მერსედეს-ბენცთან" ერთად, სერიოზული პრობლემები აქვს ფორმულა ერთში, თუმცა აქაც პარტნიორები უახლოესი მომავლისთვის გეგმავენ საქმის გამოსწორებას.

# "ახალი ხოჭო" არ განახლდება

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ "ფოლკსვაგენის" დიზაინერი და დაგავალეს "ახალი ბიტლის" (ახალი ხოჭოს) განახლება, ან ახალი თაობის ავტომობილის შექმნა. ძნელია? სრულებით გეთანხმებით. ისევე როგორც ფერდინანდ პორშეს ლეგენდარული ქმნილება - პირველი თაობის "ხოჭო", ახალი "ბიტლიც" (კაფერი) იმდენად თვითმყოფადია და იმდენად დასრულებული, და ისე კარგად შეესატყვისება წინამორბედის სტილს, რომ მისი შეცვლა, ალბათ, არ ღირს.

სწორედ ასე ფიქრობს "ფოლკსვაგენის" ხელმძღვანელობაც, რომელმაც გამოაცხადა, რომ არ აპირებს "ახალი ხოჭოს" წარმოების შეჩერებას და არც მისი რადიკალური რესტაილინგი აქვს ჩაფიქრებული. მოკლედ, წინამორბედის მსგავსად, რომელმაც პირვანდელი სახე 40 წლის განმავლობაში შეინარჩუნა და ლამის 21-ე საუკუნეშიც შეაბიჯა, ახალი ავტომობილიც ბოლო დღეებამდე ისეთივედ დარჩება, როგორიც 6 წლის წინ, დებიუტისას იყო.

"გადაწყვეტილია, რომ "ახალი ბიტლი" ერთციკლიანი ავტომობილი იქნება. გაიხსენეთ ძველი "ხოჭო". მან ბაზარზე 40 წელი გაძლო და რომ დაგვეტოვებინა, უფრო დიდი ხნითაც დარჩებოდა. ჰოდა, თუ საჭირო იქნება, "ახალი ხოჭოც" პირვენდელი სახით 40 წელს იარსებებს. შესაძლოა, ვინმეს ეს საეჭვოდ ეჩვენოს, მაგრამ გარწმუნებთ, დღეს კომპანიის გეგმაში ავტომობილის შეცვლა არ შედის", - განაცხადა "ფოლკსვაგენის" ამერიკული დივიზიონის პროდუქციის სტრატეგიის მთავარმა მენეჯერმა შტეფან კრებსფანგერმა.

მართალია, ავტომობილის დიზაინი მთლიანობაში არ შეიცვლება, მაგრამ მისი ზოგიერთი დეტალი დროდადრო მცირე ცვლილებას მაინც დაექვემდებარება და ეს მაქსიმუმ, 18 თვეში ერთხელ მოხდება.

"ფოლკსვაგენმა" რეტრო-სტილის "ახალი ხოჭო" 90-იანი წლების შუაწელში შექმნა და მაშინ კომპანია იმედოვნებდა, რომ ყოველწლიურად მას 55 000-იანი ტირაჟით გაყიდდა. თუმცა, მისი კლასისთვის საკმაოდ მაღალი ფასის მიუხედავად, ავტომობილმა იმდენად სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მთელ მსოფლიოში, რომ 1999 წელს, მარტო ამერიკაში, მას 83 434 მყიდველი გამოუჩნდა. რა თქმა უნდა, მასზე წლების განმავლობაში მოთხოვნა შემცირდა და შარშან გაყიდვები პროექტით გათვალისწინებულ ზღვარს მიუახლოვდა (56 961). რაც მთავარია, გაყიდვისას მწარმოებელი კლიენტს სულაც არ სთავაზობს დღეისათვის ესოდენ გავრცელებულ შეღავათებს, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვა აშშ-ის ბაზარზე.

თუ საკითხი ამგვარად დგას, მაინც იბადება კითხვა – რითი შეიძლება შეივალოს "ხოჭო"?

"რეალურად არაფრით, თუმცა ჩვენ მუდმივად ვეძებთ რაღაც ისეთს, რომელიც ერთდროულად იქნება ამაღლებულიც, სასიამოვნოც, მხიარულიც, პრაქტიკულიც და მისაღებიც. ოღონდ, ამ "რაღაც ისეთს" სუფთა ფურცლიდან მოუწევს სიცოცხლის დაწყება. მისი დიზაინი პირველ რიგში, ახალგაზრდა მყიდველის გემოვნებას უნდა შეესაბამებოდეს, რასაც ვერ ვიტყოდით "ახალ ხოჭოზე". ჩემი ნათქვამი კი იმას ნიშნავს, რომ დღეისათვის შემცვლელი გონებაშიც კი არ არსებობს", - ამბობს კრებსფანგერი.

# კოსტასსთან

ანა კორძაია-სამადაშვილი




გაჩერება "სავინიპლაცი", "ტერცო მონდო"

ჩემი საყვარელი ქალაქის, მის დასავლეთ ნაწილში მდებარე ერთი ტავერნისა და ტავერნის მფლობელის, კოსტას პაპანასტასიუს ამბავს გიამბობთ. თუკი ბერლინში ამოჰყოფთ თავს, "ტერცო მონდოს" პოვნა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ: სავინიპლაცზე ჩამოხვალთ და მოედნისა და კანტშტრასეს, ანუ კანტის ქუჩის კუთხეში მიბრძანდებით - ტავერნაც იქაა. მისვლა ნამდვილად ღირს, მით უმეტეს, თუ აკა მორჩილაძის "ტერცო მონდო" წაგიკითხავთ. ხომ გახსოვთ, შესანიშნავი მოთხრობაა.

მეც კვლავ იქ მივედი – აბა, სად წავიდოდი?! და აღმოვაჩინე, რომ სამი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი შეცვლილა. რა კარგია! კედლებიდან ძველი ნაცნობები შემომცქერიან: ბერძენი ზორბა, ჩემი მეგობრის ყოფილი სატრფო, ჩინეთის ეროვნული გმირი და, რაც მთავარია, თავად კოსტასი, ხან სერიალიდან "ლინდენშტრასე", პოლიციელების მიერ გალახულის როლში, ხანაც - ქართველი ბავშვების გარემოცვაში, ოღონდ ეს ფილმი არაა, სინამდვილეა. შემოსასვლელში კვლავ წარწერა კიდია: "საქართველოსთვის ვაგროვებთ წამლებს, სამედიცინო აღჭურვილობას... ანგარიში N3065599014, ბერლინის სახალხო ბანკი". თბილისში დღეს კოსტას პაპანასტასიუს მიერ ნაჩუქარი ორი სასწრაფო დახმარების მანქანა დადის – კოსტასი ხელწამოსაკრავი კაცი როდია.

მართალია, საპატიო მაგიდაზე ზარი აღარ დგას – რა იქნა, ვერ დავადგინე. კედელს კი ახალი პლაკატი ამშვენებს: "ტერცო მონდოს" ოცდაათი წელი შეუსრულდა, გალერეას – ოცი, მის მფლობელს კი – 67. ძნელი დასაჯერებელი კია, ადრე ვეუბნებოდი, ათი წლით უმცროსი რომ იყოთ, თქვენს თავს ვერავინ წამართმევდა-მეთქი. თურმე სად ვარ...

რაც მთავარია, მაგიდასთან კვლავ კოსტასი ზის, და მის გარშემოც ზუსტად ის საზოგადოება ტრიალებს, რომელთან ყოფნაც ყოველთვის ძალიან მიყვარდა: არცთუ ნორჩი მემარცხენეები, ყოფილი ჰიპები, ათასი ჯურის ხელოვანები, სულ სხვადასხვა ერისა და ჯიშისა.

"გამარჯობა!" კოსტასი თავისი ქართულით ძალიან ამაყობს. "ქართულიც იცის?" დამეკითხა ერთ-ერთი სტუმარი. "აბა, რა," მივუგე მე და მაგიდას მივუჯექი.

სანამ საერთო ნაცნობების ბედ-იღბალს, საქართველოში მომხდარ რევოლუციას და გლობალიზაციის პრობლემებს ვარჩევდით, ქუჩის მუსიკოსების რამდენიმე ჯგუფმა შემოიარა. კოსტასი მოწყალედ უკრავდა თავს და ისინიც თავდადებით მღეროდნენ, რას აღარა – რეპერტუარიც ისეთი იყო, როგორიც დარბაზში შეკრებილი საზოგადოება, ანუ ჭრელი. ერთი სიტყვით, ტერცო მონდოა, მესამე სამყარო. რა კარგია!

კოსტასი ჰყვება, რომ ორმოცდაათი წელია, უცხოელია. ის ჰყვება, რომ სამშობლოში, საბერძნეთში, იმხანად, როცა ის პატარა ბიჭი იყო, ოთახის იატაკს თიხით აპირკეთებდნენ, და იმისთვის, რომ იოლად არ დაბზარულიყო და არ დატეხილიყო, ქალები ზედ ნაკელის თხელ ფენას უსვამდნენ, აკურატულად, მოხდენილი მოძრაობით, და იატაკი მათი ხელების ანაბეჭდებით იყო დაფარული, და ოთახში ტკბილი სურნელი ტრიალებდა: სველი თიხის, ნაკელის, მიწის. კოსტასმა თქვა, რომ დღეს მის სახლში ძველებური სპარსული ხალიჩებია დაფენილი, მას კი ძალიან ხშირად ის, ძველი ოთახი ენატრება.

კოსტასი ფრიად კმაყოფილია, რომ ბერძენია. სულ მალე ის და მისი შვილი, მარკო, ერთად შეასრულებენ ბერძნულ სიმღერებს. მე მარკო ძალიან მომწონს და ვეპრანჭები, და მარკოს ეცინება. კოსტასი ვერაფრით იგებს, რატომ შეიძლება ადამიანმა თავისი ეროვნება დამალოს, ან რატომ უსმენს მთელი ევროპა რაღაც ამერიკულ ნაგავს. საზოგადოების გულის გასახარად ის მოჰყვა, რომ ამასწინათ მობილური ტელეფონი სახლში დარჩა თორემ - ო, როგორ გულიანად გალანძღავდა ვიღაც უბადრუკ დი ჯეის! სუფრასთან მსხდომნი კვერს უკრავენ. ჩვენც მანდ ვართ, კოსტას.

საუბარია გერმანიის დიად წარსულზე და სამარცხვინო წარსულზე, ბრალის გრძნობასა და სინანულზე, რომელმაც უკვე არაჯანსაღი სახე მიიღო. კოსტასს მაგალითი მოჰყავს და თითს ჩემკენ იშვერს, რომ აი, ქართველები დღესაც სიხარულით მღერიან "გაფრინდი შავო მერცხალოს", მერე რა, რომ სტალინს უყვარდა? გერმანელებს კი სიტყვა "ერის" წარმოთქმა რცხვენიათ – რატომ? მერე რა, რომ ჰიტლერი ამბობდა? რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ, ჰიტლერი რას ამბობდა? მართალი ხარ, ჩვენც მანდ ვართ, კოსტას.

კერძში თავჩარგული – გემრიელი კი იყო! - გვერდზე მჯდომი მამაკაცის საოცარ ტექსტებს ვისმენდი. დავეკითხე, ქალები ხომ არ გეჯავრება-მეთქი, და მან მითხრა, საერთოდ, ადამიანები მეჯავრებაო, და კაცთა მოდგმის უვარგისობის დამადასტურებელი უთვალავი ამბავი ჩამოთვალა, კაენის უსაქციელობით დაწყებული და ერაყის ომით დამთავრებული. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საზოგადოებამ დიდი ქოთქოთი ატეხა, და დიდი სკამის საზურგეს პაწია ქალი გადმოევლო.

ერთი შეხედვით ასაკი ვერ დავადგინე. ყვითელი ქურთუკი ეცვა და ხასხასა წითელი თმა ჰქონდა. ინესი. ძალიან სასიამოვნოა. თმა ინით ჰქონია შეღებილი – თავად მითხრა და დაინტერესდა: "შენც იღებავ?.. რას ლაპარაკობ, ვერც კი წარმოვიდგენდი... ქერა ქალები სულელები არიან... არა, შენ სულელი არა ხარ," მიუბრუნდა ოფიციანტს, რომელიც ბუნებრივად ქერა თმას დააფრიალებდა და ინესის საუბრით ძალიან ერთობოდა. "ძალიან ლამაზი თმა აქვს და საერთოდ, ლამაზი ქალია," ვთქვი მე. "ჰო, თან, უცნაური კია, მაგრამ ჭკვიანიცაა," ბრძანა ინესმა.

კოსტასმა ინესს აუხსნა, რომ მე ქართველი ვარ; ისიც აუხსნა, რომ სამსახურის საძებნელად არ ჩამოვსულვარ და საერთოდ, ჭკუის კოლოფი ვარ. "მაშ, ებრაელია?" "არა, ქართველი". ინესს ჩემი ქართველობა საეჭვოდ ეჩვენა, თურმე, მის ნაცნობ ყველა ქართველ ქალს დასრულებული მაკიაჟი ჰქონდა, ოქროსფერი ბეჭდებით იყო დამძიმებული და იმდენი სუნამო ესხა! მე კი – არა, მაშასადამე, ებრაელი ვყოფილვარ. "არა", მივუგე მე, "არ ვარ".

ინესი კი ებრაელი ყოფილა, თან უბრალო კი არა, ივანოვოში გაზრდილი. იცით ივანოვოს ამბავი? მეც არ ვიცოდი, ნეტა, არც მცოდნოდა, ისედაც გულგახეთქილი დავდივარ... ივანოვოს ებრაელების ამბავი არც იქვე მჯდომმა ვინმე საბრალო ქალბატონმა მონიკამ იცოდა, რომელსაც სიბრიყვე ეყო და ინესს ჰკითხა, თავს რად თვლი: გერმანელად, პორტუგალიელად თუ ებრაელადო. ეს რა მიჰქარა ქალბატონმა მონიკამ! კარგა ხნის ყაყანის შემდეგ ინესმა ახსნა, რომ ის ებრაელია, საბჭოთა კავშირში დაიბადა, გერმანიის მოქალაქეა, პორტუგალიაში მუშაობს, პროფესორია, მარქსისტია და საერთოდ, გავარვარებული მემარცხენეა – გასაგებია? კი.

კოსტასი, გიტარით ხელში, მაღალ სკამზე ზის და მღერის. ტავერნა გაისუსა: კოსტასი ძალიან ბრაზობს ხოლმე, როცა ის მღერის და სხვები ლაპარაკობენ. "სულიკო" – როცა დიდი, ღონიერი მამაკაცი მღერის, მართლა მშვენიერი სიმღერაა, ოღონდ ქალები ნუ იწივწივებენ... ძალიან ამიჩუყდა გული, არა ნოსტალგიურ ამბავში, არამედ იმიტომ, რომ კოსტასს ჩემი გახარება უნდოდა. მერე კოსტასმა რაღაც აკორდები აიღო და გვერდით მაგიდიდან ერთსულოვანი "ოლე" მოისმა. "ეს სიმღერა ჩემთვისაა," ჩამჩურჩულებს ინესი. "ჩვენ ერთად ვებრძოდით ხუნტას". სხვები ჰყვებიან, რომ სამოცდარვა წელი ერთად გამოიარეს – მოკლედ, თანამებრძოლთა რიგებში ვარ ჩამჯდარი, და ძალიან მომწონს მხიარული, აქტიური და ჭკვიანი ინესი, ძალიან მიყვარს კოსტასი, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ "ტერცო მონდოში" დავბრუნდი, და ის ბრიყვული სიმღერაც გულს მითბობს, გზატკეცილზე მოცეკვავე პატარა ძროხის შესახებ, რომელსაც კოსტასი თვალებდახუჭული და თავგადაგდებული მღერის: "ეჰ, ელიზა, ეჰ, ელიზა, მწვანე მდელოზე ყოფნა სჯობს..."

■ ■ ■

"ნახვამდის ალექსზე, ძაღლურ სიცივეში. მომავალი, 1929 წელი კიდევ უფრო ცივი იქნება". ვიღაცა გაბრიყვდა და ამ საძაგელი ციტატით "გაალამაზა" მრავალჭირნახულ ალექსანდერპლაცზე მდგომი უსახური შენობა. "ბერლინი. ალექსანდერპლაცი" შესანიშნავი რომანია, მაგრამ მე არ მიყვარს, და არც ეს წარწერა მიყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ღამით კოსტასისგან მომავალს ალექსზე მიწევს გადაჯდომა, და ვიცი, რომ მეორე დღეს შინ უნდა გამოვემგზავრო.

იმედია, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ალექსზე, ან კოსტასთან, რაც მთავარია, ბერლინში, და მომავალი, ამიერიდან უკვე ორიათას რაღაც წელი, ძაღლურად ცივი არ იქნება.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

15 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "თეთრი გრიგალი" (12) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "გერმანია"-"ნიდერლანდები" **02.00** მხ. ფილმი "ცეცხლის ძალა". მთ. რ-ში: მეთიუ მაკონახი, კრისტიან ბეილი (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** დ დიზაინი. რალფ რუჩის ზაფხული 2004-ის კოლექცია. **08.00** გენერალ რუოს საოცარი ბედი. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან. **13.15** სამი მამაკაცი და ერთი გოდორი. მხ.ფილმი. რეჟისორი კოლინ სერო. 1984. **17.30** ვლამს ბლოკის პარტია. ბრიუსელი. **24.00** აქტუალური თემა ექსპერტებთან ერთად.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** "ევრო-2004" (ჩეხეთი-ლატვია) **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ჯერი და ტომი" (12)

### ЛБТ

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ნიღაბი" (ჯიმ კერი) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "მოგზაურობა ამერიკაში" (ედი მერფი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "თვითმკვლელობის მეფეები" (კ. უოკენი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მახე" (გ) (შონ კონერი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მერლინი" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ქალზე ნადირობა" (ალექსანდრე პოლი) (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** პალიტრა **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "წითური" (გ)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** "საქმე და ეკონომიკა" **18.00** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "იმედითა შენითა" **11.30** სპ. პროგრამა "გოლი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "ჩემი მეგობრის ქალი" (გ) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** ლარის მახე **23.00** "ერთხელ ჰოლივუდში" **23.30** მხ. ფილმი "დაუპატიჟებელი სტუმარი" (ნ. კინსკი) (12)

### იბერია

**18.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **18.55** დოკ. ფილმი **19.40** კონცერტი **21.40** მხ. ფილმი "ოლივერი" (12)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** ისტორიული ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი" **11.35** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "მოჩქარეს მოუგვიანდეს" **14.30** მუსიკა **14.40** თრილერი "ბაიკერები" **16.45** მულტსერიალი **17.45** სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 ს. **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "მე იქ ვიქნები" **21.00** მუსიკა **21.05** კომედია "არჩევანი თქვენზეა მადამ" **23.00** საარჩევნო პროგრამა "არჩევნებამდე" **00.00** მხ. ფილმი "რა სურთ ქალებს" **02.20** თრილერი "ბლეიდი" **04.20** კომედია "კანადური ბეკონი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20** Евгений Сидихин в фильме **"Личная жизнь официальных людей" 12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.05** Петр Вельяминов в фильме **"В начале игры" 14.30** Док. детектив. "Осколки "Красного фонаря". Дело 2001 года. 2-я с. **15.00 Сериал "Женщины в любви" 16.10 Сериал "Золото Югры". 1-я с. 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Прогулки с чудовищами". Док. сериал **19.50 Сериал "Клон" 20.40** "Стирка на миллион" **20.50 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Латвии - сборная Чехии. 22.50** Время **23.10 Сериал "Улицы разбитых фонарей" 00.20** Премьера. Кремль-9. "Личная жизнь Юрия Андропова" **01.10** Премьера. "Я шагаю по Москве". Док. фильм **01.50 Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы" 02.20** "Подорожник" **02.50** Чейви Чейз в комедии **"Европейские каникулы" 04.25 Триллер "Двойной захват"** Новые чудеса света. "Австралия. Город-антипод".

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.50** "Женский взгляд". Раймонд Паулс. **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд. **11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** Сегодня **13.30** Виктор Павлов в фильме **"УХОДЯ - УХОДИ". 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Гремлины". **19.35** Протокол. **20.40** Детектив **"СЫЩИКИ-3: ПО ТРАМВАЙНОМУ БИЛЕТУ". 21.45 Сериал "ЖЕЛАННАЯ".** 5-я серия. **23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ" 7-я с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3".**

# ქართველი ხალხისა და კულტურის კუთვნილება

ნანა ბასილაშვილი

*ქართული კინოს მშვენება ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუშინ კიდევ ერთხელ გაიხსენეს. ნატო ვაჩნაძის შვილები, შვილიშვილები, ახლობლები და კოლეგები მსახიობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ გამოფენაზე შეიკრიბნენ. ლეგენდარული სილამაზის ქალბატონს, გამომსვლელთა მონათხრობის გარდა, მისი უნიკალური ფოტოები, სამახსოვრო ჩანაწერები, სხვადასხვა გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების წერილები, კინოსა და თეატრის ძველი აფიშები გვახსენებდა.*

ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში ბევრი ქართველი მოღვაწის დოკუმენტური მასალა ინახება. პერიოდულად ბიბლიოთეკა ამ საინტერესო არქივის გამოფენას აწყობს. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ცნობილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ვიზუალური მასალით ბიბლიოთეკა ყველა ღირსშესანიშნავ თარიღს ეხმიანება. ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელიას პირადი არქივი შვილებმა ეროვნულ ბიბლიოთეკას პირადად გადასცეს.

"მეტად ინფორმაციული გამოფენაა, თუ ვინმეს დააინტერესებს, აქ არის ძალიან საინტერესო წერილები, მარტო მაიაკოვსკი, ან პასტერნაკი რომ ახსენო, ალბათ, საკმარისია. საინტერესოა რეცენზიები ნატო ვაჩნაძის შესახებ, მისი ფოტოები, იმ დროინდელი თეატრალური და კინოაფიშები. დღევანდელი თაობა სულ უფრო ნაკლებად იცნობს ამ დიდ მსახიობს. თუკი ვინმეს აინტერესებს, საჯარო ბიბლიოთეკა საამისოდ მართლაც საუკეთესო საშუალებას იძლევა. აქ წარმოდგენილ ყველა ინფორმაციას ვფლობდი, მაგრამ, როდესაც კიდევ ერთხელ ვიხსენებ და ვეხები ამ ყველაფერს, შინაგანად სიამაყის განცდა მებადება და ამასთან პასუხისმგებლობაც. მიხარია, რომ ხალხს უყვარს, ახსოვს და ასეთ დიდ პატივს მიაგებს", - ამბობს **ნიკუშა შენგელაია**.

**ელდარ შენგელაია**: "მე ვხედავ ჩვენი ოჯახის ახლობელი ადამიანების სახეებს. მიხარია, რომ ამ დღემ ერთად შეგვყარა. ჩვენი ოჯახის სახით მინდა მადლობა გადავუხადო საჯარო ბიბლიოთეკას, რომელმაც დედას დაღუპვის შემდეგ გამოიჩინა განსაკუთრებული ინტერესი იმ არქივის მიმართ, რომელიც მას დარჩა. მათ მოიძიეს არა მხოლოდ ჩვენს ოჯახში არსებული მასალები, ეს არქივი წლების განმავლობაში გროვდებოდა. ჩემი ოჯახი ძალიან მადლობელია, ვფიქრობ, ამავე დროს, ეს ქართული კინოს საარქივო ნაწილის დამცველადაც გამოდის."

**გიორგი შენგელაია**: "ჩემთვის ნატო ვაჩნაძე პირველ რიგში იყო დედა, რაც მის შემოქმედებასა და მოღვაწეობას ეხება ეს განზოგადოებულია ჩვენგან, ვფიქრობ, რომ ეს ეკუთვნის ქართველ ხალხსა და ქართულ ხელოვნებას. ჩვენი, მისი შვილების ვალია, რომ მისი ხსოვნა, მისი სახე, მომავალ თაობაში დამკვიდრდეს".

14 ივნისი ნატო ვაჩნაძის დაბადებისა და გარდაცვალების დღეა.

# როგორ უნდა ვასწავლოთ ქართული ენა კომპიუტერს

ირინე აბულაძე

ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფის სემინარი, რომელიც გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, ამავე უნივერსიტეტისა და ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფართო სამეცნიერო აუდიტორიისთვის წარდგენას ისახავდა მიზნად. "კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" - ასე ეწოდება სახელმწიფო პროგრამას, რომელიც მისმა ავტორებმა აუდიტორიას გააცნეს.

ბუნებრივია, ჩვენ აქ ვერ შევძლებთ პროგრამის მიზნებისა და ამოცანების დაწვრილებით მიმოხილვას, მაგრამ მარტივად მკითხველს ასე შეგვიძლია განვუმარტოთ: პროგრამის მიზანია, შესაძლებელი გახადოს ადამიანის თავისუფალი ურთიერთობა კომპიუტერთან მშობლიური ენის მეშვეობით. თუ საზოგადოება მოკლებული იქნება ამგვარ ტექნიკურ საშუალებას, ის ვერ შეძლებს მსოფლიო კულტურულ და ცივილიზაციის პროცესებში ჩაბმას. როგორც სემინარის მოსაწვევი იუწყებოდა: გუშინდელი შეკრების მთავარი თემა ქართული ენის ფართო კულტურულ-მეცნიერული ფუნქციებით შენარჩუნება-ვერშენარჩუნების საკითხი გახლდათ.

გუშინდელ სემინარზე მსმენელი სათანადო ვიზუალური მასალის - კედელზე პროეცირებული კომპიუტერული ეკრანის მეშვეობით გაეცნო რამდენიმე კომპიუტერულ პროგრამას, მაგალითად, სამეტყველო ფრაზის სიტყვებად დაშლის პროგრამას, რომელმაც გვაჩვენა, თუ როგორ უნდა მოხდეს სამეტყველო სიგნალის გამოცნობა. ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ, როგორ ითვისებს კომპიუტერი ახალ ენას, ზოგჯერ ერთი ცდა საკმარისია, ზოგჯერ კი ორჯერ ან უფრო მეტჯერ გამეორებაც სჭირდება. მართალია, გამოცნობის კოეფიციენტი 100 პროცენტი არაა, მაგრამ შედეგი, როგორც ამბობენ, ნორმალურია. სემინარზე წაკითხული მოხსენებები შეეხო საკითხს, თუ როგორ უნდა შეიქმნას ქართული ენის ბირთვული ნაწილის ფორმალურ-ლოგიკური კომპიუტერული მოდელი იმპერატიულ და არაიმპერატიულ პროგრამულ გარემოში და ა.შ. მოკლედ, ისევ მარტივად რომ ვთქვათ, როგორ უნდა ვასწავლოთ ქართული ენა კომპიუტერს.

ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი მუშაობს საკითხზე, თუ როგორ დავიყვანოთ ქართული ენობრივი სისტემა უნივერსალურ ანუ მათემატიკურ ენაზე - ეს ენა რომ არ არსებობდეს, ჩვენ, სხვადასხვა ენობრივ გარემოში მცხოვრებნი, ერთმანეთს ვერ გავუგებდით, - ამბობენ ჯგუფის წევრი მეცნიერები და იქვე დასძენენ, რომ მათი მიზანია, ამ პროექტით ხელისუფლება დააინტერესონ, რადგან მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პროგრამა ჩვენი სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა იყოს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქართული ენის კომპიუტერიზაციაზე საქართველოში ოცამდე ჯგუფი მუშაობს. სემინარზე გამოითქვა აზრი, რომ მოხდეს ამ ჯგუფების გაერთიანება (მათი ავტონომიურობის შენარჩუნების გზით), რაც შემდგომი მუშაობის დახვეწისა და განვითარების შესაძლებლობას მისცემს ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელი სემინარი აზრთა სხვადასხვაობითაც გამოირჩეოდა: იმაში არავინ დაეჭვებულა, რომ დასახული მიზანი ნამდვილად დიდია, მაგრამ ითქვა, რომ ეს მიზანი საშუალებას არ ამართლებს და როდესაც ასეთი დიდი საქმე კეთდება, უფრო მეტი პროფესიონალიზმია საჭირო. კამათის დროს ისიც ცნობილი გახდა, რომ ენისა და ლოგიკის ქართული ჯგუფი, რომელიც თავის დროზე თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკური ლოგიკისა და მეთოდოლოგიის განყოფილების და აკად. გ.წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილების თანამშრომლობის საფუძველზე გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა, დღეს აღარ არსებობს ძველი შემადგენლობით და იმასაც ამბობენ, რომ ეს ჯგუფი რამდენიმე მეცნიერს სულაც არ მიუტოვებია უმიზეზოდ.













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.